


ეროვნული ბიბლიოთეკა

# მხარე ვაზებში გამოხვეული

**გიორგი ლეონიძე**
საქართველოს სახალხო პოეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყანა კახური, ათქვირებული,
და ყამირები ყარაიისა;
ვაზი თორმეტი ფურის ნაწველი,
დასხმული ოქროს ბარძიმივითა,
წინანდლის ღვინო დედისრძიანი;
თაფლი, ხეებზე ჩამოღვენთილი,
ბროწეულის ტყე წყაროებითა;
ცა — არწივების კლანჭით გარტყმული,
მთები ფერადი დროშებივითა,
ნაციხარები ქვასისხლიანი...
მხარე — ნათხარი საძირკველების,
მხარე — სარკინე ფალავნებისა,
მხარე — ვაზებში გამოხვეული...
იქ ფერფლი ჰყრია ჩემი ყრმობისა,
ფერფლი ლერწამის ნაცარივითა...



# პირველ რთველშიაც გეწვევით

**იოსებ ნონეშვილი**

ვაზის დედაა კახეთი,
შენც კახეთში ხარ გაზრდილი,
მიტომ ვენახზე ფიქრები
გეტმასნებოდა ვაზივით.
და შეუთვალე მეზობლებს:
— მიწა არ არის ეწერი,
იქნება ვაზმა იხაროს,
გამომიგზავნეთ ლერწები.
— მერე და, ბიჭო, რად გინდა, —
გეუბნებოდნენ სწორფერნი, —
აქ ვაზი ჯერ არ ყოფილა,
არ გააცინო სოფელი.
თუნდაც იხაროს, რად გინდა,
გაგიჭირდება ძალიან,
კომბაინერი კაცი ხარ,
ვაზისთვის სადა გცალიან.
— ვაზის ძირში ვარ გაზრდილი,
იქ იდგა ჩემი აკვანი,
უღვინოდ როგორ დავლოცო
ახალი სათიბ-სამკალი?..
სადაც ქართველი კაცია,
ვაზიც გვერდით ჰყავს ძმობილად.
ვინ იცის — ვაზიც, ქართველიც
ამ ქვეყნად ერთად შობილან! —
სთქვი და აიღე ლერწები,
საჩუქრად გამოგზავნილი.
მოწყენილები გეჩვენენ
და მოღლილები მგზავრივით.
როგორც საკუთარ კომბაინს,
არა, კომბაინს კი არა,
როგორც შვილს, ისე უვლიდი
ვაზის ნერგს ფოთლებშრიალას.
ტოტები შემოგაგება
ყამირ მიწაზე ნაზარდმა.
გოგო გეგონა, ვენახში
გეტმასნებოდა ვაზადა.
აფუვდა ნაყამირალი,
უქმად გდებისგან გამხმარი,
და ვაზმა, როგორც კოლუმბმა,
იპოვა მიწა ახალი.
. . .
მე ვნახე, როგორ უტევდი
ყანას, სამკელად შეღერილს,
ყამირზე პირველ მოსავლით
როგორ აავსე ბეღელი.
როდესაც ქარვის მტევნებით
დამძიმდებიან ლერწები,
გვეპატიჟები? მადლობა...
პირველ რთველშიაც გეწვევით.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
დროშა
№ 9 (134) სექტემბერი, 1962 წ.
გამოცემის XII წელი.
ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი



(მევენახეობისა და მეღვინეობის X საერთაშორისო კონგრესის გამო).

ახლა, როცა მსოფლიოს ხალხები სულ უფრო მძლავრად იმაღლებენ ხმას ომისა და განადგურების ავბედით მოციქულთა ასალაგმავად, როცა სულ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან ჩვენს პლანეტაზე სიკეთისა და მშვიდობის დასამკვიდრებლად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებას მშვიდობიანი შემოქმედების ყოველ სფეროში.

საერთაშორისო ღონისძიებათა განხორციელება განსაკუთრებით აუცილებელი ხდება მეცნიერების სხვადასხვა დარგებში, რაც გაპირობებულია მეცნიერების განვითარების უმაგალითო ტემპით და მეცნიერულ მონაპოვართა სწრაფი და ფართო დანერგვის უდიდესი ეკონომიური ეფექტიანობით.

ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და ტექნიკის მეცნიერებათა სწრაფმა წინსვლამ სრულიად ახალი თავისებური პირობები შექმნა სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის.

თუ ძველად ისეთი მნიშვნელოვანი დარგები, როგორიც მევენახეობა და მეღვინეობაა, მხოლოდ წინაპართა გამოცდილებას ეყრდნობოდა, ახლა მათი წარმოება ღრმა მეცნიერულ საფუძვლებზეა დამყარებული. მეცნიერებაში მევენახეობა და მეღვინეობა უკვე რამდენიმე დამოუკიდებელი დისციპლინის სახით არის წარმოდგენილი. მევენახეობა-მეღვინეობის მეცნიერული გაძღოლა დღეისათვის შეუძლებელია აგრობიოლოგიის, ფიზიოლოგიის, მიკრობიოლოგიის, ბიოქიმიის, აგროქიმიის, ნიადაგმცოდნეობის, მეტეოროლოგიის, მელიორაციის, მექანიზაციისა და სხვა მეცნიერული დისციპლინების მონაპოვართა გამოყენების გარეშე.

მევენახეობისა და მეღვინეობის უკეთ წარმართვისათვის სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება სხვადასხვა ქვეყნის მიღწევათა ურთიერთ გაცნობა, გამოცდილების ურთიერთ გაზიარება, შემდგომი თეორიული და პრაქტიკული მუშაობის საერთო პერსპექტივების მოხაზვა. ასეთი მიზანდასახულებით მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მევენახეობა-მეღვინეობის მეცნიერ-სპეციალისტები უკვე მეათედ იკრიბებიან.

ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ბიურომ მევენახეობისა და მეღვინეობის პრობლემებისადმი მიძღვნილი მეათე საერთაშორისო კონგრესის ჩატარების ადგილად ქალაქი თბილისი აირჩია. ეს არჩევანი შემთხვევითი როდია: საბჭოთა კავშირი მევენახეობა-მეღვინეობაშიც ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა. ეს დარგები ჩვენს ქვეყანაში წლითიწლობით სულ უფრო მძლავრად ვითარდება.

დღეს საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საბჭოთა კავშირს მეცნიერების მრავალ დარგში პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში. ზოგიერთი დარგი, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა, პირველად საბჭოთა კავშირშია ჩამოყალიბებული. საკმარისია დავასახელოთ თუნდაც ტექნიკური ბიოქიმია, რომელიც აკადემიკოსი ა. ოპარინისა და მისი მოწაფეების თავდადებული კვლევის შედეგად ცალკე დისციპლინად გადაიქცა.

სრულიად კანონზომიერია ისიც, რომ მევენახეობა-მეღვინეობის მსოფლიო ფორუმი თბილისში ტარდება. საქართველო მევენახეობისა და მეღვინეობის უძველესი ქვეყანა და კულტურული ვაზისა და ორიგინალური ღვინოების ერთ-ერთი სამშობლოა.

საბჭოთა საქართველოს მევენახეობა და მეღვინეობა მდიდარ ეროვნულ ტრადიციებზე აყვავდა და განვითარდა. საქართველო დღეს ცნობილია თავისი შესანიშნავი ღვინოებითა და კონიაკებით, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ქარხნებით, საუკეთესო ვენახებით, მაღალკვალიფიციური კადრებით, მძლავრი უმაღლესი სასწავლებლებითა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებით. თუ ჩვენმა ძველმა ისტორიამ, როგორც დიდი ილია ამბობდა, არ გვაცადა, რომ „ჩვენის სულისა და გულის ძალით მეცნიერების ახო გამოგვეღო", ახლა ქართველ მეცნიერებს საპატიო ადგილი უკავიათ მსოფლიო მეცნიერების იმ დარგებს შორისაც, რომლებიც მევენახეობისა და მეღვინეობის წინსვლას ემსახურებიან.

გაივლის რამდენიმე დღე და ქართულ მიწაზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან შეიკრიბებიან ვაზისა და ღვინის ძველი და ახალი მოჭირნახულენი. ჩამოვლენ სიუხვის მოციქულნი და თან ჩამოიტანენ თავიანთი ქვეყნების ნაფიქრსა და ნამოღვაწარს ვაზსა და ღვინოზე.

ქართველი ხალხი ჩვეული სტუმართმოყვარეობით მიიღებს ყოველი ქვეყნის წარმოგზავნილთ, მეგობრობითვე მიუზღავს ჩვენთან მეგობრული სურვილებით ჩამოსულთ; აჩვენებს და გააცნობს მათ ხანგრძლივი შრომის შედეგებს, გაიზიარებს და გაუზიარებს გონების თვალით ნახულსა და განსჯილს, გამრჯე ხელით ნაცადსა და მონაგარს.

უცხოეთის ქვეყნებიდან საბჭოთა კავშირში ყრილობის 200-მდე დელეგატი ჩამოვა. ყრილობის მუშაობა წარიმართება მევენახეობისა და მისი ეკონომიკის სექციაში, ვაზის მავნებლებისა და ავადმყოფობათაგან დაცვის სექციასა და მეღვინეობის სექციაში. სამივე სექციაში მოსმენილი და განხილული იქნება 6 გენერალური და ათი ოფიციალური მოხსენება.

გენერალური მოხსენებები მიეძღვნება სუფრის ყურძნის შენახვას, ვენახების სხვადასხვა აგროტექნიკური წესებით დამუშავების მექანიზაციას, ვაზის კულტურას ფერდობებზე, ჭრაქის საწინააღმდეგო ახალ პრეპარატებს, ჟანგვააღდგენით პროცესებს ღვინოში, გოგირდოვანი ანჰიდრიდის შემცვლელ ანტისეპტიკურ საშუალებებს მეღვინეობაში.

სხვადასხვა ქვეყნის ოფიციალური მოხსენებები შეეხება ვაზის სელექციის ახალ მეთოდებს, ვაზის კულტურის ისტორიას საბჭოთა კავშირში, ფილოქსერის წინააღმდეგ ვაზის გამძლეობის განსაზღვრას, ვაზის ვირუსულ დაავადებებს, უწყვეტი დუღილის გამოყენებას მეღვინეობაში, ღვინის ბიოქიმიას, ალკოჰოლური დუღილის მეორადი პროდუქტების ქიმიზმს, ორგანულ ნივთიერებათა როლს ღვინის დამწიფებასა და დაძველებაში, ცქრიალა ღვინოების ტექნოლოგიის მეცნიერულ საფუძვლებს.

კონგრესზე მოხსენებებით გამოვა მრავალი თვალსაჩინო და მსოფლიოში ცნობილი საბჭოთა და საზღვარგარეთელი მეცნიერი. ყოველი მოხსენება კონგრესისათვის გამოცემული იქნება რუსულ და ფრანგულ ენებზე.

კონგრესთან დაკავშირებით, ამავე ენებზე იბეჭდება ჩვენი პროფესორების: გ. ბერიძის, ვ. ქანთარიას, მ. რამიშვილის, ა. ლაშხის და სხვათა კაპიტალური შრომები ქართულ ღვინოებზე, ქართულ კონიაკებზე, საქართველოს მევენახეობასა და მეღვინეობაზე, აგრეთვე პოპულარული მონოგრაფიები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაზე, მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტზე, ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტზე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტზე და სხვ. ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე გამოვა პროსპექტები და ბუკლეტები, რომლებშიც აღწერილი იქნება ჩვენი ღვინოები, კონიაკები, ღვინის ქარხნები და მევენახეობის მეურნეობები.

კონგრესის მონაწილენი გაეცნობიან ქ. თბილისსა და მის ღირსშესანიშნაობებს, ესტუმრებიან ჩვენი დედაქალაქის სასწავლო, სამეცნიერო და კულტურის კერებს, დაათვალიერებენ ავჭალის შამპანური ღვინის ქარხანას, თბილისის ღვინისა და კონიაკის ქარხნებს. ისინი იმოგზაურებენ კახეთში, სადაც მოინახულებენ გურჯაანის, წინანდლის, ნაფარეულისა და ყვარლის ღვინის ქარხნებსა და მევენახეობის მეურნეობებს.

კონგრესის მონაწილეთათვის გაიმართება ქართული ღვინოების დეგუსტაცია.

კონგრესის დამთავრების შემდეგ მსურველთათვის მოეწყობა ექსკურსიები სოხუმში, სოჭასა და იალტაში, სომხეთის, მოლდავეთისა და უზბეკეთის რესპუბლიკებში.

ეჭვი არ არის რომ, მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ეს საერთაშორისო შეკრება ეტაპური მნიშვნელობის იქნება მევენახეობა-მეღვინეობის შემდგომი განვითარებისათვის.

მევენახეობისა და მეღვინეობისადმი მიძღვნილი მეათე საერთაშორისო კონგრესი არა ნაკლებ მნიშვნელოვანი იქნება სხვა მხრივაც: იგი დააახლოებს მსოფლიოს ათობით ქვეყნის მეცნიერებს, რომლებიც ემსახურებიან დედამიწაზე სიკეთისა და დოვლათის სიუხვეს, პირადი მეგობრობით დააკავშირებს იმ ადამიანებს, რომლებიც იღწვიან სიცოცხლის სადიდებლად, მისი ეშხისა და ლაზათისათვის.

ვაზი ხომ ოდითგანვე ამკობდა ქართულ ჩუქურთმას, როგორც სიმბოლო სიცოცხლისა და სიხარულისა — ალბათ, ასე იყო სხვა ქვეყნებშიაც.

დაე, ქართულ ვაზთან ერთად ყველა ქვეყნის ვაზმა გაიღოს თავისი წმიდა წვენი მეგობრობის წმიდა ღვინის შესაქმნელად, ყველა ერის მადლი შეეზავოს ერთმანეთს, რომ იგი ხალხთა შორის მეგობრობისა და მშვიდობის ემბლემა გახდეს.

პროფ. სერგი დურმიშიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ცისფერი ალის მოლოდინში

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ორჯონიკიძე-თბილისის მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობა, რომელიც საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უდიდესი და უნიკალური ნაგებობა იქნება.



ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენის საერთო სიგრძე 215 კილომეტრს მიაღწევს. ტრასის უდიდესი ნაწილი გაივლის მეტად რთულ რელიეფზე: ფერდობებზე და ხეობებში, მთის მდინარეებისა და ვიწრო გზების გასწვრივ. მშენებლობის პროცესში სპეციალისტებს მოუხდებათ 9 გვირაბისა და საყრდენი ხიდის აგება.

ახალი მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობა ჯვრის უღელტეხილისაკენ ერთდროულად ორი მიმართულებით მიმდინარეობს — თბილისიდან და ორჯონიკიძიდან.

თბილის-ავჭალის გავლით უკვე ჩაწყობილია 500 მილიმეტრიანი მილები, ორჯონიკიძის მხრიდან კი მშენებლებმა 55 კილომეტრზე შეადუღეს „ლითონის გზა".

„თბილგაზის" სამმართველოს მუშაკები ამთავითვე იჭერენ თადარიგს, რათა საუკეთესოდ მომზადებულები შეხვდნენ დედაქალაქში ცისფერი ალის შემოსვლას.



…აგრონომმა შალვა წიქვაძემ მესხეთის დიატომიტის საბადოებში იპოვა ქვა, რომელზეც ვაზის ფოთლის გამოსახულებაა აღბეჭდილი. სპეციალისტების აზრით, ქვა მიოცენის ეპოქას განეკუთვნება. ამ ნაპოვნით დადასტურდა, რომ დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ვაზი დაახლოებით 150 მილიონი წლის წინათ ხარობდა.

…არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ღვინის სხვადასხვა ჭურჭელი და მევენახეობის იარაღები ნათლად მოწმობენ, რომ 3-4 ათასწლეულის წინათ საქართველოში ფართოდ იყო განვითარებული მევენახეობა-მეღვინეობა.

…ჰომეროსი თავის „ილიადასა“ და „ოდისეაში“ (ძვ. წ. აღ. X საუკუნე) აღწერს, თუ ცირცეა როგორ გაუმასპინძლდა ოდისეას კოლხური სურნელოვანი ღვინით.

…ცნობილი ფრანგი მოგზაური შარდენი საქართველოს შესახებ აღნიშნავს, — „შეიძლება ითქვას, რომ არსად არ არის სხვა ქვეყანა, სადაც ასე ბლომად სვამდნენ ასეთ მაღალხარისხოვან და გემრიელ ღვინოს“.

…შვეიცარიელი მკვლევარი შოუ მევენახეობის კერად „სამეგრელოსა და საქართველოს“ ასახელებს.

…ცნობილ ბოტანიკოსს კოხს მიაჩნია, რომ კულტურული ვაზის სამშობლო შავი და კასპიის ზღვის მიდამოები უნდა იყოს.

…ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერები: აკადემიკოსები ს. ჩოლოყაშვილი და ვ. ვივილოვი, პროფესორი მ. ნეგრული და სხვები ვაზის წარმოშობის ძირითად კერად საქართველოს აღიარებენ.

…თამამად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს თითქმის არც ერთ რაიონში არ მოიპოვება ვაზის ისეთი მდიდარი აბორიგენული ასორტიმენტი, როგორც საქარ-

# ვაზი, [illegible]

თველოში. საბჭოთა კავშირში ცნობილი 1180 ჯიშიდან, საქართველოზე 400-ზე მეტი ადგილობრივი ჯიში მოდის.

…1929 წელს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემაში შეიქმნა სპეციალური სამამულო ტრესტი („სამტრესტი“), რომელმაც გააერთიანა მეღვინეობის ყველა მსხვილი მეურნეობა.

…რევოლუციამდელ საქართველოში 10 ღვინის ქარხანა მუშაობდა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენს რესპუბლიკაში აშენდა 80-ზე მეტი ღვინის საწარმო, მათ შორის თბილისის შამპანური ღვინოებისა და კონიაკის ქარხნები.

გამოჩენილი სპეციალისტების აზრით, თბილისის შამპანური ღვინოების ქარხანა ყველაზე საუკეთესოა ევროპაში.

…თბილისის ღვინის პირველი ქარხანა 100 წლისაა. საწარმოს აქვს ღვინისა და კონიაკების მდიდარი კოლექცია, რომელთა რაოდენობა 1600 დასახელებას აღემატება.

…საქვეყნოდ გაითქვეს სახელი ქართულმა მაღალხარისხოვანმა ღვინოებმა: „წინანდალმა“, „გურჯაანმა“, „ტიბაანმა“, „თელიანმა“, „მუკუზანმა“, „თეთრამ“, „ხვანჭკარამ“, „ცოლიკაურმა“, „ქინძმარაულმა“, „ოჯალეშმა“, „ატენურმა“ და სხვებმა, რომლებმაც ოქროსა და ვერცხლის მრავალი მედალი მოიპოვეს.

…საერთაშორისო და საკავშირო გამოფენებზე, უკანასკნელ ხანებში, ქართულმა კონიაკებმა და ღვინოებმა 77 მედალი მიიღეს, მათ შორის 26 ოქროსი.

…1889 წლიდან მოყოლებული, ქართული ლიქიორები სისტემატურად მონაწილეობენ საერთაშორისო გამოფენებში.

ჩვენმა ლიქიორებმა უკანასკნელი 15 წლის მანძილზე 14 მედალი მოიპოვეს.

…ჩვენი რესპუბლიკის ქარხნებში ამჟამად 70 მარკის სხვადასხვა ღვინო და კონიაკი მუშავდება.

…1965 წელს ყურძნის გადამმუშავებელი ქარხნების სიმძლავრე საქართველოში სეზონში 350 ათას ტონას მიაღწევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე თქვენ ხედავთ (მარცხნიდან მარჯვნივ) „თბილგაზის“ სამმართველოს საწარმოს ტექნიკური განყოფილების უფროსს ა. ანჯაფარიძეს, კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილეს გ. ბარძიმოვსა და „თბილგაზის“ სამმართველოს უფროსს ო. ჩინჩალაძეს, რომლებიც ერთხელ კიდევ გულდასმით იხილავენ თბილისის გაზით მომარაგების გეგმას.

გაივლის კიდევ რამდენიმე თვე და სტავროპოლისა და კრასნოდარის მხრიდან თბილისში უწყვეტ ნაკადად შემოვა ცისფერი ალი. საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა ოჯახები და სხვადასხვა საწარმოები უხვად მიიღებენ იაფ და მოსახერხებელ ბუნებრივ გაზს.

ფოტო ო. თურქიასი და
ვ. ჯაირანოვისა





# კვლავ იარაღის ჟღარუნი

ამ ცოტა ხნის წინათ შეერთებული შტატების პრეზიდენტს კორესპონდენტებმა ჰკითხეს—შესაძლებლად მიაჩნია თუ არა მას მიღწეულ იქნას შეთანხმება თერმო-ატომგულის იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებო. კენედიმ გვერდი აუარა პირდაპირ პასუხს და განაცხადა: დიდად ვწუხვარ, რომ საბჭოთა კავშირი კვლავ მოახდენს ახალი იარაღის გამოცდასო. ყველა, მათ შორის კორესპონდენტები, რომლებიც პრესკონფერენციას ესწრებოდნენ, გააკვირვა პრეზიდენტის ამ პასუხმა. ხომ ყველასათვის ცნობილია, რომ სწორედ იმ დღეს, როდესაც მოსკოვში მშვიდობის მომხრეთა კონგრესი გაიხსნა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჰაერში მოახდინეს მძლავრი აფეთქება და განაგრძეს მიწისქვეშა აფეთქებების სერია. სწორედ ამის პასუხად საბჭოთა კავშირის მთავრობამ საქვეყნოდ განაცხადა, რომ იგი განაახლებს მძლავრი, ახალი ტიპის იარაღის გამოცდებს.

ყველასათვის ნათელია, რომ ახლანდელი სიტუაცია შეიქნა სწორედ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ბარბაროსული მოქმედების შედეგად.

მარტო წლევანდელი ამბები რომ გავიხსენოთ, ნათელი გახდება, თუ ვინ არის დამნაშავე. აი, ზოგიერთი მათგანი: იანვარში თეთრ სახლში სამხედრო ხელმძღვანელებმა განიხილეს „თავდაცვის ახალი გეგმა". ამ გეგმის საფუძველია „უძლიერესი ატომური ძალების" შექმნა. ეს ძალები, გეგმის ავტორთა აზრით, უნდა აღემატებოდეს მოწინააღმდეგის ძალებს. ოლსოპი ამის გამო წერდა: „ჩვენ ახლა ვქმნით საშინელებათა ისეთ ძალებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას პირველი დარტყმის დროს".

თებერვალში შეერთებულმა შტატებმა უარყვეს საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის წინადადება თვრამეტი სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობაზე სახელმწიფოს მეთაურთა დონეზე, რათა ამ კომიტეტმა „თავის მუშაობაში აიღოს მძლავრი და სწორი სტარტი".

მომდევნო თვეში კენედიმ განაცხადა, რომ „შეერთებული შტატები, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია გამოიჩენენ ინიციატივას საბჭოთა კავშირთან ატომური კონფლიქტის დროს".

აპრილში შეერთებულმა შტატებმა დაიწყეს ატომური აფეთქებები ჰაერში, მიწაზე, წყალში. მაისში ნატოს სესიაზე შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი მაკნამარა განიხილავდა საკითხს ნატოს რაკეტული იარაღით აღჭურვის შესახებ.

მომდევნო თვეში, იგივე მაკნამარა ატომური ომის ლეგალიზაციას მოითხოვდა, ხოლო ივნისში — შეერთებულმა შტატებმა კოსმოსში ააფეთქეს ბომბი.

ყოველივე ამის შემდეგ საოცრად უსუსურად გაისმის კენედის განცხადება, რომ მას აწუხებს საბჭოთა კავშირის მთავრობის განცხადება ახალი ტიპის იარაღის გამოცდის დაწყების შესახებ.

ამერიკის მმართველმა წრეებმა, რომლებმაც წყნარ ოკეანეში ახალი იარაღის გამოცდების მთელი სერია ჩაატარეს, რის დასასრულსაც პირი არ უჩანს, ამით თავის თავზე აიღეს მომავალ ვითარებათა მთელი პასუხისმგებლობა. როცა ასეთ ავანტიურას იწყებდნენ, ვაშინგტონში არ შეეძლოთ არ სცოდნოდათ, რომ მათ მოქმედებას საბჭოთა კავშირის საპასუხო მოქმედება მოჰყვებოდა. ვაშინგტონი არ მალავს, რომ ამ გამოცდებით ისინი ცდილობენ როგორმე გაუსწრონ ჩვენს ქვეყანას იარაღის სიმძლავრეში.

საბჭოთა ხალხს ახსოვს 1941 წელი. ჩვენ ყოველთვის უნდა ვზრუნავდეთ ჩვენს უშიშროებაზე, ჩვენი ქვეყნის უძლეველობაზე.

შეერთებული შტატების ეროვნულ დღესასწაულზე, ფილადელფიაში პრეზიდენტმა კენედიმ სიტყვა წარმოთქვა: „დღეს, დამოუკიდებლობის დღესასწაულზე უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ მზად ვიქნებით გაერთიანებულ ევროპასთან ერთად განვიხილოთ გზები და საშუალებები კონკრეტული, ატლანტიკური პარტნიორობისა".

კენედის ეს განცხადება ძლიერ მოეწონათ ინგლისის მმართველ წრეებს. მაგრამ სულ უფრო მძლავრად და მძლავრად გაისმის დასავლეთის ზოგიერთი დიპლომატის შეშფოთების ხმები „ახალი ევროპის" შექმნის გამო.

კენედის სიტყვის ის ნაწილი, რომელიც ეხება „საერთო ატომგულის სტრატეგიას", რაც დასავლეთ ევროპას შეუქმნის თავის ატომურ არსენალს, შეშფოთებას იწვევს არა მარტო მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ადამიანებში, არამედ ბევრ ფრანგ, ბელგიელ და სხვა ქვეყანათა მმართველი წრეების ნაწილში.

ამერიკელი „ძია" არ კმაყოფილდება ევროპის საქმეებში ხელის ფათურით. მისი სანუკვარი ოცნებაა ნატოში შემავალი ქვეყნები და, პირველ რიგში, დასავლეთი გერმანია აღჭურვოს ატომური იარაღით და ომის მომავალი ცეცხლი დაანთოს აქ, ჩვენი დიადი სამშობლოს მისადგომებთან.

მსოფლიოში ყველაზე მძლავრი საბჭოთა სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკა, რომელსაც მრავალი ასეული მილიონობით ადამიანი უჭერს მხარს, არარაობად აქცევს იმპერიალისტთა ცდას — ატომური ომის ქარცეცხლში მოაქციოს კაცობრიობა...

ქ. ლალიაშვილი.

# მათი ინიციატივით

მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავთ ბიჭებს. მათი ფიქრი ჯიუტად დასტრიალებდა ერთი და იგივეს. წარმოებაში დასანერგი იყო ქარხნის მოწინავე მუშის ალექსანდრე მერაბიშვილის რაციონალიზატორული წინადადება, რომელიც ფერადი ლითონებისაგან დამზადებული ძალური გამტარების სიგრძის შემცირებას ითვალისწინებდა. ამ წინადადების განხორციელება რამდენიმე ათეულ ათას მანეთს დაუზოგავდა სახელმწიფოს.

ახალგაზრდა კონსტრუქტორების წინ იდო ციფრებით აჭრელებულ რვეულის ფურცელზე გამოხატული პრიმიტიული სქემა. მაგრამ მათ კარგად იცოდნენ: ამ პატარა ფურცელში ჩადებული იყო უბრალო საბჭოთა ადამიანის არა ერთი უძილო ღამე, ძიება და შეუპოვრობა.

დიდხანს ისხდნენ ბიჭები ანზორ ლეკიშვილის სამუშაო ოთახში. ნახაზებში ჩაფლულნი, პაპიროსის კვამლში გახვეულნი. ვინ იცის მერამდენედ ანგარიშობდნენ და ასწორებდნენ აქა-იქ გაპარულ შეცდომებს.

სულ ორი წელია, რაც თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის კომკავშირის კომიტეტის ინიციატივით შეიქმნა საზოგადოებრივ საწყისებზე მომქმედი ეს ახალგაზრდული ბიურო. ბიუროს ინჟინერ-კონსტრუქტორი ანზორ ლეკიშვილი ხელმძღვანელობს. ანზორ ლეკიშვილმა ამას წინათ შეიმუშავა საიპარატო საამქროში სალარავი დაზგის მოდერნიზაციის ახალი კონსტრუქცია და ამით 30 პროცენტით გაზარდა ჩარხის წარმადობა.

ბიურო დღეს 35 ინჟინერ-კონსტრუქტორს აერთიანებს. იგი დიდად ეხმარება ქარხნის მუშა-რაციონალიზატორებს — მიხეილ ხატიაშვილს, ალექსეი ვიტუხინს, გიორგი ჯავახიშვილს, ნოდარ ვალიშვილსა და სხვებს, რომლებსაც დღეს ათობით შეხვდებით ქარხანაში.

თავიდანვე ცნობისმოყვარეობა მოსდგამდა ამწყობი საამქროს ახალგაზრდა მუშას ანზორ მემარნიშვილს. ეს მუდამ მომღიმარი და მხიარული ჭაბუკი საათობით უკირკიტებდა ხოლმე ნახაზებს. სწორედ მან შეიტანა რაციონალიზატორული წინადადება ფერადი ლითონების გამტარების ეკონომიის შესახებ, რომელსაც ახალგაზრდული საკონსტრუქტორო ბიუროს დახმარებით გზა მიეცა წარმოებაში.

ბიუროს აქტიური მონაწილეობით დაინერგა აგრეთვე ახალგაზრდა რაციონალიზატორის მიხეილ კალტაკინის წინადადება ელექტროპნევმატური სარქველებიდან ჰაერის გასასინჯი მოწყობილობების დამზადების შესახებ, რამაც დიდი სახსრები დაუზოგა სახელმწიფოს.





ქარხნის მთელ კოლექტივთან ერთად ახალგაზრდა ინჟინერ-კონსტრუქტორებს დღეს მაინც ახალი რვაღერძიანი ქართული მაგისტრალური ელმავლის „ტ-8"-ს სახელი აკერიათ პირზე. ამ ელმავალზე მრავალი ტექნიკური სიახლეა განხორციელებული. ეს ამ ადამიანების გამრჯე შრომის ნაყოფია, მათი აზრის ზეიმია, მათი პირველი დიდი გამარჯვების სიხარული. ბიუროს წევრებმა ზეპირად იციან, რომ ახალი ელექტრომავლის სიმძლავრე 7.072 ცხენის ძალას უდრის, რაც 25 პროცენტით აღემატება სერიული წარმოების „ჩ-8" მარკის რვაღერძიან ელექტრომავლის სიმძლავრეს. ამავე დროს მისი წონა 8 ტონით ნაკლებია იმავე სერიული ელექტრომავლის წონასთან შედარებით. მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ახალი ელექტრომავლის სიჩქარე და წევის ძალა... ჰკითხეთ ოთარ მექვაბიშვილს, ალექსანდრე სუქიასოვს, გაიოზ ლობჟანიძესა და სხვებს. ისინი მთელ ლექციას მოგასმენინებენ ახალ ქართულ ელმავალზე, რომლის დამზადების დიდ და საპატიო საქმეში მათი წვლილიცაა გალეჭული.

ამ ახალგაზრდებს ყოველ დილით ნახავთ ქარხნის საკონსტრუქტორო განყოფილების ნათელ ოთახებში. აქ, მაგიდებზე გადაშლილ ნახაზებსა, ციფრებსა და დიაგრამებში ცოცხლდება ახალი ტექნიკური აზრი, იქმნება ახალი პროექტები, რომელთა დამუშავებასა და სრულყოფაზე ძალღონეს არ ზოგავს ქარხნის ახალგაზრდობა.

ა. აბესაძე.



# დავით კლდიაშვილი

თავისი შესანიშნავი მოთხრობებით და კომედიებით დავით კლდიაშვილმა მეცხრამეტე საუკუნის დასასრულისა და მეოცე საუკუნის პირველი ათეული წლების ქართულ პროზაში განაგრძო დიდი ქართველი რეალისტების სახელოვანი ტრადიციები და ამავე დროს მოგვევლინა, როგორც ფრიად ორიგინალური და დამოუკიდებელი შემოქმედი, ნოვატორი. დ. კლდიაშვილის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ფართო ისტორიული ხედვა და სოციალური ანალიზის დიდი ძალა. იგი არ ხატავს აბსტრაქტულ ადამიანებს, მის მიერ წარმოდგენილი ადამიანები ყოველთვის დაკავშირებული არიან წრესთან და ეპოქასთან. გამოჩენილ ქართველ პროზაიკოსს განსაცვიფრებლად ზუსტად ეხერხება ადამიანის ხასიათის თავისებურების დახატვა, ჩვენება მისი კავშირ-ურთიერთობისა სოციალურ გარემოსთან. მისი მხატვრული მეთოდისათვის უცხოა ემპირიზმი და დიდაქტურობა. დ. კლდიაშვილი მკითხველს ასწავლიდა არა მარტო სიძულვილს ცხოვრებაში არსებული მახინჯი და უბადრუკი მოვლენებისადმი, არამედ სინამდვილის ჯანსაღი, პროგრესული საწყისების ძიებასა და სიყვარულსაც. დ. კლდიაშვილისათვის, როგორც მხატვრისათვის, დამახასიათებელი იყო, ერთი მხრით, უნარი შეენიშნა მახინჯი, ცუდი, სასაცილო, ხოლო მეორე მხრით, შეუნელებელი ძიება კეთილშობილისა, დადებითისა, ამაღლებულისა. მისი ნაწარმოებები ყოველთვის ოპტიმისტურია. ხედავდა რა აზნაურობის დაცემის სურათებს, დ. კლდიაშვილი ამავე დროს მიისწრაფოდა ეჩვენებინა კარგი ადამიანში, ლამაზი ცხოვრებაში. იგი ადამიანის მოსიყვარულეა, ჰუმანისტია, დემოკრატი მწერალია.

დავით კლდიაშვილი მხატვრულ სახეებში გვაძლევს თავისი დროის სინამდვილის რეალურ სურათებს, ხატავს იმას, რაც გარშემო ხდებოდა და თვითონ ხედავდა. უმეტეს შემთხვევაში მას თავისი მოთხრობების ფაბულად აღებული აქვს ცხოვრებაში მომხდარი ნამდვილი ამბავი. მწერალი თავის მოგონებაში მოგვითხრობს: „ჩვენს ახლო მეზობლად ცხოვრობდა „საიქიოს ნამყოფი“ გლეხი ლევანა სირბილაძე. შესამჩნევი პიროვნება იყო... ბევრი ამბავი იცოდა ლევანამ. ხშირად იტყოდა — დიდი ხნის სიცოცხლე მაქვს, რადგან საიქიო მაქვს მონარბენიო. „საიქიოს ყოფნის“ ამბავი არა ერთხელ მომიყოლებია ლევანისათვის და მისი ეს ნაამბობი თითქმის სიტყვა-სიტყვით შეტანილი მაქვს ჩემს მოთხრობა „მსხვერპლში“; ს. კლდიაშვილი „სამანიშვილის დედინაცვლის“ გამო წერს: „სამანიშვილის დედინაცვლის“ გმირები ბეკინა და პლატონი, არისტო, კირილე მიმინოშვილი სინთეტიკური სახეა იმ ხალხისა, რომელიც თვითონ უნახავს ავტორს სიმამრის ოჯახში, ან ვის შესახებაც სიმამრისაგან გაუგონია. თვით ამბავი, რომელზედაც აგებულია მოთხრობა, დაახლოებით წარმოადგენს ფაქტს. ამბავი გადახდა დავითის სიმამრის ერთ ნაცნობ აზნაურს. მე კარგად მახსოვს ბეკინას პროტოტიპი“. იგივე ბიოგრაფი აღნიშნავს: „აზნაურები, ღარიბნი, გალატაკებულნი, მთელი ეს ქარავანი იმ ტიპების, რომლებიც ასე ცხოვლად აქვს გადმოცემული დავით კლდიაშვილს, დავითის სიმამრის ოჯახში არის გავლილი და აქ მწერლის მიერ დანახული“. ასეთი იყო დ. კლდიაშვილის მოთხრობათა სათავე, საფუძველი. იგი ეყრდნობა ცხოვრებისეულ შთაბეჭდილებებს და ამიტომ რეალურ ფაქტებს მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ ამ ფაქტიურ მასალას იგი უბრალოდ კი არ იმეორებდა, არამედ აჰყავდა ესთეტიკურ სახეებამდე, მხატვრულ განზოგადებამდე, ტიპიურობამდე. ამიტომაა, რომ, თუმცა მისი მოთხრობების გმირები ერთსა და იმავე წრეს ეკუთვნიან, მაინც მრავალფეროვან და დაუვიწყარ ტიპებად არიან გამოქანდაკებულნი.

დ. კლდიაშვილის დიდი შემოქმედებითი ძალა და ნიჭი მთელი გაქანებით გაიშალა მოთხრობების იმ ციკლში, რომლებიც მომაკვდავი აზნაურობის ცხოვრებისადმია მიძღვნილი. ამ ციკლის ნაწარმოებებით („სოლომონ მორბელაძე“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ირინეს ბედნიერება“, „დარისპანის გასაჭირი“, „ქამუშაძის გაჭირვება“ და სხვ.) შევიდა იგი ქართულ ლიტერატურაში, როგორც უაღრესად ორიგინალური მხატვარი. ადამიანებს იგი ხატავს, როგორც განსაზღვრული ისტორიული პროცესის შედეგს, როგორც ნაწილს ამ პროცესისა.

დ. კლდიაშვილი ეკუთვნის იმ მწერლებს, რომლებიც სრულად ფლობენ ჰუმორის ოსტატობას. ჰუმორი დ. კლდიაშვილის შემოქმედების ორგანული თვისებაა, რომლის გამოყოფაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მთელი მისი შემოქმედებიდან. სწორედ ეს აძლევს თავისებურ, განუმეორებელ თავისებურებას მის ნაწარმოებებს. მისი ჰუმორი დიდი ძალისა და ზეგავლენის მომხდენია, მკითხველს არ ტოვებს გულგრილს იმ ამბებისადმი, რომელზედაც მოგვითხრობს მწერალი. უმთავრესია მოქმედი პირის მდგომარეობა, ხოლო სიტყვიერი მასალა უფრო აძლიერებს სურათს.

რეალისტი მწერალი რელიეფურად გვიჩვენებს ურთიერთობას ადამიანის მოქმედებასა და სინამდვილეს შორის, ადამიანს გვიხატავს მის სოციალურ და კონკრეტულ გამოვლინებაში.

დ. კლდიაშვილის პროზისათვის დამახასიათებელია კონკრეტულობა და სიზუსტე. იგი თავის ნაწარმოებებს აშორებს ზედმეტს, რაც არ ემსახურება მოქმედების განვითარებას; ყურადღებას აქცევს არსებითს, საკვანძო სიტუაციებს, წინააღმდეგია გარეგნული ეფექტურობისა. მის ნაწარმოებებში ხასიათები და მოვლენები იხსნება მოქმედებაში.

დ. კლდიაშვილის კომედიებისათვის, ისევე როგორც მოთხრობებისათვის, დამახასიათებელია ცოცხალი, მოძრაობით სავსე დიალოგი, სიტყვათა გაზომვით ხმარება და ხასიათების სრული თავისებურებით გადმოცემა. მისთვის უცხოა რომანტიკული დეკორატიულობა სიტყვაში.

„სამანიშვილის დედინაცვლის“ ავტორი თავის მოთხრობებსა და პიესებში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მხატვრულ დეტალს. ეს დეტალი მეტად დამახასიათებელია მთელი მისი შემოქმედებისათვის. დეტალით, როგორც ერთ-ერთი მოქმედი საშუალებით სარგებლობს ყველა მწერალი — პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, მაგრამ დ. კლდიაშვილთან ის ასრულებს არსებით როლს. მკვეთრი, მკაფიო დეტალით იგი წარმოადგენს ადამიანის სულიერ მდგომარეობასა და მის გარშემო არსებულ ვითარებას. დეტალი მისთვის არ არის ორნამენტი, სამკაული, უმოძრაო ნაწილი მთელისა, არამედ თვით ცხოვრებაა, ხელოვნებაა, რომელიც ვითარდება, რომელიც გამოხატავს სინამდვილის არსებით მხარეებს. საერთო ფონზე ეს დეტალები იშლებიან, როგორც უზარმაზარი სურათები აზნაურების გადაგვარებისა და დაცემისა. რასაკვირველია, აქ ჩვენ არა გვაქვს ის მდგომარეობა, შემდეგში რომ გამოამჟღავნეს დეკადენტური ლიტერატურის წარმომადგენლებმა — სიმბოლისტებმა და იმპრესიონისტებმა, რომლებიც დეტალს მხატვრულ ნაწარმოებში განზრახ აზვიადებენ. ამიტომაც მათ ნაწერებში ხშირად მეტად მკრთალად იყო გაშუქებული ძირითადი მოვლენები. დ. კლდიაშვილი, როგორც რეალისტი მწერალი, ყოველთვის ზომიერებას იცავს. მის მიერ წარმოდგენილი დეტალი გამჭვირვალე და ნატიფია, რამდენიმე დეტალისაგან იგი ხშირად ქმნის დაუვიწყარ პანორამას. დეტალი ბუნებრივად და შეუმჩნევლად შედის ნაწარმოების საერთო კონტექსტში.

დ. კლდიაშვილი თავისი შემოქმედებით წვრილფეხა აზნაურების დაცემისა და გალატაკების მემატიანე იყო, მაგრამ თავისი მხატვრული ნაწარმოებებით გაცილებით უფრო მეტი, გაცილებით უფრო პროგრესული სიტყვა თქვა. დ. კლდიაშვილს არ შეეძლო კრიტიკულად არ მიდგომოდა აზნაურული წოდების ყოფასა და საქმეებს. დ. კლდიაშვილის ნაწარმოებთა პერსონაჟები განწირულნი არიან და მიემართებიან არყოფნისაკენ. მწერალი იქვე გვაძლევს იმის წარმოდგენას, რომ ამ ხალხს იქით იწყება ნამდვილი ცხოვრების გამარჯვება და რომ ეს ცხოვრება თანდათან თავისუფლდება ძველი, მავნე ტვირთისაგან.

შალვა რადიანი.



32



ეროვნული ბიბლიოთეკა

გულნარა ბახტაძე

აგერ მოჩანს გორაკი. მწვანე გორაკი და თეთრი ეკლესია. მერე ქვიტკირის სართულზე შემდგარ მაღალ, დიდაივნიან სახლს დაინახავ. სახლი გარშემო ბუმბერაზ ხეებს შემოუქარგავს. ძველთაძველია წმინდა გიორგის ეკლესია. აქ, სამრეკლოს ზარი რეკდა ასი წლის წინ და ათასი წლის წინათაც. საყდრიდან გამოსული გუნდის გალობა მთელს სიმონეთს ატყობინებდა — წირვა დაიწყო. ბებერი ძელქვაა ამის მოწამე.

მაშინ ძელქვა მარტო იდგა ამ მიდამოში. არც კოპიტი იყო, არც კაკალი. მაგრამ მოვიდნენ ერთხელ ადამიანები და წინ სახლი აეტუზა ძელქვას. გაჩნდა საბძელი, ხულა, ბეღელი, ძელქვას კაკალი ამოუდგა გვერდში. ატმის და ნუშის ყვავილებმა დახატა იქაურობა. აქ მაშინ ერთმა ღარიბმა აზნაურმა დაიდო ბინა და გაშალა ოჯახი. ეს გახლდათ სამსონ კლდიაშვილი — მეზობლის დიდი მოყვარული, სტუმრის მწყურვალი.

ძელქვა აღარ იყო მოწყენილი, სოფელში მზე რომ გადავიდოდა, სამსონი და კესა, მეზობლები, სახლის უკანა აივანზე თავს მოიყრიდნენ, დასხდებოდნენ, იყვნენ მუსაიფში, სიცილში, ოხუნჯობაში. იყო ტკბილი მოლხენა. არც მზის ჩასვლამდე რჩებოდა მარტო ძელქვა. მზისით, ძელქვის ჩრდილს აფარებდა კესა თავს. ყრმას ძუძუს აწოვებდა. ყრმა ხან ტიროდა, ხან იცინოდა. როცა ტიროდა, ძელქვა ტოტს ტოტზე მიახლიდა, აშრიალდებოდა. მაშინ ბიჭი ძუძუს ტუჩს მოწყვეტდა, თავს დედის მკლავზე გადააგდებდა და გაოცებული უცქერდა ბუმბერაზ ხის ფოთოლთა ტაშის კვრას.. ბიჭი აფართხალდებოდა კასკასებდა. ყრმა გაიზარდა, ტუჩზე ულვაში დაიყარა და... ისევ ხშირი სტუმარი იყო ძელქვის. გავიდა წლები. გათეთრდა თმა და ულვაში. ხის ძირას მაგიდა იდგა. თმადათოვლილი, მხრებში მოხრილი მოხუცი აქ მოვიდოდა, მაგიდას მიუჯდებოდა და წერდა. წერდა ბევრს, დიდხანს, წერდა იქამდე, ვიდრე გული უცემდა. ერთხელ აღარ მოვიდა მოხუცი. ძელქვა მიატოვა. სახლი მიატოვა... მეზობლებმა მხრებით გაიტანეს ამ ეზოდან სასიქადულო კაცის ცხედარი.

წავიდა სოფლიდან ბიჭი, ძელქვის ქვეშ შაშვს რომ უდარაჯებდა. წავიდა ადამიანი, ასი წლის წინათ ამ სოფელში გორაკზე შეფენილ სახლის ჭერქვეშ რომ დაიბადა. — გამოჩენილი ქართველი მწერალი, საზოგადო მოღვაწე დავით კლდიაშვილი.

ძელქვა ისევ დგას. ბებერი ძელქვა, 150 წლის ძელქვა ისევ ცოცხალია. ირგვლივ არც კაცი ეგულება მისი ტოლი, არც ხე. შემოეცალა ყველა. განა არ ხარობს ეზოში კოპიტი, კაკალი? ჰყვავის ნუში, ტყემალი, ატამი. ოღონდაც ეს ის კაკალი როდია, დიდმა მწერალმა ერთხელ მის ქვეშ რომ იქორწილა.

ეს კაკლის ხე იმ დიდი კაკლის შვილიშვილის შვილია.

ეზო ისევ ხმაურითაა სავსე. სახლის უკანა აივანი ისევ სავსეა. ძელქვას ესმის აქ გამართული ტკბილი ბაასი. ოღონდ დღეს, მზის ჩასვლისას, აივანზე სამსონი კი არ გამოსულა, აქ არც კესა ჩანს. სერგო, ნუცა და ქეთო სხედან აივანზე — მწერლის შვილები. ირაკლი, რუსუდანი, დოდო, ლალი. ნანა ჩამოსულან ბაბუის სოფელში.

ეზოში სიცილია, ჩხუბი. ბავშვები წუწაობენ: თამაზი, დათუნი, გოგია, გიგა, მარინა, ირინე, კიდევ გოგია — დავითის შვილთაშვილიშვილებია.

დათუნი ბებერ ძელქვას კისერზე მოჯდომია. ასულა ზევით, სულ ზევით და ყიყინებს. ვის ეძახის დათუნი? ფართო შარაზე „ვოლგა" გამოჩნდა და დათუნი თავისთან ეპატიჟება.

აქედან ხელისგულივით მოჩანს სოფელი, ყვირილას ხეობა, ზეკარის უღელტეხილი, თეთრშუბლიანი მთები. სიმინდის ყანები, მინდვრები, ვენახები, ფართო ქუჩა და მანქანები. სადღაა ვიწრო შარა და ხის ბოგირები, ორღობეში მოჩინდრიკე სოლომონ მორბელაძე.

მირბი-მორბიან დატვირთული მ:ნქანები. საბარგულზე ასული გოკაბიჭები მღერიან, სოფელს აყრუებენ.

საწყალი მარინე! ამ სოფელში ცხოვრობდა მარინე. გახსოვთ დავით კლდიაშვილის „მსხვერპლი"? გაცოფებული ფეფინას ჩხუბი რძალთან.

„ეგ თქვენი ახალი განათლება არ მინდა მე, არა, არა მეთქი, გეიგონე ჩემი... ნუ იცი ყოველ კაცთან შენებურად ლაქლაქი, დაურიდებლად უბედობა, არ შეგფერის ეგ ცუნდრუკი და კისკისი". — ასე უქადაგებდნენ სახლში სიცოცხლით სავსე მარინეს. მარინე. ძველი წყობის მსხვერპლია.

დღეს ვინ დაუშლის ღიმილს ამ გოგონებს? ვინ დაუშლის ცეკვას, კლუბსა და კინოში სიარულს? აქ ახლაც ცხოვრობს მარინე. მარინე საბანაძე სკოლაშიც დადის და კლუბშიც. მარინეს თბილისში ოპერის თეატრის სცენიდან უმღერია. სიმონეთელები რადიოთი უსმენდნენ თავიანთი გუნდის გამოსვლას და გული სიამაყით ევსებოდათ. მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მარინემ რაიონი ასახელა. აბა ვინ არის ახლა სოფელში ისეთი უმეცარი, შვილს რომ სიცილი აუკრძალოს?

უკან დარჩა უვიცი, ბნელი სოფელი. უკან დარჩა „დაფსილი" და „დაგლახაკავებული" ხალხი. აზნაური სერაფიონ გორდელაძე, ძაღლი კუსი რომ არჩენდა: — ძაღლი დილიდანვე შემოირბენდა მეზობლებს: ზოგს ჭადს აცლიდა კეციდან, ზოგან კიდევ ქათამს ფრთას წააგლეჯდა, სად კვერცხს მოიტაცებდა და ასე აცხოვრებდა პატრონს. დღეს სერაფიონ გორდელაძის შვილთაშვილები შეძლებული კოლმეურნეები არიან. არც ძაღლის სამადლო აქვთ რამე, არც მეზობლის. შრომის ფერხულში ჩაბმულა ყველა. სადღაა „გადაპრანჭული", „უკუდო" თავადაზნაურობა, თითს თითზე რომ არ აკარებდა, შრომას არ კადრულობდა, ძაღლს კი პირიდან ლუკმას ართმევდნენ.

სიმონეთი იმერეთში ერთი ლამაზი, მიწანოყიერი სოფელია, გულხელს ნუ დაიკრეფ და ხვავით და ბარაქით აგივსებს კალთას. ჰოდა, ჩაბმულა მუშაობაში ქალი და კაცი. სიმონეთელების გამრჯე შრომამ ნაყოფიც გამოიღო. კოლმეურნეობაში გასულ წლებთან შედარებით სულ უფრო და უფრო იმატა წლიურმა შემოსავლიანობამ. შრომა დღეზე კოლმეურნეები ახლა ოთხჯერ მეტს იღებენ გასულ წლებთან შედარებით. გაიზარდა სოფელი, აშენდა სახლები. სიმონეთში არის სახერხი ქარხანა, მაღაზიები, საავადმყოფო.

„უბედურ მოხუცებულობას შეესწრო მიქელა გიორგაძე, სულ მოკლე, მოკლე ხნის განმავლობაში მიწას მიაბარა თავისი სამი ვაჟი, ერთი ცოლშვილიანად. მრავალრიცხოვანი ოჯახიდან მას შერჩა მხოლოდ ორი შვილიშვილი და დაქვრივებული რძალი მაია".—ასე იწყება დავით კლდიაშვილის შემზარავი მოთხრობა მიქელა. ღმერთმა გასწირა მიქელა და მის საყვედურს მაინც ვერ ათქმევინებ „მადლობა უფალს!" — ყველაფერი მისი ნებით ხდება!—ამბობს მიქელა.

„ღმერთის ნების ქვეშ" დარჩენილი ხალხი, სხვა გზა რომ არ ჰქონდა, ისევ ღმერთს შესთხოვდა შველას. სოფელში არც მკურნალი იყო ვინმე, არც წამალი იშოვებოდა. ახლა სიმონეთელები ღმერთის თხოვას ისევ ექიმის შეწუხებას ამჯობინებენ. სოფელში აფთიაქია. აქვეა საავადმყოფო.

რამდენი სიხარული მოაქვს სოფელში კაცის დაბადებას!

პლატონ სამანიშვილს თუ რამ საწყენი ჰქონდა ოჯახში, ეს იყო მისი ცოლის მელანოს ხშირი შვილოსნობა. პლატონი, მამის ერთადერთი შვილი „თავის გულითად მადლობას უცხადებდა ზეციურ მამას, რომ შემცილებელი არავინ გამოუჩნდა ღარიბ ლუკმაში". მაგრამ დახეთ უბედურებას! დაქვრივდა ბეკინა სამანიშვილი და ცოლის შერთვა მოინდომა. ამ ამბავმა თავზარი დასცა პლატონს. პლატონი გადაწყვეტს თვითონ შეურჩიოს მამას საცოლე. მოსძებნა კიდევაც პლატონმა ორნაქმარევი ქვრივი და შერთო ცოლად მამას. მაგრამ იმედი გაუცრუვდა: ქალს ბეკინასაგან ვაჟიშვილი შეეძინა. ოჯახში დიდი ტრაგედია დატრიალდა.

დღეს სიმონეთში ბევრია მრავალშვილიანი ოჯახი. რიმა და შალვა სირაძეებს ცხრა შვილი ჰყავთ. პავლე გვეტაძეს ათი; ისიდორე და თამარ საბანაძეებს — თერთმეტი. ტყუპები რომ შეეძინა თამარ საბანაძეს, სახელმწიფომ ოთხასი მანეთი ფულადი ჯილდო მისცა გმირ დედას.

„წანწალმა მომკლა მართა ჩემო, წანწალმა, — ერთ საღამოს მისვლის უმალ მიმართა თავის ნათესავ ქალს დარისპანმა.—დავათრევ ამ ოჯახდასაქცევს და კაცი არ გამოჩნდა ამის წამყვანი". დღეს სიმონეთში სოლომონ მორბელაძის და მართას გარეშეც ბევრი ქორწილებია. ისიდორე საბანაძემ ხუთი ქალიშვილი გაათხოვა.— არ დამიყენეს გოგოები სახლში — ესაა თამარის საწუწუნო და სადარდებელი.

ახალმა ცხოვრებამ სიკეთე და სიხარული მოუტანა სიმონეთელებს. იზრდება სოფლის ხვავი და ბარაქა, სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება სოფელი. სადღაა უსინათლო სიმონეთი, სტუმრის მისვლისას ქონის სანთელს რომ აანთებდა მასპინძელი. ხმარებაში ლამპაც არ იყო. ოთახი ბუხარში ანთებულ ცეცხლით ნათდებოდა.

ღამე ლამპიონებით გაჩაღებულა სიმონეთი. ქუჩაში შუქია. ეზოში შუქია. ძელქვისქვეშ ელექტრონათურა ბრჭყვიალებს და გორაკზე შეფენილი მაღალი სახლიდან სინათლე მოჩანს. აქ არც დიდს სძინავს, არც პატარას. ძელქვაც ფხიზლობს. სახლის უკანა აივანზე ფუსფუსია. ასი წლის წინათ, ერთ მშვენიერ დღეს ამ სახლში ყრმა დაიბადა — გამოჩენილი მწერალი, დიდი საზოგადო მოღვაწე დავით კლდიაშვილი.



სოფელში თენდება. დავითის შვილთაშვილები, შვილთაშვილიშვილები დილას ძელქვისქვეშ ეგებებიან.



„როსტომ მანველიძე“

# დავით კლდიაშვილის

## ნაწარმოებთა ილუსტრაციები

შესრულებული მხატვარ ზ. ლეჟავას მიერ



„სამანიშვილის დედინაცვალი“



„სოლომან მორბელაძე“



„სამანიშვილის დედინაცვალი“



თბილისი. რუსთაველის პროსპექტი

ფოტო თ. არჩვაძისა



გენიალური რუსი მწერალი მაქსიმ გორკი მხატვრულ ლიტერატურას ოთხმოცდაათიან წლებში მოევლინა, როცა მას, ოცდაორი წლის ენერგიითა და სიცოცხლით სავსე ჭაბუკს, უკვე განვლილი ჰქონდა ცხოვრების დიდი სკოლა. გორკის ფეხით შემოევლო დედა-რუსეთის ტრამალები, რათა გაეცნო თავისი ქვეყანა, „დაენახა თუ როგორ ცხოვრობდა ხალხი“.

დიდი პროლეტარული მწერალი მაქსიმ გორკი ღატაკი ხელოსნის ოჯახში დაიბადა. როცა წამოიზარდა, მას კიდევ უფრო ღრმად, ამ საზოგადოების ფსკერამდე მოუხდა ჩასვლა. მან განიცადა ობლობა, შიმშილი და სიცივე, მძიმე ფიზიკური შრომა და მიუსაფრობა, მწარე დამცირება და უუფლებობა, აღვირახსნილი ჩაგვრა და ექსპლოატაცია. ყოველივე ამან გამოაწრთო მისი დიდი ნებისყოფა და უსაზღვრო სიმპათია ჩაგრული ადამიანებისადმი: გააღვიძა მასში შემოქმედებითი და რევოლუციური შემართება, გამოიყვანა იგი ცხოვრებისა და ბრძოლის ასპარეზზე და ხელში აალებინა ბასრი იარაღი. იგი იარაღით ხელში სულ უფრო და უფრო ზევით ავიდა. ფრთები შეისხა და, როგორც შევარდენი, ცაში აფრინდა. აფრინდა მაღლა, სულ მაღლა, — მსოფლიო დიდების ზენიტზე; იგი გახდა ჩვენი ქვეყნის მკითხველთა საყვარელი მწერალი და მსოფლიო დიდება მოიხვეჭა.

ხალხის წიაღიდან გამოსულმა მწერალმა თავის ნაწარმოებთა გმირებად ხალხი გაიხადა. შექმნა ეგრეთწოდებული რომანტიკული გმირების მთელი გალერეა და უკვდავყო ხალხის ძალა. „მაკარ ჩუდრაში“ მან უმღერა თავისუფლებას, — ადამიანის ღირსებასა და სიამაყეს; „ქალიშვილსა და სიკვდილში“ დაგვიხატა არსებობისადმი სიყვარულის და ადამიანური ოპტიმიზმის ძალა, რომელსაც ვერ სძლევს სიკვდილიც; დანკოს სახით გორკიმ ნათელყო ხალხისათვის გმირული თავდადების უკვდავება.

# 70 წლის წინათ...

სიყვარული ადამიანისადმი, შრომისადმი, სამშობლოსადმი, — ასეთია დიდი ჰუმანისტი და პატრიოტი მწერლის რომანებისა და მოთხრობების დედააზრი. გორკი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ამხილებდა და ნიღაბს ჰგლეჯდა კაპიტალიზმს. გორკის ყოველი ნაწარმოები ძლიერი მოწოდებაა თავისუფლებისაკენ.

მაქსიმ გორკის სახელი, მისი შემოქმედებით სარბიელზე გამოსვლა საქართველოს და ქართველ ხალხს უკავშირდება.

დიდი რუსეთის სახელოვან შვილს, გენიალურ მხატვარს მაქსიმ გორკის, უსაზღვროდ უყვარდა საქართველო და ქართველი ხალხი. „მე მხურვალედ მიყვარს ეს მშვენიერი ქვეყანა, — წერდა მაქსიმ გორკი, — სილამაზისა და ძლიერების გრანდიოზული განსახიერება, მისი თოვლით დაფიფქული მთები, — სწრაფ, მოჩუხჩუხე მდინარეთა მხიარული ხმაურით აღსავსე მინდვრები და ხეივნები — მისი ლამაზი, ამაყი შვილები“.

მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე გორკი მადლიერების გრძნობით იხსენიებდა საქართველოს: „რომ სწორედ ამ ქვეყნის დიდებულმა ბუნებამ და მისი ხალხის რომანტიკულმა სინაზემ — სწორედ ამ ორმა ძალამ შემაგულიანა და მომცა ბიძგი, რომელმაც ლიტერატორად გამხადა ყოფილი მაწანწალა“.

საქართველო და თბილისი მაქსიმ გორკისათვის იყო არა მარტო პოლიტიკური, რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისი, არამედ მისი მხატვრული შემოქმედების აკვანიც. აქ დაიწერა გორკის ბრწყინვალე ნაწარმოებები: „მაკარ ჩუდრა“ და „ქალიშვილი და სიკვდილი“. „მაკარ ჩუდრას“ გამოქვეყნება თბილისის „კავკაზში“ 1892 წელს დიდი ბიძგი იყო მომავალი დიდი მწერლისათვის. ამიტომ უწოდებდა მაქსიმ გორკი საქართველოს თავის „მეორე სამშობლოს“, სადაც მოხდა, როგორც მან შესანიშნავად თქვა, მისი „ლიტერატურული დაბადება“.

მაქსიმ გორკის შემოვლილი აქვს ბათუმი, სოხუმი, ქუთაისი, გორი, ბორჯომი, თელავი... სოხუმში იგი გზატკეცილის მშენებლობაზე მუშაობდა. აქ მიღებული ცოცხალი შთაბეჭდილების უშუალო ნაყოფია მისი ფართოდ ცნობილი მოთხრობა „ადამიანის დაბადება“. გორში ყოფნის დროს გორკი დაესწრო ორი მეამბოხე გლეხის სიკვდილით დასჯას, რაც მან მაღალმხატვრული რომანტიკული ფერებით დაგვიხატა შემდეგ თავის ერთ-ერთ საგაზეთო ნარკვევში. ნარკვევი გამოქვეყნდა 1896 წელს „ნიჟეგოროდსკი ლისტოკში“.

ქართველი ხალხის რევოლუციურ ბუნებას მიუძღვნა დიდმა მხატვარმა თავისი ერთ-ერთი შესანიშნავი რევოლუციურ-რომანტიკული მოთხრობა ციკლიდან „შურისგება“.

ქართველი ხალხი ყოველთვის დიდი პატივისცემით ეპყრობოდა მაქსიმ გორკის სახელს. საქართველოს მშრომელები სათუთად ინახავენ ამ დიდი ჰუმანისტი მწერლის ნათელ ხსოვნას და სიამაყის გრძნობით აღნიშნავენ, რომ საქართველოში, სწორედ ამ სამოცდაათი წლის წინათ, თბილისში დაიბადა, ფეხი აიდგა და ფრთა გაშალა გამოჩენილი რუსი მწერლის მაქსიმ გორკის შემოქმედებითმა ნიჭმა.

# კიკვიძის ძეგლი თბილისში

ვასილ გვეტაძე

გმირთა მოედანს უკვე ლვიძავს და ქარვის ფერით,
უამრავ ფერით შეღებილი ბაღიც ილვიძებს.
ამდროს ყოველთვის მე აქ მხვდება ნაცნობი მზერით,
მომცრო კვარცხლბეკზე დანდობილი ვასილ კიკვიძე.

შეხედე თვალო!.. ყრმობის წლებში ბევრჯერ ნახული
ის ასე დარჩა, მე კი კიდეც გავჭაღარავდი...
ქროლვით მოაგდო გაქაფული ყარაბახული,
დონის ტრიამალ მინდვრებიდან ქართლის კარამდი.

გამოჩნდა... ბინდებს ფეხაკრეფით აჰყვა დუმილი...
თითქოს ბორცვზეა ბრძოლის ველის გადამხედვარი.
შუქში ჰაერი შეშრიალდა აბრეშუმივით
და მოედანთან ხელხმლიანი დადგა მხედარი.

დადგა კვლავ ფიცხი, კვლავ გამტანი, მკლავუტყუარი,
დიდ გზით გამტევი, ორმოცი წლის დაუნახველი;
კაცი, რომელმაც თვით სიბერეს უთხრა უარი
და სიჭაბუკედ დაიტოვა ქვეყნად სახელი.

ვარაზის ხევში გაუშლია ბოლო კარავი
და იმერული ალვის ტოტი მხრებზე შეხლია.
ამ რუხ ქვაშია სულჩადგმული, თავშემფარავი,
რჩეული ჩემი, საოცნებო ჩემი სეხნია.

და დღე თბილისის თბილი უბით ამონანთები,
გვერდით ჩაუვლის, ვით მეგზური, მასთან მიმსვლელი.
შავს ბრინჯაოში ბუქში გახსნილ ნაბდის კალთებით,
ძეგლად დამდგარა ეს ვაჟკაცი ქუთაისელი.

მტრის სისხლს შხეფებად ასხურებდა მდელოს ფარჩიანს,
სანამ ქურდულად ნასროლ ტყვიას არ იპოვიდა.
თავმისადებად მყუდრო დონის უბე არჩია
და ქართლში სიყრმის მოსაგონარ ძეგლად მოვიდა.

ძველ კარმიდამოს დაუბრუნდა, არ დაერიდა,
ცეცხლთან პირისპირ მოკისკასე ხმლის შემმართველი.
აქ დაესახლა, აქ დამკვიდრდა ამიერიდან:
გმირთა მოედანს შეეფარა გმირი ქართველი.

მოვიდა... ასე ამთავრებენ გზას რჩეულები...
დგას გამზრდელ მიწის თბილ კალთაზე მკლავმოხვეული,
და თითქოს ისევ მტრისკენ იქნევს ხმალს ჩვეულებრივ
ეკლარის ქვებში მომწყვდეული მისი სხეული.

...შენც, ლექსო, ქვეყნად ბედმა ბევრი გახეტიალა,
თვალს აბრჭყვიალებს სანატრელი ფერების ფარჩა...
ახლა იცოდე: ან დამაგდე სადმე ტიალად,
ან დარჩი ისე, როგორც ვერ ეს ძეგლი დარჩა.



კახეთის ეს წარმტაცი სოფელი ახლობელი და ძვირფასია ყველა ქართველისათვის.

ჩვენი რომანტიკული პოეზიის მშვენება, რუსეთის არმიის სახელოვანი გენერალი ალექსანდრე ჭავჭავაძე ამ კუთხეში მუდამ გახსნილი შუბლითა და ალალი გულით ეგებებოდა სტუმრებს.

წინანდლის ჭავჭავაძიანთ მამულში ყოველი მხრიდან მოდიოდნენ რუსეთიდან და უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრები: გამოჩენილი პოეტები და მწერლები, მომღერლები და ოფიცრები, დიდგვაროვანი მოხელეები და კავკასიაში გადმოსახლებული დეკაბრისტები...

პეტერბურგში წარგზავნილი პირველი ქართველი ელჩის გარსევან ჭავჭავაძის მემკვიდრის სალონში შეკრებილი სტუმრები ინტერესით ეცნობოდნენ ჩვენი ქვეყნის დიდი კულტურისა და გმირული წარსულის ამბებს, გულწრფელ აღტაცებას გამოთქვამდნენ ქართული სუფრის წესისა და ადათის, მისი ეშხისა და გულუხვობის გამო.

პურადი მასპინძლის ოჯახს მუდამ კმაყოფილები სტოვებდნენ სტუმრები და მერე ვერასოდეს ვეღარ ივიწყებდნენ ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულების— ნინოსა და ეკატერინეს მშვენებას, ვარსკვლავებით მოჭედილ წინანდლის ზეცასა და სურნელოვან კახურ ღვინოს.

ქართველი ქალების ეშხმა და კამკამა „წინანდალმა" სამუდამოდ დაატყვევა ცნობილი ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა, რომელიც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ აღტაცებით იხსენებდა საქართველოში გატარებულ დღეებს.

წინანდლის მთვარიან ღამეში აბა ვინ იცის, რამდენჯერ უოცნებიათ ერთმანეთის მხარდამხარ ჩამომსხდარ ალექსანდრე გრიბოედოვსა და მის მომხიბვლელ მეუღლეს ნინოს, უოცნებიათ და მათი დიდი სიყვარულის უკვდავ მოწ-სწრე — წინანდლის მიწა კიდევ უფრო საყვარელი გაუხდიათ მომავალი თაობებისათვის.

მაგრამ სოფელი წინანდალი მარტო წარსულის ტკბილად მოსაგონარი ამბებით როდი გამხდარა ჩვენთვის ესოდენ საამაყო და ახლობელი.

წალკოტად ქცეულ წინანდალში ახლა ყოველწლიურად დიდი რაოდენობით მზადდება საუკეთესო ხარისხის სამარკო ღვინო, რომელმაც სხვა ქართულ სასმისებთან ერთად, ჩვენს რესპუბლიკას მთელს მსოფლიოში გაუთქვა სახელი.

„წინანდლის" ქებათაქება ხშირად გაისმის საკავშირო და საერთაშორისო დეგუსტაციებზე. სხვადასხვა გამოფენებზე და ბაზრობებზე. ამ ღვინის შესახებ საერთო მოწონებას გამოთქვამენ მეღვინეები და მეცნიერები, ცნობილი ადამიანები და რიგითი მომხმარებლები.

ყოველივე ამის შემდეგ კი აბა რა გასაკვირია, რომ ხუთი მედლის მფლობელმა „წინანდალმა" ამას წინათ კიდევ ერთხელ ისახელა თავი საუკეთესო ღვინოების „ჰიდილში" და მეექვსე ოქროს მედალი დაისაკუთრა...

თუ თქვენ მსოფლიოში აღიარებული ღვინის კუთხეს — სოფელ წინანდალს ესტუმრებით, პირველ რიგში, ალბათ, სახელოვანი ქართველი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის კარმიდამოს დათვალიერებას მოისურვებთ. მერე ფრანგი დეკორატორის არნოლდ რეგელის ხელმძღვანელობით გაშენებულ წინანდლის ცნობილ პარკშიც გაისეირნებთ და სხვადასხვა ძვირფასი მცენარეების ხილვით დაატკბობთ თვალს.

ქარხნის კორპუსების გულდასმით დათვალიერება და ადგილობრივი მუზეუმის ექსპონატების გაცნობა, რა თქმა უნდა, დიდ აღტაცებაში მოგიყვანთ, მაგრამ წინდაწინვე იცოდეთ, რომ თქვენი შთაბეჭდილება წინანდალზე სრული არ იქნება, თუ ამ კუთხის ცოცხალი მემატიანე პაპა ალექსიც არ მოინახულეთ.

ალექსანდრე ბატიაშვილი, რომლისთვისაც ზედმეტ სახელად „სუფთა პაპა" შეურქმევიათ, როგორც თვითონ ამბობს, მიმდინარე წლის ენკენისთვეში 105 წლისა შესრულდა.

ბევრი ხაინტერესო ამბის მომსწრეს „სუფთა პაპას" კარგად ახსოვს შამილის წინააღმდეგ ბრძოლის ამბები, ახსოვს წინანდლის ჭავჭავაძისეული მამულის საუფლისწულო გამგებლობაში გადაცემა და კახეთში პირველი ღვინის ქარხნის მშენებლობის დაწყება...

სიყვარულით იხსენებს პაპა ალექსი ალექსანდრე ჭავჭავაძის ვაჟიშვილს დავითს, რომელიც სახელოვანი მამასავით ვაჟკაცური ბუნებისა და კეთილი ხასიათის ადამიანი ყოფილა.

ერთხელ, ვენახში მომუშავე ალექსის თავზე მოულოდნელად წამოსდგომია ქალაქიდან მომავალი დავითი. მევენახეობის კარგ მცოდნესა და მოყვარულ დავითს დიდხანს უდევნებია თვალი გატაცებით მომუშავე გლეხისათვის, შემდეგ კი მხარზე ხელის დაკვრით უთქვამს:

— ვაზი საქართველოს ძლიერების წყაროა... ღმერთმა აკურთხოს ყველა მევენახის მარჯვენა, ვინც ჩვენი მამა-პაპასავით შვილივით უვლის ამ ძირმადლიან მცენარეს...

დავით ჭავჭავაძე მუდამ მზრუნველობით დასტრიალებდა თავის საუკეთესო მამულებს, ძალასა და შეძლებას არ იშურებდა მევენახეობის განვითარებისათვის, მაგრამ მალე ერთმა უხიაგმა შემთხვევამ უმოწყალოდ ჩაშალა მისი გეგმები და ხელიდან გამოაცალა წინანდლის მამაპაპეული მამულები.

ერთხელ, დავითის თბილისში ყოფნის დროს, წინანდალს მოულოდნელად შემოესივნენ ლეკები და ჭავჭავაძიანთ მამული დაარბიეს.

სხვა სიმდიდრესთან ერთად, ლეკებმა დავითის ოჯახის წევრებიც გაიტაცეს და სწრაფად მიიმალნენ მთებში.

სასოწარკვეთილი ოჯახის მამა მოციქულს მოციქულზე უგზავნიდა შამილს,



რომელიც ბოლოს და ბოლოს დაითანხმა უკანვე დაებრუნებინა ტყვეები. მაგრამ თავის გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად შამილმა დიდი გასამრჯელოს გაღება მოითხოვა. 40 ათასი მანეთი ოქროთი და რუსების მიერ პეტერბურგში წაყვანილი შვილის დაბრუნება! — ასეთი იყო შამილის მტკიცე გადაწყვეტილება, რომლის შეცვლას იგი არაფრის დიდებით არ თანხმდებოდა.

საჭირო თანხის საშოვნელად დავითი იძულებული გახდა მეფის რუსეთის მთავრობისათვის მიემართა თხოვნით და თავისი მამაპაპეული მამულები დაეგირავებინა.

დავით ჭავჭავაძემ, როგორც იქნა, მოახერხა ოჯახის ტყვეობიდან დახსნა, მაგრამ უზარმაზარი ვალების დაფარვა ველარ შეძლო და მისი მამულები საუფლისწულო სარგებლობას გადაეცა.

ჭავჭავაძიანთ მარნის ადგილზე, რომელიც 12 ათას დეკალიტრ ღვინოს იტევდა, 1884 წელს ინჟინერ ოზეროვის პროექტით წინანდლის ღვინის ქარხნის პირველი კორპუსი ააშენეს.

მიუხედავად იმისა, რომ საუფლისწულო მამულში დიდი ყურადღება ექცეოდა ახალი ზვრების გაშენებასა და ღვინის დაყენების ტექნოლოგიის გაუმჯობესებას, წინანდლის მევენახეობა-მეღვინეობის მძლავრი აღორძინება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო.

წინანდალში ამჟამად მუშაობს თანამედროვე ტიპის ღვინის ქარხნის რამდენიმე კორპუსი, რომლებიც უშვებენ სახელგანთქმულ ღვინოს „წინანდალს", ორდინალური ღვინოების № 15-ისა და № 23-ის მასალებს.

კეთილმოწყობილ კორპუსებში ღვინის მიღების ტექნოლოგიური პროცესი მთლიანად მექანიზებული და ავტომატიზებულია.

წინანდლის ღვინის ქარხნის სათავსოები ერთდროულად 800 ათას დეკალიტრს იტევს, ყოველწლიური ბრუნვა კი 1.200 ათას დეკალიტრამდე აღწევს.

ჩვენი მეცნიერები, მეღვინეობის დარგის გამოჩენილი სპეციალისტები მუდამ მზრუნველობითა და შეუნელებელი ყურადღებით დასტრიალებენ წინანდალს, თავიანთ ძალას, ცოდნასა და გამოცდილებას არ იშურებენ ამ საუკეთესო ღვინის კიდევ უფრო სრულყოფისა და გაუმჯობესებისათვის.

სწორედ ამიტომაც არის, რომ „წინანდალი" ყოველწლიურად უფრო და უფრო მეტ გავრცელებასა და საყოველთაო აღიარებას იმსახურებს. ეს ღვინო ახლა დიდი რაოდენობით იგზავნება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. მათ შორის კაპიტალისტურ ქვეყნებშიც. საკმარისია ითქვას, რომ მარტო ჩეხოსლოვაკელმა მეგობრებმა შარშან ჩვენი რესპუბლიკიდან 85 ათასი დეკალიტრი ქართული ღვინოები მიიღეს, ამ ღვინოებს შორის კი ყველაზე დიდი მოთხოვნილება „წინანდალზე" იყო.

საქართველოს მეღვინეობის ერთ-ერთ უმძლავრეს კერაში — წინანდალში მონდომებით მოემზადნენ მეღვინეობის მსოფლიო კონგრესისათვის ღირსეულად შესახვედრად. ღვინის ქარხანაში დაიდგა ახალი სრულყოფილი საწნეხი აგრეგატი, ამ დღეებში დამთავრდება მეორე რიგის სარდაფისა და 4 სართულიანი სათავსოს მშენებლობა, რომელიც 150 ათას დეკალიტრ ღვინოს დაიტევს.

წინანდალში ჩამოსული სტუმრებისათვის აშენდა ახალი სადეგუსტაციო დარბაზი, შეკეთდა და კეთილმოეწყო სასტუმრო...

გაივლის კიდევ რამდენიმე დღე და მზიური საქართველოს დედაქალაქში შეიკრიბებიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული სპეციალისტები. კონგრესი თავის მუშაობაში შეაჯამებს მევენახეობა-მეღვინეობის დარგში მოპოვებულ წარმატებებს, იმსჯელებს მთელი რიგი პრობლემების გადაჭრაზე, ახალ გზებსა და პერსპექტივებს დასახავს მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარებისათვის.

მუშაობის დამთავრების შემდეგ კონგრესის მონაწილეები საქართველოს მევენახეობის რაიონებს ეწვევიან. ბევრი რამ ახალი და საინტერესო ელით მათ წინანდალში. სტუმრები დაათვალიერებენ წინანდლის სახელგანთქმულ ზვრებს, გაეცნობიან ღვინის ქარხნის მუშაობასა და ღვინის შენახვის მეთოდებს. ეჭვს გარეშეა, რომ დიდ ინტერესს გამოიწვევს ახალი ტიპის ე. წ. როტორული კარუსელური ტიპის საწნეხი აგრეგატი, რომლის წარმადობა საათში 30 ტონას უდრის, ყურძნის ტკბილის უწყვეტი ნაკადური დუღილის მეთოდი და სხვა სიახლენი...

ფოტო თ. არჩვაძისა.



— მიხარია, შვილებო, მიხარია და მეამაყება, რომ მსოფლიო კონგრესი ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში ტარდება, — კმაყოფილი ამბობს „სუფთა პაპა", — წინანდალში ჩამოსულ სტუმრებს პირველად მე უნდა მივაწოდო კახურით სავსე ყანწი და ჩვენი მიწის ბარაქა, გამრჯე მევენახის მარჯვენა და ყველა კეთილი ადამიანის ძმობა და მეგობრობა დავალოცვინო...

ტ. ჯანიაშვილი.



# ნანული

ქეთევან ელისაბედაშვილი

მოთხრობა

მხატვარი ნ. მალაზონია



ეჰა, რა კარგ დროს მოვედი! ავტობუსი წასვლას აპირებს. ზედ შევახტი, კიბეზე ასულმა ნანული დავლანდე. იმანაც შემნიშნა.

— საით? — მანიშნა შორიდან.

— კერამიკის ქარხანაში!

ნანულის თვალები გაუფართოვდა.

—მეც წამოვალ!—დამიძახა და ჩემსკენ წამოვიდა.

მანქანაში ხალხის სიხალვათემ მე და ნანული პირისპირ შეგვყარა და ვკითხე:

— შენ სადღა მიდიოდი!

— ინსტიტუტში.

— მერე?

— არაფერია, დავაგვიანებ! ჩქარა დავბრუნდები.

— მე საღამომდე ვერ ვახერხებ უკან ჩამოსვლას! —ვუთხარი, თან თვალი ვერ მოვაშორე. თითქოს დღეს პირველად ვნახე. ნანულის თვალები უბრწყინავდა, ტუჩებისათვის თავი ვერ მოეყარა. წვრილი, თანაბარი კბილების თეთრი მწკრივი მოუჩანდა, — რა გიხარია? — ვკითხავდი, მაგრამ სარკმელში იხედება. გაქცეულ ვიტრინებსა და ქვაფენილზე მოფუსფუსე ხალხს გასცქერის. მე კი მისი ალეწილი ლაწვები, თითქოს რაღაცას მეუბნება. — ნანული კარგი გოგოა! — ვფიქრობ გულში.

დარდიმანდი მძღოლი მანქანას უეცრად სძრავს და უეცრადვე აჩერებს. მგზავრები ერთმანეთს ეხეთქებიან, ნანული მე მეკვრის, მეხება მხარით და ვგრძნობ თხელი თითების სიგრილეს.

ჩვენ თვალწინ გარბიან დიღმის მასივები, ზაჰესის ელსადგური. აჰა, დიდებული ჯვარი, სამთავრო და სვეტიცხოველიც.

მცხეთაში ჩამოვედით. მე და ნანული გზას მივყვებით.

გვიანი შემოდგომის მზიანი დღე. თითქოს თავს გვაწონებს. გამქრალა მწვანე ფოთოლთა სიხასხასე და მთების კალთებზე შეფენილ ხუჰუჰა ჯაგნარებიდან ჭნავი და თრიმლი წითლად გვიცინის. ფეხქვეშ ფოთლები შრიალებენ. მშრალი, გაყვითლებული ფოთლები.

— ვისაც აქაური შემოდგომა არ უნახავს, არც ნამდვილი სილამაზე უნახავს, — თქვა ნანულიმ და გზაზე გადავიდა. აქ მეტი გაყვითლებული ფოთლები ყრია.

ქარხანაში მაგვიანდება და ნანულის მაინც ვთავაზობ, წავიდეთ სვეტიცხოველში.

— არა, ახლა იქ რა გვინდა?!

— ჯვარი დავიწეროთ! — ვუთხარი და იდაყვში გამოვდე ხელი.

— არა გრცხვენია, გურამ?—ნანულიმ ხელი წამართვა, მწყრალად შემომხედა. ამ გამოხედვაში არც სიკეკლუცე იგრძნობოდა და არც მოჩვენებითი გაჯავრება. მივხვდი, გაბედულად ვიხუმრე. შემრცხვა.

— რა კარგი ხარ, გურამ, რომ შემხვდი და აქეთ წამომიყვანე!

— კარგი ვარ? — ვიკითხე გაოცებულმა.

— ხო, კარგი ხარ! — მითხრა ნანულიმ.

ხმამაღლა გადავიხარხარე.

ნანულიმ თვალი ჩემი პერანგის გაღეღილ საყელოს შეავლო, მერე სვეტიცხოველს გახედა.

გვერდში თბილისიდან მომავალმა ავტობუსმა ჩაგვიქროლა.

კერამიკის ქარხანაც გამოჩნდა. ნანულიმ თეთრ შენობას დაადგა თვალი.

— იცი, გურამ, ახალი სასტუმროს მოსაცდელი დარბაზის გაფორმება მე დამავალეს, —მეუბნება ნანული.

— მერე?

— რომ იცოდე, როგორ მჭირდება კერამიკა, იმიტომ გამეხარდა შენი დანახვა!

— იმიტომ?!

— როგორ გგონია, გურამ, დარბაზი, რომ მოჭიქული კერამიკის ფილებით გავაწყო, მოვართებს?

— კარგი იქნება!

— არა, მარტო დარბაზი-კი არა, ქუჩიდან შესასვლელ სადარბაზო კარებთან, რომ კერამიკის საჩრდილობელი დაედგას, ხომ კარგი იქნება?! — შემომძახა ნანულიმ, რაღაცა, შინაგანი სიხარულით და მოშვილდული კონტური ჰაერში ხელით მოხაზა.

გულწრფელად მომეწონა მისი ჩანაფიქრი. წარმოვიდგინე შავად მოჭიქული ფილები მზის სხივებს როგორ აათამაშებს. მე ხომ კერამიკის გიჟი ვარ, მუდამ ვცდილობ, ავამეტყველო, ავამოძრაო.

— ოჰო, რა კარგია, თითქოს გამვლელ-გამომვლელს ესალმება და ყველას შინ იპატიჟებს! —წამოვიძახე ალტაცებულმა.

ნანულიმ რატომღაც წარბები შეყარა.

— რატომაც არა, სალამი ეგებ, არც არავის უნდა დაუჭირო, მაგრამ შინ ხომ ყველას არ შეუშვებ? — მითხრა და თაფლისფერი თვალები თავით ფეხამდე შემავლო.

ქარხნის კარები უსიტყვოდ შევაღეთ, თიხის სუნი და ხმაური შემოგვეგება.

ჩვენთვის ყურადღება არავის მოუქცევია. მე ნანული ჩემ დაზგასთან მივიყვანე. ვინანე, რომ გუშინ ჩემი დაზგა არ ავალაგე. თიხის სორსლები, მავთულის ნაკუწები და იარაღები დაზგაზე ისევ ყრია. ნანულის ჩემი ნამუშევრებით გამწკრივებულ თაროზე მივუთითე. ნანული უსიტყვოდ შეაცქერდა ყარყარა სურას.

—არა, ეგ, ჯერ გამომწვარი არ არის! — დავაწიე ნაჩქარევად.

— ჰო, ვხედავ, მაგრამ ახლა კერამიკით სხვა რამეც გავაკეთოთ!

— არც ეგ არის გამორიცხული.

ნანულიმ ჩვენს საამქროს მოავლო თვალი.

— ეჰა, რამდენი რამ გაკეთებულა, მოჭიქული ლარნაკები, ჯამები, ჰინჰილები თუ სურები. რა მშვენიერი შვლის ნუკრია, ეს ხომ ჩხიკვებია—ქეთევანი და ზაქარა. ვისია ნეტა. ვინ გააკეთა!—თქვა და სახეზე ალტაცებული ღიმილი შემოენთო.

— მე გავაკეთე!

ნანულიმ თაფლისფერი ჰკვიანი თვალების მზერა ფუსფუსა საამქროზე გადაიტანა.

კარებში ძია შაქრო შევნიშნე.

— ნანული, აი ჩვენი ოსტატიც! — ვუთხარი და იდლიაში ამოჩრილი ნახაზების გრაგნილი გამოვართვი.

მე ახლა ნანულის უკან მივდევ და მის მიმოხვრას თვალს ვერ ვაშორებ, მინდა მისი მოძრაობა დავიხსომო, რომ თიხაში გადავიტანო.

ძია შაქრომ შეგვნიშნა და ნაბიჯს მოუნელა. მე და ნანული ოსტატთან მივედით.

— ძია შაქრო, იცნობდეთ კერამიკის დიდ გულშემატკივარს, კერამიკის ფილებით უნდა გააწყოს დარბაზი,—ვუთხარი ღიმილით და ნანული წარვუდგინე.

ოსტატმა გამხდარ ფოსოებში ჩაცურებული პატარა, კეთილი თვალები, ნანულის შეავლო.

— ძალიან კარგი, ასე პატარა ქალმა თუ ეს იფიქრა! — თქვა მან და ნანულის გაწვდილი ხელი უნდილად ჩამოართვა.

ისინი მაგიდასთან დასხდნენ.

მე თუმცა თიხას სველი ტილო ავხსენი და დაზგაზე დასაზელად დავაგდე, ყურადღება მაინც იმათ-

კენ მაქვს. — რამ შემცვალა ასე, მეშინია ნანულის ყოველი სიტყვა და მოძრაობა არ გამომრჩეს.

—კეთილი, მაგრამ თანხები? ჩვენ პატარა ღუმელში ასეთი ფილების გამოწვა არ მოხერხდება! ამბობს ოსტატი.

— ამხელა ფილების გამოწვა არ შეიძლება?! იკითხა ნანულიმ და დაღონდა.

ეჰა, ნეტავ შემეძლოს. უზარმაზარ ცეცხლს ავაგიზგიზებ, რომ შენი ჩანაფიქრი მთელ ქვეყანას ვუჩვენო! — გავიფიქრე მე.

ნანული ოსტატს დაღონებული დაემშვიდობა და ჩემთან მოვიდა.

— რა გითხრა?

—მომიწონა, გაბედული ჩანაფიქრიაო, მაგრამ ჯერ არაფრის იმედი არ მომცა. ტყუილად წამოვედი! — ნანულის სახეზე სინანული აღებეჭდა. მინდოდა მეთქვა, არა, ნანული, შენ ტყუილად არ წამოხვედი, მაგრამ ვერ ვუთხარი. გავუღიმე და მწვანედ მოჭიქული ლარნაკი ვაჩუქე.

საამქროდან ერთად გამოვედით.

გზაზე იდგა თბილისისკენ მიმავალი მანქანა.

— ამ მანქანას გავყვები! — მშვიდობით, გურამ, ნახვამდის! — თქვა ნანულიმ და გაიქცა.

მე ვდგავარ და ვუყურებ, ნანულიმ ქუჩა გადაირბინა. კაბინის კარები დვაფუნით დაიხურა და ავტობუსი გზას გაუდგა.

— რა კარგი გოგოა, ასე ჩქარა რად გაუშვი ბიჭო! წავიდა და ყველაფერი გათავდა ხომ? — მითხრა ხელის ჩაქნევით ოსტატმა, როცა ავტობუსი მოსახვევში გაუჩინარდა.

—კი არ გათავდა, ახლა დაიწყო!—მინდოდა მეთქვა, მაგრამ გულში არ ჩავახედე ამ კაცს.

# მთავარია ტირაჟმა აიწიოს...

ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ ბულვარულ გაზეთში „ნიუ-იორკ ჯორნელ ამერიკენში“ ამას წინათ გამოქვეყნდა რამდენიმე სენსაციური წერილი. ამ წერილების საერთო სათაური იყო: „ნიუ-იორკის ოთხი ათასი ბიჭი და გოგო ნარკოტიკებს იყენებს.“

გაზეთის რეპორტიორებმა მოახერხეს შეეღწიათ ახალგაზრდა ნარკომანთა და ნარკოტიკებით მოვაჭრე ადამიანთა საიდუმლოებით მოცულ სამყაროში. მათ დაადგინეს, რომ ნიუ-იორკის სხვადასხვა რაიონებში არსებობს ამერიკული ბარის ტიპის სპეციალური კლუბები, სადაც ახალგაზრდებს შეუძლიათ ფარულად მიიღონ ნარკოტიკები. ამ ნივთიერებებით მოვაჭრეები ახალგაზრდებისათვის სპეციალურად აწყობენ ე. წ. „სალამოებს“, სადაც დიდი რაოდენობით ასაღებენ თავიანთ საქონელს. ნარკოტიკები ახალგაზრდებისათვის ნიუ-იორკის გარეუბნებშიც ვრცელდება. ცნობილი გახდა ისიც, რომ სტემფორტში ექვსი თვის მანძილზე ნარკოტიკების დიდი დოზით გამოყენების შედეგად გარდაიცვალა თექვსმეტი წლის ამერიკელი.

მაგრამ შეშინებული მშობლები გაზეთის ფურცლებზე ამაოდ ეძებდნენ იმის ახსნას, თუ როგორ უნდა ებრძოლონ იმ საშინელ დანაშაულს, რომელიც ბევრი ამერიკელი მოზარდის სიცოცხლეს იწირავს.

ასეთი საკითხებით თავის შეწუხება გაზეთს არც კი უფიქრია, მან მხოლოდ მორიგი სარფიანი ბიზნესი გააკეთა და მკითხველებს გააცნო ახალგაზრდა ამერიკელი ნარკომანების ამბავი.

როგორც ჟურნალი „ნიუ-სუიკი“ აღნიშნავს, გაზეთის მესვეურებმა მხოლოდ თავიანთი საქმე გაჩარხეს: ამ სენსაციის მეოხებით მათ შეძლეს „ნიუ-იორკ ჯორნელ ამერიკენის“ ტირაჟი 25 ათასით გაეზარდათ.

რაც შეეხება ამერიკელ მშობლებს, ისინი კვლავ განიცდიან შიშს თავიანთი შვილების მომავალზე. კაპიტალისტური სამყარო ხომ არ უმზადებს მათ ბავშვებს ისეთსავე ბედს, როგორიც გაზეთში იყო მოთხრობილი? — აი რაზე ფიქრობენ მშობლები.

ეს ფიქრი კი საფუძველს როდია მოკლებული. ამერიკაში კვლავ აყვავების გზაზეა ნარკოტიკებით ფარული ვაჭრობა. ამას წინათ მანჰეტენში დააკავეს ქალი, რომელიც თითქმის თავისუფლად ყიდდა ნარკოტიკებს. იგი პარკში იჯდა და მშვიდად არწევდა საბავშვო ეტლში მისვენებულ შვილს. ბავშვის ლეიბის ქვეშ კოკაინი ეწყო, რომელსაც სწრაფად აჩეჩებდა ხელში კლიენტებს.

არასრული მონაცემების მიხედვით, ამჟამად 46 ათასი ამერიკელი ფარულად ყიდულობს ნარკოტიკებს. ნარკოტიკების გამყიდველები სულ უფრო ფართოდ ასაღებენ თავიანთ საქონელს ახალგაზრდებში. ყოველ ათას ამერიკელ მოზარდში 38 მაინც ხმარობს ნარკოტიკებს.

# დავით კლდიაშვილის უცნობი დღიური

საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში სხვა ძვირფას დოკუმენტთა შორის დაცულია ჩვენი სასიქადულო მწერლის დავით კლდიაშვილის ნაქონი ორი უბის წიგნაკი. პირველი მათგანი უფრო მომცროა, ეწოდება „უბის წიგნაკი“, ყდა აღარა აქვს და შედგება 26 ფურცლისაგან, რომლის ყველა გვერდზე ჩანაწერი გვხვდება; ხოლო მეორე, პირველზე უფრო მოზრდილი „უბის წიგნაკია“ ლურჯი ყდითა და წარწერებით: „Записная книга на 1885 годь“. ამ უკანასკნელის ჩანაწერი ფურცლები იწყება ოცდამეცამეტე გვერდიდან (17 იანვრიდან) ვიდრე 383 გვერდამდე (29 დეკემბრამდე).

დავით კლდიაშვილის „უბის წიგნაკები“ — როგორც პირველი, ისე მეორე, ფრიად საინტერესო უცნობ ჩანაწერებს წარმოადგენს, რადგან ეს „დღიურები“ ჩვენს საამაყო მწერალს უწარმოებია გაცილებით ადრე (1882-1885 წწ.) მოსკოვის სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, სანამ იგი თავისი შემოქმედებითი პროდუქციით სამწერლო ასპარეზზე გამოვიდოდა (მისი პირველი ორიგინალური ნაწარმოები „შერისხვა“ დაიბეჭდა 1894 წელს ჟურნალ „მოამბეში“ № 5, გვ. 95-108).

მწერლის „უბის წიგნაკის“ ამ ადრინდელ ჩანაწერებში ჩვენ ვეცნობით ბევრ საინტერესო და საყურადღებო ამბავსა და ფაქტს, რითაც დასტურდება: როგორც თხზულებათა თემა, ისე პერსონაჟთა ტიპაჟი მწერალს გაცილებით ადრე შეუსწავლია და ლიტერატურულად დაუმუშავებია.

დავით კლდიაშვილის ამ „დღიურებით“ (ისინი მწერლის უბის წიგნაკებია) ნათელი ხდება ვინ იყვნენ მის უკვდავ თხზულებათა პერსონაჟების პროტოტიპები.

მას ზედმიწევნით შეუსწავლია რევოლუციის წინა დროინდელი ზემო იმერეთის თავად-აზნაურთა და გლეხთა ყოფა-ცხოვრება, უბის წიგნაკში აღუნუსხავს მისთვის საინტერესო მოვლენა და ფაქტი და ცალკეული ეპიზოდები, რის საფუძველზე შეუქმნია თავისი კლასიკური მოთხრობები.

დავით კლდიაშვილის „უბის წიგნაკში“ გვხვდება აგრეთვე ცალკეული ფიგურალური თქმები, მწერლის ორიგინალური აზრები საყოფაცხოვრებო და ზნეობრივ საკითხებზე და სხვა. მაგრამ ჩანაწერების დიდი ნაწილი ეკუთვნის დავით კლდიაშვილის თხზულებათა თემებს, პერსონაჟთა ხასიათებსა და ტიპაჟის მოკლე აღწერას.

სანიმუშოდ მოგვყავს დ. კლდიაშვილის უბის წიგნაკებიდან რამდენიმე ჩანაწერი. პირველ უბის წიგნაკში ვკითხულობთ: „სიღარიბე—გაჭირვებული აუტანელი ცხოვრება.

ჩივილი — აქედან ჭიჭყინი, დავები და ჩხუბი ოჯახშიც და გარეთაც. — (მამა და შვილი) ლორთქიფანიძე (მკვლელობა)....

ხასიათი ცოლ-ქმრის — სხვებს უკან არ რჩებიან. დღესასწაული (ძაღლმა ხორცი მოპარა)..

სამი აბაზის გადახდევინება (უბაშმაკებოდ დარჩენა. ჩივილი)...

ვფიქრობთ ეს ჩანაწერი უწარმოებია მოთხ. „სამანიშვილის დედინაცვლის“ შესაქმნელად.

ამავე უბის წიგნაკში ვხვდებით ვარიანტულად განსხვავებულ აბესალომის დიალოგს ვიქტორთან (პიესა „ირინეს ბედნიერებიდან“).

„თავის გულში გინდ მტერივით ვძულდე, ოღონდ სხვას, სხვას არ შეამჩნევინოს,— ვუნებაში ჭაბუკი ვძულდე, ჩემთვის სულ ერთია... ოღონდ ქვეყანაში თავს ნუ მჭრის, ნუ მარცხვენს, ნუ მამცირებს იმაზედ რომ როდამიშვილს ჩემზე უპირატესობას აძლევს!“.

დ. კლდიაშვილის მეორე უბის წიგნაკში, რომელიც დღიურს წარმოადგენს, უფრო მეტი ადგილი უკავია მის თხზულებათა პროტოტიპებისა და ნამდვილი ამბების მოკლე ჩანაწერებს, რომელთა საფუძველზე მწერალს თავისი მხატვრული ტილოები შეუქმნია.

ეს ჩანაწერებია სათაურებით: „ორი შთამომავლობა“, „კესარია სამანიძე“, „ალექსი გიორგაძე“, „ანდრია ჭყონია“, „ლუკა შემოქნაძე“, „გიორგაძე და კესარიას საუბარი“, „ფარდა ახდილია“ და სხვა.

დავით კლდიაშვილის ეს უცნობი „დღიურები“ უდავოდ საინტერესო დოკუმენტალურ მასალას წარმოადგენს ჩვენი სასიქადულო მწერლის შემოქმედებითი ისტორიის გასაცნობად და ნათელსაყოფად.

**დ. გელდიაშვილი.**



36

# თავისუფლების ქანდაკება?



— ვიდრე გემი ნიუ-იორკის პორტში შევიდოდეს, მგზავრის წინაშე წამოიმართება თავისუფლების უზარმაზარი ძეგლი, რომელიც წარმოდგენილია ქალის სახით. ამ ძეგლს „მისს ლიბერტისაც“ ეძახიან. წელს 75 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც ფრანგებმა „დამოუკიდებლობის დღის“ აღსანიშნავად ეს კოლოსი ამერიკის ხალხს აჩუქეს.

ძეგლი დგას ნაპირიდან მოცილებულ პატარა კუნძულ ბედლოუზე, რომელსაც ყოველი მხრიდან ეხლება ოკეანის ბობოქარი ტალღები და ქარბუქი. ამის გამო ძეგლის ოდესღაც ბრწყინვალე ზედაპირს მუქი ფერი გადაეკრა და ახლა იგი ოდნავ მომწვანო სახით გამოიყურება.

1865 წელს ვერსალში, გამოჩენილი პუბლიცისტისა და იურისტის ედუარდ ლაბულეს მიერ მოწყობილ ბანკეტზე წარმოიქმნა აზრი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დღისა და მონათმფლობელურ სამხრეთზე გამარჯვებასთან დაკავშირებული ზეიმის აღსანიშნავად საფრანგეთს ამერიკელთათვის მიეძღვნა საჩუქარი თავისუფლების დიდი ქანდაკების სახით. პროექტი, რომელიც შეადგინა ელზასელმა სკულპტორმა ფრედერიკ ოგიუსტ ბარტოლდიმ, გამოხატავდა ამერიკისა და საფრანგეთის მეგობრობას. ძეგლის აგების იდეამ პირველხანად ყველა აღაფრთოვანა, მაგრამ მალე აღტაცება გულგრილობამ შესცვალა და საჩუქარზე ლაპარაკი მოისპო. 1870 წელს საფრანგეთ-პრუსიის ომმა იმსხვერპლა მოქანდაკე ბარტოლდის მშობლიური ქალაქი კოლმარი და ხელოვანი კვლავ დაუბრუნდა თავისუფლების ძეგლის აგების იდეას. ახლოვდებოდა შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის ასი წლისთავი. ბარტოლდის გონებაში ცნება „თავისუფლება“ მტკიცედ ეჯაჭვებოდა თავისი მშობლიური ელზასის ბედს, რომელიც პრუსიის უღელქვეშ გმინავდა. ბარტოლდიმ ძეგლის აგების საკითხი ისევ ლაბულეს შეახსენა, რომელიც კვლავ აღენთო ოდესღაც მის მიერ წამოყენებული იდეით და საქმეც მტკიცედ წავიდა წინ. ბარტოლდი ამერიკას გაემგზავრა და იქ, ნიუ-იორკის პორტის დათვალიერებისას დაებადა აზრი ძეგლის სწორედ იმ სახით გამოკვეთისა, როგორაც ის ახლა გამოიყურება. 1875 წელს საფრანგეთ-ამერიკის კავშირმა ძეგლის პროექტი დაამტკიცა (ეს საზოგადოება დაარსდა ძეგლის ასაგები სახსრების შეგროვებისა და მშენებლობის პრაქტიკული ხელმძღვანელობისათვის.).

ბარტოლდიმ მრავალი მაკეტი ააგო. ძეგლს ოფიციალური სახელი შეერქვა — „თავისუფლება, რომელიც მსოფლიოს ანათებს“. იგი წარმოადგენს ფიგურას ქალისას, რომელსაც ზეაწეულ მარცხენა ხელში ჩირაღდანი, ხოლო მეორეში — კანონთა კრებული — თავისუფლების დეკლარაციის სიმბოლიური გამოხატულება უჭირავს. ქალის ფერხთით დაყრილია ბორკილების ნამსხვრევები.

ბარტოლდი დიდხანს ფიქრობდა, თუ როგორ აეგოთ კოლოსი, რომელიც გაუძლებდა ევროპიდან ამერიკაში გადატანას, ამავე დროს შესარჩევი იყო მასალა, რომელიც გაუძლებდა ნიუ-იორკის ნავთსაყუდში აბოლებულ კვამლსა და ჭვარტლს. მოქანდაკის არჩევანი შეჩერდა სპილენძზე. კარკასი უნდა დამზადებულიყო რკინისა და ფოლადისაგან.

კარკასის მშენებლობა იკისრა სახელოვანმა ფრანგმა ინჟინერმა გუსტავ ეიფელმა, სწორედ იმან, რომელმაც შემდეგ. მსოფლიო გამოფენასთან დაკავშირებით, პარიზში ააგო 300 მეტრის სიმაღლის კოშკი, რომელსაც მისი ავტორის და მშენებლის — ეიფელის სახელით ვიცნობთ. პირველი მოდელი სიმაღლით მეტრი და 25 სანტიმეტრი იყო, შემდეგ თანდათანობით იზრდებოდა ჩამოსხმა და ბოლოს „მისს ლიბერტი“ დღევანდელი სახით მიტანილ იქნა კუნძულ ბედლოუზე და 1886 წლის ბოლოს დიდი ზეიმით გაიხსნა კიდეც.

იმ საღამოს პირველად აინთო ძეგლის ჩირაღდანი და მას შემდეგ არ ჩამქრალა. ძეგლი, თუ არ ჩავთვლით მისი ზედაპირის ბრჭყვიალებას, დროთა ვითარებაში სრულიად არ შეცვლილა. უკვე თორმეტი წელიწადია ძეგლში დაყენებულია უცვლელი ტემპერატურა, რაც ხელს უშლის სინესტის დაგროვებას და ნაგებობის დეფორმაციას.

ნაგებობის პიედესტალზე ამოტვიფრულია პოეტი ქალის ემა ლაზარიუსის სიტყვები:

„მომიყვანე შენი უსახლკარონი, დაჩაგრულები, ყველა, ვინც თავისუფლებაზე ოცნებობს.“ ძეგლის ამგებნი ამ სიტყვებში გულისხმობდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მიეშურებოდნენ ამერიკისკენ, რათა დევნისაგან, გაჭირვებისაგან, ჩაგვრისაგან დაეხწიათ თავი და იქ ახალი სამშობლო ენახათ. მათ შორის იყვნენ მონათმშენებლური ჩაგვრისაგან განაწამები ზანგები, რომლებიც ამერიკაში შვებასა და ადამიანურ უფლებებს ელოდნენ. გაცუდდა ლაზარიუსის სიტყვები: სწორედ ადამიანური თავისუფლების ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ ილაშქრებენ მესვეურნი შეერთებული შტატებისა, რომელთა წინაპრებს ფრანგებმა საჩუქრად მიუძღვნეს თავისუფლების გამომხატველი ეს კოლოსი „მისს ლიბერტი“, რომელსაც წელს სამოცდათხუთმეტი წელი უსრულდება.

ა. ვარმარიძე.

დღითი დღე იზრდება ადამიანთა მოთხოვნილებები პრესის, რადიოს, ტელევიზიის, კინოს და კულტურული ცხოვრების სხვა სფეროებში.

1948 წელთან შედარებით გაზეთებისა და ჟურნალების რაოდენობა ამერიკის შეერთებულ შტატებში და ევროპაში შემცირდა, ხოლო საბჭოთა კავშირში, სამხრეთ ამერიკაში. აზიასა და აფრიკაში განუხრელად იზრდება.

მსოფლიოს ყველა კუთხეში გამომავალი ყოველდღიური გაზეთების საერთო რიცხვი 6.120-დან 7.660-მდე გაიზარდა, ხოლო მათი ტირაჟი 219 მილიონიდან 288 მილიონამდე ავიდა. იუნესკოს ცნობით, პრესის ყველაზე დიდი ზრდა აფრიკაში შეიმჩნევა. ბუნებრივიცაა, რომ კოლონიალიზმის უღლისგან განთავისუფლებული აიხსნება მოსახლეობის რაოდენობის ზრდით.

ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები აქვს საბჭოთა კავშირს, სადაც კინოდანადგართა რაოდენობა 15.200-დან 59.000-მდე გაიზარდა, თუ 13 წლის წინათ ჩვენს ქვეყანაში ფილმებს 600 მილიონი მაყურებელი ჰყავდა, ახლა ეს რიცხვი სამ-ნახევარ მილიარდამდე ავიდა. აფრიკაში კინოდანადგართა რაოდენობა 1.335-დან—2.800 ავიდა. ყოველწლიურად კინოფილმებს იქ 250 მილიონი მაყურებელი ჰყავს. აზიაში 1948 წელს 6.800 კინოთეატრი იყო, ახლა იქ 15.900 კინოდანადგარი მუშაობს, ხოლო მაყურებელთა რაოდენობა სამ მილიარდზე მეტია.

ევროპასა და ოკეანიაში კინომაყურებელთა რაოდენობა შემცირდა. განსაკუთრებით ეს

## ციფრები

ხალხები ცდილობენ განავითარონ ეროვნული კულტურა და, პირველად ყოვლისა, შექმნან საკუთარი პრესა. აფრიკაში ყოველდღიური გაზეთების რიცხვი 171-დან 262-მდე, ხოლო ტირაჟი 1,9-დან 3 მილიონამდე ავიდა.

უკანასკნელი 13 წლის მანძილზე რადიომ და ტელევიზიამ გიგანტური ნაბიჯები გა- ითქმის ჩრდილოეთ ამერიკაზე. ტელევიზიამ ამერიკის შეერთებულ შტატებში 9 ათასი კინოთეატრის დახურვა გამოიწვია, ხოლო ყოველწლიურად მაყურებელთა რაოდენობა ყოველ ადამიანზე 24-დან — ათამდე ჩამოვიდა.

საინფორმაციო სააგენტოები აფრიკაში გაცილებით სწრაფად ვითარდება, ვიდრე სხვაგან. ამ-

## ფაქტები

დადგეს წინ. ამ პერიოდში რადიო-გადამცემთა რიცხვი 5.450-დან 11.670-მდე, ხოლო მიმღებთა რიცხვი 161 მილიონიდან — 866 მილიონამდე გაიზარდა. მსოფლიო მოსახლეობის სწრაფი ზრდის მიუხედავად, ყოველ 100 ადამიანზე მიმღებთა რაოდენობა 7-დან 13-მდე ავიდა.

აზიაში რადიოგადამცემთა და რადიომიმღებთა რაოდენობა სამჯერ გაიზარდა. ახლა იქ 1.100 რადიოგადამცემია 1948 წლის 398-თან შედარებით.

მსოფლიოში კინოთეატრთა რაოდენობა 1948 წელს 95 ათასი იყო, ხოლო 1962 წლისათვის 167 ათასი. მთელს ქვეყანაზე კინოფილმებს ახლა წელიწადში 15 მილიარდი კაცი უყურებს. აქვე უნდა ითქვას, რომ, საშუალოდ, ახლა ერთი კაცი ფილმებს იმდენჯერვე ესწრება, რამდენჯერაც ცამეტი წლის წინათ, ე. ი. 5-ჯერ. ეს ჟამად აფრიკის 20 სახელმწიფოს აქვს საკუთარი სააგენტო. სულ ხუთიოდე წლის წინათ მხოლოდ 5 სახელმწიფოს გააჩნდა საკუთარი სააგენტო. მაგრამ აფრიკაში ჯერ კიდევ ძალზე სუსტადაა დაყენებული კავშირგაბმულობის საქმე.

ზემომოყვანილი ციფრები და ფაქტები მკაფიოდ ღაღადებენ, თუ ჩვენს ქვეყანაში როგორი ტემპით ვითარდება კულტურული ცხოვრება და მისი ყველაზე მეტად დამახასიათებელი დარგები — პრესა, რადიო, ტელევიზია, კინემატოგრაფია, მაშინ, როდესაც შეერთებულ შტატებში საგრძნობლად მცირდება ყველა ეს დარგი. ასევე თვალნათლივია სურათი, როდესაც ვლაპარაკობთ კოლონიალიზმის უღლისაგან განთავისუფლებულ აფრიკის ქვეყნებზე, სადაც დღითი დღე მძლავრდება და მრავლდება პრესა, რადიო, ტელევიზია და კინო.

# წარსულის გმირული ფურცლები



(1812 წლის სამამულო ომის 150 წლისთავის გამო).

1812 წლის სექტემბერში ბოროდინოს ველზე რუსეთის არმიამ გენერალური ბრძოლა გაუმართა ნაპოლეონის ჯარს. ამ ბრძოლით რუსეთის არმიამ ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა სამხედრო ხელოვნების ისტორიაში. ბოროდინოს ბრძოლამ დასაბამი მისცა რუსეთის დასაპყრობად დაძრული ნაპოლეონის „უძლეველი" არმიის განადგურებას.

რუსეთის ჯარის თავგანწირულმა და გმირულმა ბრძოლამ, გამოჩენილი მხედართმთავრის კუტუზოვისა და სხვა სარდლების გამჭრიახობამ აღტაცებაში მოიყვანა მთელი მსოფლიო.

ბოროდინოს ბრძოლაში ერთ-ერთი თვალსაჩინო როლი შეასრულა გამოჩენილმა მხედართმთავარმა პეტრე ბაგრატიონმა. იგი ხელმძღვანელობდა საბრძოლო მოქმედებას მარცხენა ფრთაზე, სადაც ნაპოლეონი თავის ძირითად დარტყმებს აწარმოებდა. ბაგრატიონის ხელმძღვანელობით რუსის ჯარი მტკიცედ იცავდა „შლეფებს" (საველე სიმაგრეებს), რასაც საფრანგეთის არმიის საუკეთესო ძალები შეაწყდა.

ქართველი თავადი პ. ბაგრატიონი 17 წლისა იყო, როცა კავკასიაში მუშკეტერთა პოლკში სერჟანტად ჩარიცხეს. 1788 წელს იგი მონაწილეობას იღებდა ოჩაკოვის ბრძოლაში, სადაც თავისი სიმამაცით მალე მიიპყრო სუვოროვის ყურადღება. სუვოროვი დიდად აფასებდა მის სამხედრო ნიჭს, გამბედაობას, სიზუსტესა და თავდაჯერილობას.

1799 წელს პ. ბაგრატიონი უკვე გენერალ-მაიორია. იგი მონაწილეობას იღებს სუვოროვის მიერ მოწყობილ ლაშქრობებში — ჯერ იტალიელთა, შემდეგ კი შვეიცარიაში საფრანგეთის არმიის წინააღმდეგ. ამ ბრძოლებში სუვოროვი ბაგრატიონს თავის საიმედო დასაყრდენად თვლიდა.

1805 წელს ავსტრო-რუსეთისა და საფრანგეთის ომში პ. ბაგრატიონმა გამოავლინა უდიდესი სამხედრო ტალანტი, რის გამო კუტუზოვმა თავისი „ჩინებული თანაშემწე" უწოდა და გენერალ-ლეიტენანტის წოდებაზე წარადგინა, 1808-09 წწ. შვეციასთან ომში პ. ბაგრატიონმა მთელი რიგი ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვა. 1809 წლის აგვისტოში იგი ინფანტერიის გენერლის ჩინით დანიშნეს მოლდავეთის არმიის მთავარსარდლად, რომელიც დუნაიზე მოქმედებდა. 1811 წლიდან იგი სარდლობს პოდოლსკის არმიას, რომელსაც შემდეგში დასავლეთის მეორე არმია ეწოდა.

1812 წლის სამამულო ომში პ. ბაგრატიონი დასავლეთის მეორე არმიას სარდლობდა. ფრანგთა ჯარი რიცხობრივად მნიშვნელოვნად აღემატებოდა რუსეთის არმიას. ბოროდინოს ბრძოლაში ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს ბაგრატიონი ყუმბარის ნამსხვრევით დაიჭრა მარცხენა ფეხში.

რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც დაჭრილ სარდალს უთხრეს, ფრანგები მოსკოვში არიანო, იგი რამდენიმე წამი უძრავად იჯდა გაფითრებული, თვალები რისხვით უბრწყინავდა, შემდეგ წამოხტა, ყავარჯენი განზე გადისროლა, ბარბაცით რამდენიმე ნახტომი გააკეთა ოთახში, თანაც დაჭრილ ფეხს გამეტებით ურტყამდა იატაკზე, მერე კი ყრუ გოდებით მიესვენა იქ მყოფთა ხელებზე...

გამოჩენილი გენერლის, უშიშარი და გაუტეხელი მებრძოლის პ. ბაგრატიონის ვაჟკაცურმა სულმა ვერ გაუძლო შემზარავ ცნობას მოსკოვის დატოვების შესახებ და მალე გარდაიცვალა.

მეოთხედი საუკუნე გაატარა ბაგრატიონმა ბრძოლების ქარცეცხლში და მტრის ტყვია არასოდეს შეხებია მას. ჯარისკაცებს მტკიცედ სწამდათ, რომ მათ საყვარელ მეთაურს მტრის ტყვია არ ეკარებოდა და თუ მიეკარებოდა, ვერაფერს ვერ დააკლებდა, მაგრამ ამჯერად ფაქტი ჯიუტი იყო..

ბოროდინოს გმირული ბრძოლა, რუსეთის არმიის ჯარისკაცების თავდადება, პ. ბაგრატიონისა და სხვა გამოჩენილი გენერლების ღვაწლი მუდამ ჩაუქრობელ შუქურად დარჩება სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხების გულებში.

ნ. ცისკარაული.

# „თავისუფალი სამყაროს" სინამდვილე

...გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორმა ედგარ გუვერმა ჟურნალისტებთან საუბარში თანამედროვე ამერიკის შემზარავი ფაქტები მოიყვანა: ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველ 58 წუთში ხდება მკვლელობა წინასწარი განზრახვით, ყოველ 39 წუთში — გაქურდვა გატეხვით, ყოველ 6 წუთში — გაძარცვა; გაუპატიურება — ყოველ 34 წუთში, ქურდობა — ყოველ წუთში.

...ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩადენილი ყველა დანაშაულის ნახევარი ახალგაზრდობაზე მოდის.

...ჩიკაგოს ერთ-ერთი სკოლა დაინტერესდა თავისი აღზრდილების ბედით. როგორც შემოწმებით გამოირკვა, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდობის 48 პროცენტმა ვერ შეძლო სამუშაოს შოვნა.

...ოფიციალური მონაცემებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ამჟამად უმუშევარია 16-დან 25 წლამდე ასაკის მილიონზე მეტი ახალგაზრდა.

...ამერიკაში ხშირად წააწყდებით ჭაბუკებისა და ქალიშვილების ჯგუფს, რომელთა მიზანია... „მშვიდობიანი მოსახლეობის ტერორი". ახალგაზრდები ბოთლებითა და ქვებით ლეწავენ ფანჯრების მინებს, ამტვრევენ ყველაფერს, რაზედაც ხელი მიუწვდებათ.

როგორც გაზეთები აღნიშნავენ, ნიუ-იორკში ასეთი 150 ჯგუფი არსებობს, ბოსტონში —40, ათეულობით ბანდა „მოღვაწეობს" ჩიკაგოსა და ლოსანჯელოსში.

...სპეციალურმა გამოკვლევამ უჩვენა, რომ ნიუ-იორკის შტატის ქალაქ ჭასაიკის ციხეში მოთავსებული სისხლის სამართლის დამნაშავეთა 760 პატიმრიდან თითქმის ყველა... ღრმად მორწმუნე ადამიანია.

ყოველივე ამის შემდეგ, ქალაქის მორწმუნეებმა აღარ იციან, როგორ უნდა გაიგონ შეგონება—„რელიგია სულიერად ამაღლებს ადამიანს და მორალურად ხვეწავს მას".

...ამერიკის ერთ-ერთ დიდ ქალაქში ლოს-ანჟელოსში გაიხსნა კოლეჯი, რომლის დანიშნულებაა ქალიშვილებს შეასწავლოს... სცენაზე ტანსაცმელის „ესთეტიკური" გახდა.

როგორც კოლეჯის ხელმძღვანელმა აღნიშნა, ამერიკაში ბევრი ლამაზი ქალიშვილია, რომლებსაც სურთ, მაგრამ არ იციან, სცენაზე მოხდენილად როგორ უნდა გაიხადონ სამოსი. ახლა კი მათ აქვთ საშუალება სწრაფად და იაფად დაეუფლონ ამ „ხელოვნებას."

...პენტაგონის საგანგებო დავალებით, ვაშინგტონის სახელობის ინსტიტუტის ფსიქოლოგიის კათედრის მეცნიერმა მუშაკებმა დაიწყეს „მეტად მნიშვნელოვანი პრობლემის" შესწავლა. მათი ამოცანა იყო დაედგინათ... რომელი ჯარისკაცი უფრო უკეთესად იბრძვის — კათოლიკე თუ პროტესტანტი.

„მეცნიერული" ძიების შემდეგ დადგენილი იქნა, რომ კათოლიკე ჯარისკაცები უკეთესად ომობენ, ვიდრე პროტესტანტები.

...წინასაარჩევნო კომპანიის დროს კენედიმ საზეიმოდ განაცხადა, რომ ყველაფერს გააკეთებს სკოლების მშენებლობისათვის, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის...

ეს დაპირებები შემდეგ უარყოფილი იქნა უსახსრობის მოტივით, პენტაგონის უზარმაზარი სამხედრო მანქანა კი ყოველწლიურად ზღაპრულ თანხებს ხარჯავს მასობრივი მოსპობის იარაღის შექმნისათვის, ომის ისტერიისა და უნდობლობის გაღვივებისათვის...

ლ. შოთაძე.



37

# ბრძოლით ნაწრთობი მეგობრობა

ზურაბ ახვლედიანი

რუსი და ქართველი ხალხების მეგობრული ურთიერთობის მრავალსაუკუნიან მატიანეში არა ერთი და ორი შესანიშნავი ფურცელი ჩასწერეს რუსეთის არმიაში მყოფმა ჩვენმა თანამემამულეებმა. ისტორიამ შემოგვინახა ქართველ მხედართა სახელები, რომელნიც მედგრად იბრძოდნენ რუსი მეომრების მხარდამხარ, სისხლსა და სიცოცხლეს არ იშურებდნენ საქართველოს დიდი და ერთგული მეზობლის — მართლმადიდებელი რუსეთის ღირსებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის დასაცავად.

რუსეთის არტილერიის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული ქართველი უფლისწულის ალექსანდრე არჩილის-ძის სახელთან, რომელსაც პეტრე პირველმა ახლად შემოღებული უმაღლესი სამხედრო წოდება—რუსეთის არტილერიის გენერალ-ფელდცაიხმაისტერობა მიანიჭა; 1812 წლის სამამულო ომში სახელი გაითქვა არტილერიის გენერალმა ლევან იაშვილმა; მრავალ ბრძოლასა და ლაშქრობაში მონაწილეობდა გენერალ-ლეიტენანტი ივანე ფანჩულიძე, ხოლო მისი ძმა — გენერალ-მაიორი სიმონ ფანჩულიძე — ცნობილია, როგორც ბოროდინოს გმირი (რკინიგზის ერთ-ერთ სადგურს ქ. პენზის მახლობლად დღესაც „Панчулидзевка" ეწოდება).

დიდი ღვაწლი მიუძღვის რუსეთის სამხედრო ძლიერების განმტკიცებაში რუსეთის არტილერიის ინსპექტორს, გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლოზ ამბერსაძეს; ყირიმის კამპანიის დროს თურქების წინააღმდეგ ბრძოლებში თავი ისახელა ნიჭიერმა მხედართმთავარმა, კავალერიის გენერალმა ივანე ანდრონიკაშვილმა.

მრავალ ქართველ სამხედრო მოღვაწეთაგან, რომლებიც რუსეთის არმიის რიგებში იბრძოდნენ და რომელთა სახელების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, გვინდა შევჩერდეთ არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილზე.

კ. მამაცაშვილი 1818 წელს დაიბადა. პეტერბურგის კადეტთა კორპუსის დამთავრების შემდეგ, 1837 წელს სამსახური დაიწყო კავკასიის გრენადერთა ბრიგადის ბატარეაში. 1840 წელს პოდპორუჩიკი მამაცაშვილი იგზავნება გენერალ გალაფეევის რაზმში, რომელიც შამილის წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობდა.

მეტად საინტერესოა მამაცაშვილის ამ პერიოდის მოგონებები. მათში მოტანილია ზოგიერთი დამახასიათებელი ცნობა დიდი რუსი პოეტის — მიხეილ ლერმონტოვის შესახებ, რომელთანაც ახალგაზრდა ქართველ ოფიცერს ახლო ნაცნობობა ჰქონია.

როგორც ვიცით, რუსეთში საფრანგეთის ელჩის შვილთან — ერნესტ ბარანტთან დუელის გამო 1840 წელს ლერმონტოვი კავკასიის მომქმედ არმიაში გაამწესეს.

აქ შეხვდნენ ერთმანეთს ოცდაორი წლის მამაცაშვილი და ოცდაექვსი წლის ლერმონტოვი.

გენერალ გალაფეევის რაზმში იმ დროს მოქმედებდა ე. წ. პარტიზანული გუნდი დოროხოვის მეთაურობით. ერთ-ერთ ბრძოლაში მიღებული ჭრილობის გამო დოროხოვი მწყობრიდან გამოვიდა და მის ადგილზე ლერმონტოვი დანიშნეს.

თანამომსწრეთა გადმოცემით, იმ ხანებში ლერმონტოვი ძალზე დანაღვლიანებული ყოფილა. ცხოვრებაზე გულგატეხილი, იგი სახიფათო ლაშქრობებსა და ბრძოლებში ეძებდა თურმე თავდავიწყებას. როგორც ჩანს, ახალგაზრდა მამაცაშვილისადმი ლერმონტოვი თავიდანავე გამსჭვალულა სიმპათიით, მალე დაახლოვებია მას და მისი მეშვეობით არტილერისტთა მეგობრულ ოჯახს.

„— ეხლაც თვალწინ მიდგას იგი, — იგონებს კ. მამაცაშვილი, — ხან წითელ ყანაოზის პერანგში, ხან ოფიცრის უეპოლეტო სერთუკში გამოწყობილი, უკან გადაკეცილი საყელოთი და მხარზე გადაკიდებული ჩერქეზული ხმლით, — სწორედ ისეთი, როგორც მას სურათებზე ჰხატავენ. იგი საშუალო ტანისა იყო. შავგვრემანი სახე და დიდი ყავისფერი თვალები ჰქონდა. ძნელი იყო მისი ბუნების გამოცნობა. ამხანაგების, გვარდიის ოფიცრების წრეში იგი მხიარული იყო, ოხუნჯობდა, იცინოდა... მაგრამ როგორც კი მარტო, ან ახლო მეგობრებთან დარჩებოდა, იგი ღრმად ჩაფიქრდებოდა და მაშინ მისი სახე არაჩვეულებრივად მეტყველი, სერიოზული და ნაღვლიანი იყო... რა ხდებოდა ასეთ წუთებში მისი ბუმბერაზი სულის კუნჭულებში? ვინ იცის!.. იგი დაჯილდოებული იყო მუსიკისა და მხატვრობის ნიჭით, სიამოვნებით თამაშობდა ჭადრაკს, მაგრამ ყოველთვის ძლიერ მეტოქეებს ეძებდა. ჩემს კარავში ხშირად იმართებოდა პაექრობა ლერმონტოვსა და არტილერიის ახალგაზრდა პორუჩიკ მოსკალევს* შორის. ეს უკანასკნელი მართლაც შესანიშნავი მოჭადრაკე იყო, მაგრამ ლერმონტოვის დამარცხებას იშვიათად თუ ახერხებდა..."

მომქმედ არმიაში ყოფნისას ლერმონტოვს, მამაცაშვილის სიტყვით, უბადლო გულადობა გამოუჩენია. თავისი სიმამაცითა და გაბედულებით ბრძოლებში გამობრძმედილ კავკასიელ მხედრებსაც კი ანცვიფრებდა თურმე. მაგრამ, დასძენს მამაცაშვილი. სამხედრო სარბიელზე იგი ვერასოდეს ვერ დაწინაურდებოდა, ეს არ იყო მისი მოწოდებაო. „იგი არასოდეს და არავითარ რეჟიმს არ ემორჩილებოდა, დაჰქროდა იქ, სადაც მას მოეხასიათებოდა, ბრძოლაში იგი ყოველთვის ყველაზე სახიფათო ადგილებს ეძებდა"...

1840 წლის 11 ივლისს გენერალ გალაფეევის რაზმმა საბრძოლო დავალება მიიღო: მას ტყეში გამაგრებულ მოწინააღმდეგეზე უნდა გაელაშქრებია. მამაცაშვილი თავისი ბატარეით არიერგარდში დარჩა და შეტევაზე გადასულ რუსთა რაზმს რამდენიმე საათის განმავლობაში ზურგში მოწინააღმდეგისაგან იცავდა. ბოლოს გალაფეევის რაზმმა ტყე გაიარა, მცირე ტაფობზე გავიდა და აქ, მდინარე ვალერიკის ნაპირებზე, გაიმართა სასტიკი ხელჩართული ბრძოლა. ეს ბრძოლა მდინარე ვალერიკთან ლერმონტოვმა შესანიშნავად აღწერა თავის პოემა „ვალერიკში".**

მამაცაშვილი იგონებს, რომ როდესაც გალაფეევის რაზმი ტყიდან გამოვიდა და ბრძოლაში ჩაება, არტილერისტები მთავარი ძალებისაგან მოწყვეტილი აღმოჩნდნენ. ამით ისარგებლა მოწინააღმდეგემ და მოულოდნელად ბატარეას თავს დაესხა. „და მაშინ მე დავინახე ლერმონტოვი... მან შენიშნა ჩვენი სახიფათო მდგომარეობა და თავისი გუნდით უმალვე ჩვენს დასახმარებლად გამოექანა".

ვალერიკთან ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის ლერმონტოვი, რომელსაც მანამდე არც ერთი ჯილდო არ ჰქონდა მიღებული, სარდლობამ პირდაპირ ვლადიმერის მეოთხე ხარისხის ჯვარზე წარადგინა, მაგრამ ლერმონტოვს იგი არ მიუღია: პეტერბურგში ჩასთვალეს, რომ „სახელგატეხილ" პორუჩიკს არ იყო მაღალი სამხედრო ჯილდოს ღირსი...

სამი თვის შემდეგ, 27 ოქტომბერს, მამაცაშვილს მეორე სასტიკ ბრძოლაში მოუხდა მონაწილეობის მიღება. გალაფეევის რაზმს ტყის ვიწრო ბილიკით უნდა გაევლო. ჩასაფრებულმა მოწინააღმდეგემ ძლიერი ცეცხლი გააჩაღა. „ყოველი მხრიდან ტყვიებს გვიშენდნენ, დიდი ზარალი მოგვდიოდა, ჩვენი რიგები აირია"... უკანასკნელი ბატალიონი, რომელსაც ახლდა მამაცაშვილის ბატარეა, ძალზე სწრაფად გამოვიდა ტყიდან და არტილერისტები კვლავ იზოლირებული აღმოჩნდნენ. „იმავე წამს, — იგონებს მამაცაშვილი, — თითქოს მიწიდან ამოძვრაო, ჩემს გვერდით გაჩნდა ლერმონტოვი. საკინძე გახსნილ წითელ აბრეშუმის პერანგში, ხელში მოელვარე ხანჯლით, — იგი შესანიშნავი შესახედავი იყო! ისა და მისი ვეფხვებივით ვაჟკაცები ელოდნენ მომენტს, რათა ჰკვეთებოდნენ მოწინააღმდეგეს, თუ კი იგი ზარბაზნებამდე მიაღწევდა"... მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მამაცაშვილის არტილერისტებმა იშვიათი გმირობა გამოიჩინეს, განუწყვეტელი სროლით, ისე რომ ზარბაზნების გასაგრილებლად დროც კი აღარ რჩებოდა, მოწინააღმდეგის მოწოლა შეაჩერეს და ტყიდან უვნებლად გამოვიდნენ (ამ ოპერაციის ბრწყინვალედ ჩატარებისათვის ოცდაორი წლის კ. მამაცაშვილი უმაღლეს სამხედრო ჯილდოზე — წმ. გიორგის მეოთხე ხარისხის ორდენზე იქნა წარდგენილი).

არა ნაკლებ მძიმე ბრძოლა გაიმართა ოთხ ნოემბერს ალდინის ტყეში. რუსების რაზმს უკანდახევა მოუხდა და მამაცაშვილი თავისი ოთხი ზარბაზნით მარტოდმარტო იცავდა არიერგარდის ნაწილებს. და აქაც ლერმონტოვი თავისი გუნდით ყველაზე ადრე, მაშველი რაზმის მოსვლამდე, მიიჭრა მეგობრის დასახმარებლად.***

„აქ, ოთხ ნოემბერს, ჩვენ უკანასკნელად შევხვდით ერთმანეთს, —გულისტკივილით იგონებს კ. მამაცაშვილი, — ექსპედიციის შემდეგ იგი პეტერბურგს გაემგზავრა შვებულებით, ხოლო ერთი წლის შემდეგ ჩვენ უღრმესი მწუხარებით შევიტყვეთ პიატიგორსკში მისი ტრაღიკული სიკვდილის შესახებ"...

---

*1855 წელს პოლკოვნიკი მოსკალევი ყარსთან ბრძოლაში დაიღუპა.

**ლერმონტოვის ალბომში შემონახულია პოეტის მიერ ფანქრით შესრულებული სურათის ესკიზი. ნახატზე აღბეჭდილია ვალერიკთან ბრძოლის სწორედ ის მომენტი, როცა მოწინააღმდეგე მოულოდნელად თავს დაესხა გენერალ გალაფეევის რაზმის არიერგარდს.

***ალდინის ბრძოლაში გამოჩენილი განსაკუთრებული გმირობისათვის მამაცაშვილის ბატარეის ყველა გადარჩენილი მეზარბაზნე წმ. გიორგის ჯვრებით იქნა დაჯილდოებული, ხოლო თვით მამაცაშვილს ერთდროულად მიენიჭა ორი სამხედრო წოდება — პორუჩიკისა და შტაბს-კაპიტნისა.

---

# მშვიდობა სწავლას!

ზ. შერეზადიშვილი

საყვარელ სკოლის კიბეზე ავალ...
იგივე კლასი, იგივე მერხი...
მშვიდობა სწავლას, მშვიდობა
სწავლას,
შორს ჩვენგან ომი, ტყვია და მეხი!

დგას ურიამული — სიცოცხლის ფასი,
აქ ყველაფერი მისგან ირთვება,
მეათე კლასი, წასული კლასი,
ზღვას შერევია უკვე ზვირთებად.

შრიალებს სკოლა, როგორც ყანები,
ყაყაჩოს მიერ დაჩითულები,
შვიდთავე მხარეს სათაყვანები
დაფრენენ მისი დაჩიტულები.

სწავლის მდინარე არა სწყვეტს
სრბოლას,
სუფთა, კამკამა, როგოც სიმართლე.
ელსადგურივით ივნისში სკოლა
ისევ მიაწვდის ყველგან სინათლეს.

უუჩდება ფიქრი მაწვალებელი
და ცხოვრებაში წარბსაც არ შეხრი.
მასწავლებელი, მასწავლებელი!
იგივე სკოლა, იგივე მერხი!

ახალი მხოლოდ პირველი კლასი,
რომელიც ჯობნის ყველა სიახლეს...
სწავლის მდინარე, ჩანჩქერის მსგავსი.
მიდის და გოროხ ტალღებს მიარხევს.

წელს სკოლაში მივდივარ. →
ფოტო ე. კესოვისა და ო. თურქიასი.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბიმურზოლას შავი თოვლი

ლევან გოთუა

ნოველა

მხატვარი ზ. ნიჟარაძე

ჯერ კიდევ წინადღით, გომბორს რომ შეუდგნენ... კალას უხუცესმა ბაპმა ბიმურზოლამ ცუდად იგრძნო თავი, მაგრამ არავის გაუმხილა. ტუჩები მოკუმა და თავის სიბერეში უფრო ღრმად და დათმენილად ჩაჯდა. სვანების ჯგუფს გადაჰხედა, გვერგვად მოჭედილი საფიცარი რკინა—გირგედ, ხნოვანებით მის მომყოლს, რუჩაგ სეტიელს გადასცა, გადაულოცა...

—შემიმძიმდა რუჩაგ... შემენაცვლე... სახელოვნად და სიმართლით ატარე!

როგორც იქნა გადასავლამდე მიაღწია. ცხენიდან არ ჩამოსულა. ერთი გადაჰხედა დათოვლილ უღრანით შემოსილ მთაგორებს... შორით ალამასთეთრა კავკასიონს და ჩინდაკლებულ თვალს კახეთითავის სვანეთად მოეჩვენა.

— უკან ხომ არ მოვბრუნებულვართ ალმაცგირ, — ახლა თავის მოკეთე კვიციანს შეეკითხა...

— სად უკან? — ვერ მიუხვდა ალმაცგირ...

ბიმურზოლა მიხვდა, რომ შეუფერებელს კითხულობდა და სულ გაჩუმდა...

თავქვე დაეშვა, მაგრამ ისეთი სიამე და სიმსუბუქე იგრძნო, რომ კინალამ გადმოფრინდა ცხენიდან... ესლა იყო რომ თოვლის ფიფქმა უცბად და უცნაურად ჭვარტლის სალტეები წამოიბა. მალე კი სულ შავი თოვლი წამოვიდა.

ბაპი მიხვდა რომ თავბრუ ეხვეოდა... სადღაც ეამა კიდევაც... თითქოს ყმაწვილკაცობა შემოუბრუნდა... აი ნადირობის ჟამს, ხალდეს კლდეებიდან რომ გადმოიხედავდა, მაშინ — ჭაბუკობისას იცოდა... მერმე მოწიფულობაში და სიბერეში კი აღარა... და აი ახლა ბარში მოგზაურობის დროს, მერმე რა მიუცილებელ, ერთიან —ქართულ საქმეზე მოსვლის დღეს! კვეტერაში, კახეთ-თიანეთის ზღვარზე, უღრანში შეფარულ გორგასლისეულ ციხეში დაშლილ-დანაწევრებულ საქართველოს ყოველ თემის, ყოველ თავკაცის საიდუმლო შეყრისას!

ბიმურზოლა ყველაზე მიუდგომელ, ყველაზე თავისუფალ სვანეთის თემიდან იწვიეს, თავად კახთ მეფის ალექსანდრეს სახელით. ქეთევან დედოფალმა ამ ყველაის ჭირისუფალმა, თავად მისცა კვეტერას მისვლის საიდუმლო ნიშანი. ქარვის მარცვალი ახლაც უბეში უდევს... და გულს ისე ველარ გრძნობს, როგორც ამ ნიშან-მარცვალს!

დიდი თოვლიანობა და ზვავიანობა იყო სვანეთში. ლატფარზე აღარ გადმოისვლებოდა. ისევ ზამთრის გადმოსავალით იარეს. მიჯვრებითა და თხილამურებით ძლივს გადმოლახეს მუშერი. მართალია წინ მუხლმაგარი ახალგაზრდები მოდიოდნენ, ალმაცგირ და ქელეშბი, მაგრამ მოხუცნი როდი ჩამორჩნენ... არც რუჩაგ დეკანოზი სეტისა, არც ჩარგამ უშგულელი, არცა თავად ბიმურზოლა. საფეხურების მოჭრა-გაკვალვაში შველოდნენ კიდევაც წინმავალთ... ბაპს არც თავბრუ უგრძვნია, არც გულის ფრიალი... მერმე კი ცხენები იშოვნეს და მთელი საქართველო დაუღალავად ჩამოიარეს... ნეტავ უფრო მეტიც ყოფილიყო სავალი... ნეტავ ბიმურზოლა მართლაც დაღლილიყო სამშობლოს გზების სიგრძითა და სიყვარულით... ნეტავ დამტკბარიყო მშობლიურ ქვეყნის ბედნიერებით... მაგრამ რომ არ გაილია დარდი, აღარ ამოთავდა მტერი და მოსისხლე!

ახლა ერთმა მანდილოსანმა მთელი ქართული მთა და ბარი მოიჭირისუფლა, მასაც არგუნა საქვეყნო საქმის სახელზე დაკიდებულ კრიალოსანის ერთი მარცვალი და ვაი რომ სწორედ ახლა აკლდება ძალა, ცივ-გომბორზე, სადაც ახალგაზრდობაში სამუშაოდაც უვლია... ჩანს ბიმურზოლას ყავლი გასვლია!.

თვალი დახუჭა და ფიქრს გაჰყვა....

თავქვეზე უნაგირი ცხენს ჯიდაოზე გადააჯდა. ბიმურზოლამ გასწორება სცადა, მაგრამ სხეული აღარ დაემორჩილა... აი ჰქონდა კუნთმაგარი ხელ-ფეხი, ტანი, ასუთვალავი წელი ჰქონდა, ახლა კი თითქოს არც ერთი არასოდეს არა ჰქონია... და ეს ყველაფერი როგორღაც უკუღმა იგრძნო!

თვალები ისევ გაახილა... მაგრამ ახლა ველარაფერი დაინახა... ველარც შავცეცხლიანი სალტეები და ვერც შავი თოვლი... ნამდვილად კი გაახილა. ქუთუთოების გრძნობა ყველა გრძნობაზე უფრო მახვილად დარჩა..

აქვს ერთი კიდევ — შუბლის გრძნობა... აი ველარ ხედავს, მაგრამ იცის შავი თოვლი ისევ მოდის, შუბლზე ცივ წინწკლებად ეცემა, ეპკურება!

— ალმაცგირ... შავი თოვლი ცუდი ნიშანი არის! — ენა ამოებორკა, მაგრამ მაინც სთქვა.

— რა ბრძანე ბიმურზოლა?!

...ოჰ, ერთი სული აქვს წამოწვეს, გაშალოს სხეული... სხეულს არა გრძნობს, სურვილი კი აქვს... მაგრამ, ისედაც დაიგვიანეს... მისწრებაზეა საქმე... „კვეტერა... კვეტერა!“... ცხენზე რომ მოკვდეს, მაინც, დროზე უნდა მივიდეს კვეტერას! მივიდეს და მიიტანოს... თავისუფალ სვანეთის მებრძოლი სული და სურვილი, საერთო გზაკვლის სიტყვა! ლურსმანივით აქვს ჩაჭედებული შუბლსა და გულში — ქარვის მარცვალიც უნდა მიიტანოს, იმ შუბლნათელმა მანდილოსანმა თავის ხელით რომ მისცა და ერთად-ერთი სიტყვა უთხრა — კვეტერა!

ჰოდა მივა, მიიტანს ბიმურზოლა... სიკვდილსაც გადაახტება და მიაღწევს!

— ალმაცგირ! — თავს ძალა დაატანა და მიხვდა რომ მოკეთე სულ ახლოს არის მასთან, მხარი-მხარ, ცხენდაცხენ გვერდში მოჰყვება. ენუგეშა — კარგი ყრმა არის ალმაცგირ... უმალ გამოჰყვა სამშობლოს საქმეზე.

— ხომ არაფერი გნებავს — ქელეშბი ვარ!.. ხომ არ შევისვენოთ?! — ყურთან უყივის ალმაცგირ თუ ქელეშბი...

„არა, ეგ არა!“ — ფიქრობს თუ ამბობს, ცნობს თუ ვერ ცნობს... რაღაც საზომი თუ საგრძნობი ერევა!.

—მაშინ თელავამდე... — თითქოს შორიდან უყვირის, ახლოს არის და შორიდან უყვირის!.. ...რატომ უყვირის? რატომ დინჯად არ ეტყვის?.. ოჰ, რა ხმაურიანები არიან ეს ახალგაზრდები!.. დაილოცა მაგათი გზა და მომავალი!

— წყაროს წყალს ხომ არ ინებებ... ბიმურზოლა?!

ახლა კი ნამდვილად ალმაცგირი უყიჟინებს მარჯვენა მხრიდან... ისიც ამოსდგომია გვერდში... რა სასაცილონი არიან ულვაშკოკრიანები — წყაროს წყალიო? უკვდავების წყაროა საჭირო... ახლა ეს უშველის ბიმურზოლას... ჰოდა სად არის უკვდავების წყარო?.. იგი ცალ-ცალკე არც კახეთშია, არც სვანეთში... აი იმ მანდილოსანმა კი იცის, აკი სთქვა კიდევაც — ერთიან საქართველოშიო!.. მოდი და ახლა იქნიე გახევებული თავ-კისერი!..

— არა?.. იქნებ არაყი ინებო!.. არაყი...

...თავი დაანებეთ ბიმურზოლას, ფიქრების მორევშია... უკანასკნელ საფიქრალს ჰფიქრობს... შავი თოვლი ათოვს შუბლზე და თვალებზე...

— თვალები გაახილე ბიმურზოლავ! მალე თელავია!

— კვეტერა! კვეტერა! — ჩურჩულებს ბიმურზოლა... მაშ თვალები მაინც დახუჭული ჰქონია, იმიტომ არის რომ ველარაფერს ხედავს, გარდა შავი თოვლისა... თორემ ქვეყანა ისევ არსებობს და წუთისოფელი — წუთისოფლობს!

— რაო! კვეტერაო?!

...ჰკითხავენ მარჯვნივ და მარცხნივ... მაშ გაუგიათ!... კიდევ აქვს სიტყვის ძალა ბიმურზოლას... აი საუბარიც ესმის... წინშემოყრილ და არაგულშემოყრილ კახელ მეგზურს ეკითხებიან... აჰა, ვაშა ყმაწვილებო! მადლობა რუჩაგ დეკანოზს! თელავში არც შევლენ, ისე აუხვევენ კვეტერას გზაზე! ალავერდთან აივლიახ... იცის, ნავალია... გაღმა... ალვანებია.. დიდი ცხრაკარა... მერმე ბახტრიონი... გაღმა, ენგურს გაღმა!... ეჰ, ბიმურზოლა ფიქრიც გებორკება, ალაზანი და არა ენგური! ალაზანი და არა ენგური!... ჰოდა მერმე რა?... ორივე წყალია და ორივე ქართული მდინარე!.. რამ გაარიგა? ნურამც გარიგებულან ნურაოდეს!

...ცხენები კი მიჰქრიან... გზას გრძნობს ბიმურზოლა... მხარში შემომდგარ ახალგაზრდებსაც! ჯერ დაუდუღარ ძალას, სწორედ იმას. მას რომ ჯერ სიბრძნედ შეეცვალა, მერმე წარმავლობის დარდად... სიკეთე კი მარად უჭკნობი გრძნობა ყოფილა!.. კეთილი ხელი აქვს ქელეშბის... ნიშანიც კარგი იცის, მტერსაც არჩევს. ...ეს კი ალმაცგირია, ბაპის ხელი სულ მიიტაცა, თავის მხარზე გადაიდო. ასე მიჰქრიან — სამად... და რა უჭირს ბიმურზოლას, სიკვდილის იქითაც რომ იყოს მაინც მივა კვეტერას, დიდ ქართულ საქმეს არ გამოაკლდება!..

შავი თოვლი კი ჰბარდნის და ჰბარდნის! ცხენები კი მიჰქრიან. შუბლის გრძნობას ცივი ოფლი ეუფლება... ან სიკვდილის ოფლია, ან ალაზნის ველის ქარი! ...და სული ამოასწრებს თუ ცხენები მიასწრებენ კვეტერამდე?!

არა, თუ კვდება, ესღა აშფოთებს, რატომ კვდება ასე უშფოთველად და დინჯად?... თუ არა და რატომ განახევრდა, დანაწილდა აზრი და ტანი? ან რა შავმა თოვლმა ჭამა ბიმურზოლას ძალა?

— ალაზანზე ვართ, ბიმურზოლა? ხომ არ დავისვენოთ?! ახლა მთას შევუდგებით!... ხან მარჯვენა ყურში ესმის, ხან მარცხენაში... სხვების ხმაც სწვდება... ჰოდა კეთილი! იქნებ მიასწროს! ერთი კი ამოასველეთ ალაზანში... მოუსალბუნეთ, ალაზნის ტალღით შეჯავშნეთ... სული მოაბრუნებინეთ... მაგრამ, ამდენ რამეს თქმა არ უნდა!... მას კი სწორედ ენა არ ემორჩილება. . არავის არ სცოდნია ისეთი მუხანათური ღალატი, როგორც ენას!

— გასვათ ალაზნის წყალი? — ეკითხება ქელეშბი...

— გასხუროთ? — ეკითხება ალმაცგირ...

...ყველაფერი, ოღონდ ცხენიდან არ ჩამოსვათ...

— ასევე! ასევე! — თავიც გააქანა და გაიბრძოლა კიდევაც...

— წყალში შევტოპოთ? — სანახევროდ გაუგო რუჩაგ დეკანოზმა...

—ასევე ცხენდაცხენ? — ეკითხება ჩარგამ უშგულელი... ყველანი ეკითხებიან თავად ალაზანიც... ეკითხება და დის... ეკითხება და დის როგორც სიცოცხლე!

— ტანზე გავხადოთ?!.. ზამთარია! ცივია ალაზანი!

...არა, არა... ასევე... შეიყვანეთ... განა სიკვდილზე ცივი არის რამე? ტანზე რომ გაჰხადოთ, ხომ სულ დაებნევა სხეული... მერმე ვინღა მოკრეფს ბიმურზოლას ძვლებსა და სახსრებს? ასევე შეიყვანეთ სიკვდილის ნათლობაში!

გაკერპებასაც ნუ გაუმტყუნებთ მომაკვდავს!.

სიტყვაზე ძლიერი ყოფილა უტყვი მუდარა. გაუგეს... დაჰყვნენ მის ნებას... ჩანს... უკვე სულერთია... ცივზე ცივს რაღა გააცივებს!

აი ცხენის ფერხთით ესმის ალაზნის ჩხრიალი... უცნაურია, ალაზანს გრძნობს და ფეხებს კი არა!

— უფრო, უფრო! — ძალა მოეცა ბიმურზოლას, ალაზნიდან მოეცა... სითბო და სიგრილე ამოეჭიდა გათოშილ წვივებს... ენა წამოუფრინა... ამოუდგა...

— უფრო ღრმად! უფრო ღრმად!

— მორევია! — ახმაურდნენ შემომდგარი ალმაცგირ და ქელეშბი...

— მორევში! მორევში! — ერთ სიტყვად თქმა აღარ შეუძლია ბიმურზოლას. ორად, ორმაგად ამბობს... თავს აღარ ენდობა... ეჭვი აქვს, სიკვდილის ეჭვი... ისეთ მორევში მისტოპავს, საიდანაც არასდროს არავინ დაბრუნებულა. ესენი კი ენგურ-ალაზნის მორევიაო!.. რა სასაცილო ყოფილა ცოცხლად დაბრუნების სჯა. სიკვდილის პირად მომდგარისათვის!

— თბილ-ცივი წყალი უნაგირზე რომ შემოადგა, ყველაფერი ერთი წამით დაუბრუნდა... ხმაცა და სიტყვაც უბრუნდა...

— მისმინეთ... მისმინეთ... მე — ბიმურზოლა ვამბობ...

— გისმენთ! გისმენთ! — იყო ერთობლივი პასუხი...

— თქვენც გეტყვით და ალაზანსაც... ყველა ქართულ მდინარეს... მდინარეს!

...ტალღამ ერთიც დაჰკრა და სუნთქვა უფრო გრძლად ამოაღებინა...

— თვალები გამიხილეთ! თვალები!

— გახელილი გაქვს ბაპ! გახელილი!

— ქართული წყალი თვალებშიც ამომისვით, ამომისვით!

სალბუნი თვალებშიაც იგრძნო, მაგრამ დანახვით, მხოლოდ ნაზამთრი, მუქლურჯი მდინარე დაინახა... ზედ ათოვდა და ადნებოდა! ათოვდა და ადნებოდა შავი თოვლი!

— მე რომ ბაპის ბაპებთან გავემგზავრები... თქვენ არ ჩამომსვათ ცხენიდან... ცხენიდან...

— არა, ბიმურზოლა, არა!

—ორი ჭიგო გამოსჭერით... კახეთში შინდია მაგარი... ჯვარედად შეჰკარით, უზანგებზე მიაბით, წელ-მხარში ამომიდგით... წელ-მხარში....

— აგრე, ბიმურზოლა-ბაპ! აგრე!..

— ჩემი ხანჯარ... — აჩქარდა მომაკვდავი, — ჩემი ხანჯარ წინ წამიძღვანეთ, კვეტერაში ისე ხანჯრით და ლილეოთი შედით!.. ხანჯრით და ლილეოთი!

შეცივებული ცხენები ფშვინავდნენ და ფრუტუნებდნენ... ნაპირისაკენ იწევდნენ... ბიმურზოლა კი თვალგაშუშებულად მეტყველებდა...

— წინ თქვენ იარეთ! მეკვლედ ბიმურზოლა აღარ გამოდგება! მე დღე და კვალი არ დამკლებია... ქვეყნის სიკეთე და საქმე დამაკლდა... სიკვდილმა მაღალატებინა! ახლა თქვენ იცით... თქვენ იცით! სამშობლოს თავსა და, საქმეს, ნუ დაამდაბლებთ! ნუ დაამდაბლებთ! ნურც დააკლებთ!.

— გვესმის ბიმურზოლა! გვესმის! — მაგრამ ესეც უკანასკნელი ნუგეში იყო... ნახევარი არ ესმოდათ დამსწრეთ.

...მიცხრომის პირას მიმდგარმა მეხსიერებამ ერთხელაც წასჩურჩულა...

— უბეში ხელი ჩამიყავით! — ხომ იქ უდევს — ერთიანობის ხვითო, დედოფლის ქარვა... არ დაეკარგოს!... ელოდა უბეში ფათურს, მაგრამ გულის არეში ლოდზე მძიმე და ვგონებ უკვე უძრავიც იდო და თითქოს უფსკრულში იძირებოდა.

— უბეში! უბეში! — ამოიხიხინა უკანასკნელ ძალის მოკრეფით... ახლა მისი მთელი სურვილი და სიცოცხლის ძალა ერთ ქარვის მარცვალში დევს და ეტევა.. დევს და ეტევა!

— ქარვა! ქარვა! — ერთიც ამოაქარვა ბიმურზოლას... მიმხვდურები არიან ალმაცგირ და ქელეშბი... თორემ გაგების კვალობაზე აღარ იყო მისი ნათქვამი. უბე ამოუტრიალეს. გულის ჯიბიდან ამოუღეს....

— ხელში! მარჯვენაში! — ეს კი ველარც თავად გაარჩია — სთქვა თუ იფიქრა, სთქვა თუ იფიქრა!.. ხელის მოხრა კი სულ ერთია არ შეუძლია... მაგრამ აი იგრძნო, უძლურად დაშვებულ მარჯვენაში, მუჭში მისცეს ქარვის მარცვალი... თავის მარჯვენას ჯალათური იძულება მიაყენა და ბებრული, ქარვისფერი თითები მარცვალს ჩასჭიდა, ჩაკუმშა და თითქოს მაჯისცემამაც ზედ შეაცივა.

— კვეტერა! კვეტერა! — ფიქრობდა თუ ჩურჩულებდა, მაგრამ აღარ შფოთავდა თავისუფალ სვანეთის, კალას ხევის უხუცესი ბაპი ბიმურზოლა... მას ახლა სიცოცხლე მხოლოდ ერთ მუჭში ჰქონდა!

ირგვლივ კი დიოდა ალაზანი და თოვდა... თოვდა.



39

# წინანდალელ მეგობართა სადღეგრძელო

ჩეხი ჟურნალისტი ქალის ევა ელინკოვას სახელი ცნობილია არა მარტო მის სამშობლოში, არამედ ჩვენს ქვეყანაშიც. ევა ელინკოვა ერთ-ერთი რედაქტორთაგანია მრავალტირაჟიანი პოპულარული ჩეხური ჟურნალისა „სვეტ სოვეტუ".

ევა ელინკოვა ორჯერ ესტუმრა საქართველოს. სამშობლოში დაბრუნებისას მან თავისი ჟურნალის ფურცლებზე გამოაქვეყნა ნარკვევების ციკლი: „სიმღერა თბილისზე", „ახალი საქართველო", „ქვაზე შეყვარებული მებაღე" (მიხეილ მამულაშვილი), „უდაბნოში აღმოცენებული ქალაქი" (რუსთავი).

გთავაზობთ ევა ელინკოვას ნარკვევს — „წინანდლის სადღეგრძელო", რომელიც ჩეხურ ჟურნალ „სვეტ სოვეტუ"-ში დაიბეჭდა.

ნეტავი ჩემი სიტყვები ისე არაკრაკდებოდნენ, როგორც იმ მდინარის გამჭვირვალე ზვირთები, რომელიც ლაჟვარდოვან ზოლად გასდევს შენს ველებს, ჩემო წინანდალო! ნეტავი მდინარის სუნთქვამ ჯადოსნობით კვლავ დამიყენოს თვალწინ შენი აქოჩრილი ბაღ-ვენახების სიმშვენიერე და სინაზე. ნეტავი ჩემი ოცნების საწყაული ნახევრად მაინც აივსოს შენს მკვიდრთა პოეტური სულით, ჩემო წინანდალო!

ნუ გგონიათ, რომ ვაჭარბებდე. ვისაც კარგად შეკაზმული მერანი არ ჰყავს და არც სასიმღეროდ მომართული ჩანგი უპყრია ხელთ, ქართული სუფრის მეინახედ ვერ გამოდგება, იმ სუფრისა, სადაც პოეტური სადღეგრძელო ისეთივე განუყოფელი ნაწილია მისი, როგორც გემრიელი ხორაგის სიმრავლე და სასმელთა სიუხვე.

ყველაზე სრულყოფილი სადღეგრძელოს ავტორი თამადაა.

თამადა, მოკლედ რომ ვთქვათ, სუფრის თავმჯდომარეა. გარდა ამისა, მას ბრძენის თავი უნდა ჰქონდეს და ალალი გული. ყველაზე მეტი უნდა ჭამოს, სხვებზე მეტი უნდა სვას, ისე რომ არც გაძღეს და არც დაითროს. იგი ყველაზე კარგი მომღერალია, საუკეთესო მოცეკვავე, ისეთი მომლხენი, დარდიანს გულს რომ გაუქარვებს, ხოლო მხიარულთ ფიქრს მოჰგვრის.

ახლა მე შორსა ვარ, ჩემო წინანდალელო მეგობრებო! გიგონებთ თქვენ და თვითნებურად ვნიშნავ ჩემს თავს თამადად ამ მარტოხელა სუფრაზე, სადაც ჩემს წინ მდგარ სასმისში ქარვისფრად კიაფობს გამჭვირვალე და მოტკბო წინანდლის ღვინო, რომელსაც ჩვენ მაშინ „მეგობრობის სასმელი" შევარქვით და რომელმაც საერთაშორისო კონკურსში მოიპოვა ყველაზე საუკეთესო ნატურალური ღვინის სახელი.

იგი სადღეგრძელოს უთქმელად არ შეისმება და აი, მეც ვიღებ ხელში სასმისს და ქართული ტრადიციის მიხედვით უპირველესად ვადღეგრძელებ სტუმარს, რომელიც ახლა ვაი, რომ აქ არ მიზის.

მაშ ასე, შენი სადღეგრძელო იყოს, სათო!

ამ რამდენიმე ხნის წინათ მე გადავწყვიტე თქვენ გწვევოდით, ჩემო მეგობრებო. შევივლი-მეთქი წინანდალში, დავხედავ, როგორ ცხოვრობს იქ ხალხი. ცოტა ხანს დავყოფ მათთან. გამოვკითხავ ოჯახურ ავანჩავანს, გავიგებ რა აქვთ დღეს ჩემს მასპინძლებს სადილად, ჩავიწერ ჩურჩხელის რეცეპტს. თვალს შევავლებ სამზარეულოს, საწოლ და სადგომ ოთახებს. მერე ვინმეს ვთხოვ თონის პურის გამოცხობა მასწავლოს, ბოსტნეულის თესლსაც შევახსენებ ჩეხოსლოვაკიაში წამოსაღებად და, რაც მთავარია, მინდა ვკითხო დეიდა სათოს, როგორ ზრდის თავის ბიჭს — ათი წლის მერაბს, რადგან სწორედ ასეთი ბიჭებისაგან ყალიბდებიან თურმე შემდეგ სახელგანთქმული ქართველი ვაჟკაცები.

ის იყო ეზოში ფეხი შევდგი, რომ დარცხვენილმა დიასახლისმა ღიმილით მთხოვა ჯერ ვენახისათვის გადამევლო თვალი ნაზვრევში. მერე მივუხვდი ოინს. თურმე ვენახში მიტომ გადამიყვანა, რომ დროს მოგება სურდა. ნაზვრევიდან როცა დავბრუნდი, ჩემი მასპინძლის ოჯახი ნირშეცვლილი დამხვდა: ცეცხლი ეკიდა ყველაფერს, რისი ანთებაც კი შეიძლებოდა. ჩართული იყო ელექტროქურა, ეზოში კოცონი გაეჩაღებინათ, ოთახში ბუხარი გუგუნებდა. ქალები დაფუსფუსებდნენ. ჰრიდნენ ხახვს, ფცქვნიდნენ ბოლოკსა და მწვანილს, ვარცლებში იზილებოდა ცომი, ცეცხლზე შიშინით იბრაწებოდა დედლები და ვარიები, გოჭი და ბატკანი. სასადილო ოთახში სუფრა იშლებოდა. ღმერთო ჩემო, რა არ იყო ზედ! მწვანე ხახვი და ბოლოკი, ნიგვზით შეკაზმული ფხალი, ნიგვზის სუპში (საწებელში) ჩაწყობილი ქათმის ხორცი, ქართველები საცივს უწოდებენ. ძმარში ჩალაგებული ახალი თევზი, ფორთოხალი და მანდარინი, ვაშლი და მსხალი, ლეღვის ჩირი და შემჭკნარი ყურძენი, ნაირნაირი ნამცხვარი და მათი სუფრის მეფე ხაჭაპური. რასაკვირველია, წინანდლის ღვინოც.

...აი, მეორე სადღეგრძელოს დროც დადგა. იგი სუფრის უხუცეს წევრს მიეძღვნება ხოლმე ქართული ადათით და მეც შენს სადღეგრძელოს შევსვამ, ჩემო ბებო ეთერ! გაიცანით: იგი სამოცდარვა წლისაა. მისი ბიოგრაფია ძალზე მოკლე და უბრალოა: წინანდალში დაბადებულა. ამ სოფელში ცხოვრობს მისი ცხრა შვილიშვილი, (ბებიები აკი შვილებს არ ითვლიან!) აქედან არსადაც არ მიუწევს გული. ოცდაორი წლის დაქვრივებულა. სამი შვილი შერჩენია. 1928 წელს კოლმეურნეობაში შესულა. „ეს დიდი ხნის წინათ იყოვ", — დასძინა მაშინ ბებია ეთერიმ. ბებია კია, მაგრამ თმაში ჭაღარა სულ ახლახან გამორევია. შემოგვცქეროდა თავისი შავი, ჭკვიანი თვალებით და გვიამბობს თავისი სადედოფლოს, ე. ი. კოლმეურნეობის მექათმეობის ფერმის შესახებ, რომელსაც აგერ შვიდი წელია რაც განაგებს.

...აბა, როგორ არ შევსვა შენი სადღეგრძელო, ლადო გელაშვილო! სად არ მიდის წინანდლის ღვინის ქარხნიდან გამოსული აქაური ყურძნის ნაწური. ის ხომ თქვენი ნახელავია: გემრიელი, ცინცხალა წინანდალი №1, რომელსაც ღვინის ყადრის მცოდნენი პირველ ყლუპისთანავე გამოარჩევენ უტყუარად — ხოლო ისინი, ვინაც ამ საქმისა ბევრი არა გაეგებათ რა, მისი შესმისას ამბობენ, რომ რაღაც არაჩვეულებრივსა და საამო რასმეს სვამენ.

ახლა, ჩემო მეგობრებო, ადათის მიხედვით მე ყველა თქვენგანი, ე. ი. იმდღევანდელი სუფრის ყველა მონაწილენი ცალ-ცალკე უნდა მედღეგრძელებინეთ. მე ყველანი კარგად მახსოვხართ. აი, ძია ლექსო. მას ხომ აგერ ოცი წელია რაც საუკეთესო მოსავალი მოჰყავს ღვინისა. აგერ კიდევ შოთა მაისურაძე, ასეთ კარგ ყველს რომ ამზადებს თურმე. მის გვერდით გიორგი ვეფხვიაშვილი გაბადრულა. აი, მორცხვი ნაზიკო ასანაშვილიც. მას აუცილებლად კარგი საბედო (საქმრო) უნდა ვუსურვოთ დღეგრძელობისას და ბლომად გოგობიჭები. შემდეგ უნდა შევსვათ ჩვენი მშობლების სადღეგრძელო და მოსაგონარი. მერე ჩვენი შვილებისა და შვილთა-შვილების. არც მათი მოგონება დაგვავიწყდეს, ვინც სამშობლოსთვის თავი დასდო, შინ ვერ დაბრუნდა და ახლა ამ სუფრას ვერ ამშვენებს... და ვინ იცის კიდევ რამდენი სადღეგრძელო უნდა შეისვას. ეს მშვიდობისაო, ეს ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობისა. და ბოლოს თამადის სადღეგრძელოსაც არ ივიწყებენ ქართულ სუფრაზე და ამით მთავრდება ეს მშვენიერი პურობა...

მაგრამ ნება დამრთეთ (მიბოძეთ) დავარღვიო თქვენი უზადო ტრადიცია და უკანასკნელი სასმისით შევსვა, თამადის კი არა, სადღეგრძელო თქვენი მშვენიერი ქვეყნისა, თქვენი ლამაზი წინანდალისა, თქვენი მხურვალე მზისა, რომლის ბარაქა უხვადაა ჩაღვრილი თქვენს ზვრებსა და მარნებში, თქვენი ალალი და წრფელი გულისა, თქვენი წარმტაცი და მომაჯადოებელი საქართველოსი, რომელიც მეგობრებს ღვინით სავსე სასმისით ეგებება, ხოლო მტრებს რისხვითა და ორლესილი მახვილით.



# სურნელოვან მცენარეთა სამყაროში

ვ. ჭულეისკირი.

მცენარეული წარმოშობის სხვადასხვა სურნელოვანი ნივთიერებების მიღება და გამოყენება პირველად ძველ აღმოსავლეთში დაიწყეს.

ამ ქვეყნების შეძლებული მოსახლეობა სურნელოვან ნივთიერებებს იყენებდა კანის დაავადების წინააღმდეგ, ოფლის არასასიამოვნო სუნის მოსასპობად, მავნე მწერებთან საბრძოლველად და სხვა პროფილაქტიკური დანიშნულებისათვის.

პარფიუმერიის გამოყენება აღმოსავლეთის ქვეყნებიდან საბერძნეთსა და რომში გავრცელდა.

ძველ რომში წესად ჰქონდათ შემოღებული სასახლეების პულვერიზაცია კეთილსურნელოვანი ნივთიერებებით, თეატრიონებსა და ამფითეატრებში კი სურნელოვანი მცენარეებით შეზავებული წყლის სპეციალურ სასხურებლებს დგამდნენ.

პარფიუმერია-კოსმეტიკამ შემდეგი გავრცელება ჰპოვა ამიერკავკასიასა და ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში. იგი განსაკუთრებით სწრაფი ტემპით ვითარდება საფრანგეთში.

ფრანგულმა საპარფიუმერიო ნაწარმმა მალე მოიპოვა საყოველთაო აღიარება და მტკიცედ გაბატონდა მსოფლიო ბაზარზე.

მეფის რუსეთში დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ პარფიუმერია-კოსმეტიკის მზა პროდუქცია, საკუთარი ნედლეული და მწარმოებელი საშუალებები კი აქ თითქმის სრულიად არ გააჩნდათ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დიდი ყურადღება მიექცა საპარფიუმერიო მრეწველობის განვითარებას. უფაქიზესი სურნელოვანი ნივთიერებები, რომლებიც წინათ ფუფუნების საგნებს წარმოადგენდა, ახლა საბჭოთა ადამიანის ყოველდღიურ მოთხოვნილებად იქცა და მტკიცედ დამკვიდრდა მის ცხოვრებაში.

მცენარეული წარმოშობის სხვადასხვა ძვირფას ნივთიერებებს ჩვენს ქვეყანაში ფართოდ იყენებენ კვების მრეწველობაში, ტექნიკაში, მედიცინაში და სხვა დანიშნულებებისათვის.

საბჭოთა კავშირს საპარფიუმერიო მრეწველობისათვის კარგა ხანია რაც საზღვარგარეთიდან აღარ შემოაქვს ნედლეული. ამ ნედლეულის ძირითად მწარმოებელს ახლა ჩვენი რესპუბლიკა წარმოადგენს. საბჭოთა კავშირის ფაბრიკებს საქართველო უხვად აწვდის ეთერზეთოვან მცენარეებს: გერანს, ყაზანლიყის ვარდს, ტუბეროზს, ზამბახს...

ჩვენი ეთეროვანი ზეთები თავისი ხარისხით არათუ ჩამოუვარდება საზღვარგარეთის სახელგანთქმულ პროდუქციას, არამედ, ხშირ შემთხვევაში, მნიშვნელოვნად სჯობნის კიდეც. ამის ნათელი დადასტურება იყო ისიც, რომ საერთაშორისო გამოფენებზე და ბაზრობებზე ჩვენმა ეთეროვანმა ზეთებმა საერთო მოწონება და მაღალი შეფასება დაიმსახურა.

თბილისში ამას წინათ მუშაობა დაიწყო პარფიუმერია-კოსმეტიკის ქარხანამ, რომელიც ერთადერთია მთელ ამიერკავკასიაში. საქართველოს დედაქალაქში შეიქმნა მრეწველობის კიდევ ერთი დარგი — პარფიუმერია. იგი აღჭურვილია ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით და სრული დატვირთვით ამუშავების შემდეგ, ყოველწლიურად 30 მილიონი მანეთის მაღალხარისხოვან თბილისურ პროდუქციას გამოუშვებს.



# ქარმა უნდა იმუშაოს!

ადამიანებმა უძველესი დროიდანვე „დაიჭირეს“ ქარი, აიძულეს იგი აემოქმედებინა წისქვილები, ხომალდები ზღვებში გაეყვანა...

ქარის წისქვილები, ისევე როგორც დონ-კიხოტის აბჯარი, კარგა ხანია რაც ისტორიას ჩაბარდა, მაგრამ ქარის ძლიერების გამოყენების იდეა კვლავ ცოცხლობს და, ეჭვს გარეშეა, მომავალშიც იცოცხლებს.

ამჟამად გამოსაცემად მზადდება არაჩვეულებრივი რუკა. იგი ზუსტად გვიჩვენებს, თუ როგორი ქარები ქრის ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე. რუკას დართული ექნება კონკრეტული რეკომენდაციები, რომელთა მეოხებით შესაძლებელი იქნება განვსაზღვროთ, რომელი ძრავა უფრო გამოსადეგია ამა თუ იმ ზონისათვის.

მეცნიერების ამოცანა ახლა ის არის, რომ უაღრესად ზუსტი, ტექნიკურად და ეკონომიურად დასაბუთებული პასუხი გასცეს კითხვაზე: რამდენად მიზანშეწონილია ამა თუ იმ ადგილზე ქარძრავის პრაქტიკული გამოყენება.

სიტყვა „ჰესი“ უკვე იმდენად ჩვეულებრივი და ყველასათვის გასაგები გახდა, რომ იგი აღარ საჭიროებს გაშიფვრას. სულ მალე ხმარებაში ფართოდ შემოვა ახალი სიტყვა — „ქესი“, რომელიც ქარელექტროსადგურს ნიშნავს.

ქარი მეტად ახირებული მუშაკია: იგი ხან ძლიერად დაქრის, ხან სუსტდება, ხან კი სრულიად მიყუჩდება ხოლმე. თუ მხოლოდ ერთი ძრავა დავდგით და მისი იმედით დავრჩით, ადვილი შესაძლებელია, რომ მთელი საღამოს განმავლობაში ხშირად გაზეთის ორიოდე სტრიქონის წაკითხვაც კი ვერ მოვახერხოთ.

თავისთავად იბადება კითხვა: ქესების მშენებლობის იდეა ხომ არ წარმოადგენს ფუჭი ფანტაზიის ნაყოფს, რომელსაც ადამიანებისათვის არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია.

როგორც ხანგრძლივი ძიებით დადგინდა, დიდი სიმძლავრის ქარელექტროსადგურების აგება სავსებით შესაძლებელი და მიზანშეწონილია. საბჭოთა მეცნიერებმა მთელს მსოფლიოში პირველებმა ჩაატარეს ფართო ხასიათის პრაქტიკული ცდები და მოვლენათა ღრმა შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე დადებითად გადაწყვიტეს ეს საკითხი.

მეცნიერებმა რამდენიმე ათასი ქარძრავა შეაერთეს. „საერთო მომსახურებაში“ თავიანთი წვლილის შესატანად ერთდროულად ამოქმედდა მრავალი აგრეგატი. მართალია, ქარი მეტად უთანაბროდ ქროდა, მაგრამ ერთ ქარძრავაზე ენერგიის შესუსტება, მეორე ქარძრავაზე მისი გაძლიერებით ნაზღაურდებოდა. მრუდე ხაზი, რომელიც ქარის ენერგიის დამახასიათებელია, გასწორდა, დენი მუდმივი და გამოყენებისათვის ვარგისი გახდა.

22.900 მილიარდი კილოვატსაათი წელიწადში —აი ის ზღაპრულად გულუხვი საჩუქარი, რაც ქარს შეუძლია ჩვენს ქვეყანას მისცეს...

მძლავრი ქესების აგება უახლოესი მომავლის საქმეა, დღევანდელ ეტაპზე ჩვენი მეცნიერების უპირველესი ამოცანაა, სწრაფად შექმნან ქარის წყალსატუმბი აგრეგატები, რომლებიც უდიდეს დახმარებას გაგვიწევენ სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებაში.

სამომთაბარო საძოვრებზე წყლით ცუდი მომარაგების გამო, ჩვენი ქვეყანა ყოველწლიურად ბევრ ხორცსა და მატყლს კარგავს.

სასმელი წყლის ცხრა მეათედზე მეტი მეცხვარეებს ხელით მოაქვთ. ფარის გადარეკვის დროს წყლის ნაკლებობა თვითეულ ცხვარზე 4 კილოგრამი ცოცხალი წონისა და 1,2 კილოგრამი მატყლის დაკლებას იწვევს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ყოველწლიურად „ქარს მიაქვს“ 2 მილიარდი მანეთი.

თუ ამავე თანხას დავხარჯავთ წყალმომარაგების მექანიზაციისა და ქარის გამოყენების გზით საძოვრების გაწყლიერებაზე — ეს მტკივნეული პრობლემა მალე წარმატებით გადაიჭრება, ხოლო გაწეული დანახარჯები ერთ წელიწადში იქნება ანაზღაურებული.

რა თქმა უნდა, საჭირო რაოდენობით წყლის ამოტუმბვა ელექტროძრავითაც შეიძლება, მაგრამ ამ საქმეს ქარი უფრო იაფად გააკეთებს, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც ელექტროენერგიის წყარო საკმაოდ დაშორებულია.

ქარის ენერგიის გამოყენება ასევე წარმატებით შეიძლება საფქვავ მრეწველობაში. ქარს შეუძლია ელექტროობით კვებოს რადიოშუქურები, ტელეფონის სადგურები, რადიოკვანძები და ა. შ.

ქარი არა მარტო გააწყლიერებს გვალვიან რაიონებს, არამედ ჭაობებსაც ამოაშრობს. შეიძლება ზოგიერთმა არც კი იცის, რომ ჰოლანდიის ტერიტორიის დიდი ნაწილი ქარძრავებით არის ამომშრალი.

ქარისაგან მიღებული ელექტროენერგია გამოიყენეს აგრეთვე ნავთობისა და მილსადენების კოროზიისაგან დასაცავად...

ძნელია ყოველივე იმ სიკეთის აღნუსხვა და ჩამოთვლა, რის გაკეთებაც ქარს შეუძლია.

ჩვენს თავზე დაქრის უდიდესი სიმდიდრე— ქარი, იგი აუცილებლად უნდა „დავიჭიროთ“ და ჩვენი ქვეყნის შემდგომი ძლიერებისა და აყვავების სამსახურში ჩავაყენოთ!

ლ. კორნილოვი.

ქარის ენერგიის მსოფლიო მარაგი ერთ წელიწადში გამოყენებული ქვანახშირის ენერგიაზე 5 ათასჯერ მეტია.

* * *

უველაზე ძლიერი ქარი იცის ატმოსფეროში — 20 და მეტი კილომეტრის სიმაღლეზე. ქარის სიჩქარე აქ წამში 100 მეტრს აღწევს.

* * *

ჩვენს ქვეყანაში მცენარეებიდან უველაზე ქარგამძლეა მუხა, რომელსაც მაგარი ტანი და მიწაში ღრმად გადგმული დატოტვილი ფესვები აქვს.

* * *

მ. ლომონოსოვმა ჯერ კიდევ 1753 წელს აღნიშნა, რომ ამინდის გამოცვლის მიზეზი ჰაერის მასების დინებაში უნდა ვეძიოთ.

* * *

ანტარქტიდაში ძლიერი ქარი წამში 40 მეტრის სიჩქარით ქრის და ხშირად რამდენიმე კვირის განმავლობაში არ ცხრება.

* * *

თითქოს დაუჯერებელი ამბავია, მაგრამ უველაზე სუსტი ქარი მრისხანე ტროპიკული ციკლონის — ტაიფუნის ცენტრში იცის. ე. წ. „უქარო ზონა“ აქ 20-50 კილომეტრის დიამეტრზე ვრცელდება.

* * *

საბჭოთა კავშირის ევროპული ტერიტორიის უდიდეს ნაწილზე ქარის საშუალო სიჩქარე უველაზე მაღალია იანვარ-თებერვალში, უველაზე დაბალი — ზაფხულის თვეებში. აღმოსავლეთ ციმბირის მთელ რიგ რაიონებში საპირისპირო მოვლენას აქვს ადგილი: ზამთარში აქ შედარებით სუსტი ქარი ქრის, რომელიც ზაფხულობით ძლიერდება.

* * *

ქარის ძლიერებას მეტეოროლოგები 12 ბალიანი სკალით განსაზღვრავენ. მომდევნო დანაყოფი სკალაზე არ არსებობს: რაც უნდა ძლიერი ქარიშხალი იყოს, მას 12 ბალით აფასებენ.



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ქვეყანაზე უამრავი პროფესიის ადამიანი ცხოვრობს. ვისაც არ უნდა ჰკითხოთ, ყველა გიპასუხებთ, რომ საქმე, რომელსაც იგი აკეთებს, საპატიოა და არაფრით არ არის სხვაზე ნაკლები. ბუნებრივია, რომ პედაგოგი ყველაზე მეტად თავის პროფესიას აფასებდეს, მაგრამ, აბა თუ კარგი ბიჭი ხარ, დაარწმუნე მეჩაიე ან მევენახე, რომ მათი საქმიანობა პედაგოგობაზე უფრო ნაკლებად საპასუხისმგებლოა. და ეს იმიტომ ხდება, რომ ყველას თავისი საქმე უყვარს. ყველა თავისი საქმით არის გატაცებული.

სწორედ ასეთი მონდომებული შრომით არიან ცნობილი ჩვენი სახელოვანი მეჩაიეები, რომლებმაც მთელს მსოფლიოში გაუთქვეს სახელი არომატულ ქართულ ჩაის.

არავითარი წუწუნი, არავითარი დაღლა არ იციან ჩაის ფრონტის გმირებმა. ნატვრით კი, აბა ვინ მოთვლის, წვიმის დროს რამდენჯერ უნატრიათ, ნეტა რა იქნებოდა, წყლის ნაკლებგამტარი ქსოვილი რომ შეექმნა ვინმეს მადლიან ხელსო. პაპანაქებაშიც უნებლიეთ გაივლებდნენ ხოლმე გულში: ახლა ერთი ჰაერგამტარი და მსუბუქი ქსოვილის კაბა პირდაპირ მისწრება იქნებაო...

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც მუშაობაში ღამეებს ათენებდნენ მათი ნატვრის ასახდენად. ამ საპატიო საქმით დაინტერესებულ სპეციალისტებს წლების მანძილზე მიმოწერა ჰქონდათ საკავშირო საფეიქრო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან. გატაცებითა და დაძაბულად შრომობდნენ, მაგრამ ვერ იქნა და სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს. 1960 წლის დამლევს, როცა თბილისში სახალხო მეურნეობის საბჭოს საფეიქრო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ჩამოყალიბდა, აქ მომუშავე ინჟინერთა ერთმა ჯგუფმაც სწორედ ამ საკითხის გადაჭრაზე გაამახვილა ძირითადი ყურადღება.

ე. წ. მეჩაიეთა ქსოვილის შექმნას ინსტიტუტის აბრეშუმისა და ქიმიური განყოფილებები ჩაუდგნენ სათავეში. ინჟინერი ამირან ქარჩაული, აბრეშუმის ძაფის ამოღების და დართვის ლაბორატორიის გამგე აკაკი მიქელაძე, აბრეშუმის განყოფილების ხელმძღვანელი ლევან ცერცვაძე ყოველნაირად ცდილობდნენ, რაც შეიძლება მალე შეექმნათ ისეთი ქსოვილისაგან შეკერილი ტანსაცმელი, რომელიც ჰაერგამტარი, მსუბუქი და, ამასთან ერთად, წყლის ნაკლებგამტარი იქნებოდა.

შეუპოვარი კვლევა-ძიების შემდეგ ინსტიტუტის ინჟინერთა ჯგუფმა მეჩაიეთა კოსტუმებისათვის მიიღო ქსოვილი, რომელიც ბამბისაგან იქსოვება. მოქსოვის შემდეგ მას სპეციალური ქიმიკატებით დამუშავება სჭირდება, რათა ის ძირითადი თვისებები შეინარჩუნოს, რაც სპეცდანიშნულების კოსტუმებს მოეთხოვება.

ინსტიტუტის კოლექტივმა წელს მეჩაიეთა ქსოვილისაგან 10 კოსტუმი შეკერა და საწარმოო გამოცდისათვის მეჩაიეობის რაიონებს გადაუგზავნა. ამ გამოცდამ ბრწყინვალედ ჩაიარა.

ეს იყო არა მარტო ამირან ქარჩაულის, აკაკი მიქელაძისა და ლევან ცერცვაძის დიდი შემოქმედებითი მიღწევა, არამედ მთელი ინსტიტუტის საამაყო გამარჯვება, რომელიც კიდევ უფრო მეტ ძალას და ენერგიას შემატებს ჩვენს სახელოვან მეჩაიეებს.

დაუცხრომელი შემოქმედებითი ძიება! — აი რა ახასიათებს ინსტიტუტის ყველა თანამშრომელს. აქაური სპეციალისტები ამჟამად მუშაობენ არანაქსოვი ქსოვილების შემდგომ დამუშავებაზე, რომელთა დამზადების ტექნოლოგია გაცილებით ნაკლებად შრომატევადია, ვიდრე ჩვეულებრივი ქსოვილების მიღება.

ამ ძვირფასი ქსოვილის მიღებისათვის ინსტიტუტს შარშან საკავშირო საავტორო მოწმობა მიეცა. ახალი ქსოვილის ავტორები არიან ინსტიტუტის დირექტორი მიხეილ ქუმარიტაშვილი, ინჟინრები სემიონ რაზდოლსკი, ვლადიმერ გამგებელი და ანჟელია ზალიევა.

სწავლული მდივნის, ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატის ვასილ ჩიქოვანის ხელმძღვანელობით ინსტიტუტში ჩამოყალიბდა წამყვანი ინჟინრებისა და განყოფილების გამგეებისაგან შემდგარი ბრიგადა. ბრიგადის წევრებს გადაწყვეტილი აქვთ შექმნან ქსოვილი საჩამომსხმელო საამქროების მუშებისათვის. ამავე ქსოვილისაგან დამზადდება ისეთი ხელთათმანები, რომლებიც ბოთლების გასკდომის დროს ხელებს საიმედოდ დაიცავს.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის 6 ივნისს მოსკოვში გახსნილ ფეხსაცმელის, ტრიკოტაჟის, მზატანსაცმლისა და ბეწვეულის ნაწარმის საკავშირო გამოფენაზე აღნიშნული ინსტიტუტის ნაწარმს მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო. ჩვენი რესპუბლიკის სტენდზე გამოფენილი ტრიკოტაჟის ახალი ნაწარმის ნიმუშების 50 პროცენტი ამ ინსტიტუტიდან არის წარმოდგენილი.

პირველი მიღწევები საამაყოა, მაგრამ ინსტიტუტის შემოქმედებითი კოლექტივის წინაშე კიდევ უფრო დიდი და საპატიო საქმეებია დასახული. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის მუდამ მოუსვენრად და მონდომებით იბრძვიან ისინი. ტყუილად კი არ თქვა ინჟინერმა ამირან ქარჩაულმა: ჭიასავით იცის ფიქრმა გულში ჩაძვრომა. თუ დაგიმორჩილა, აღარ მოგეშვება, გასაქანს არ მოგცემს, გაწვალებს და გაღელვებს, სანამ საწადელს არ მიგაღწევინებს. მერე კი ვალმოხდილივით გაქრება სადღაც, რომ ცოტა შეგასვენოს და ისევ ახალი საფიქრებელი გაგიჩინოს...

ზ. აბესაძე.

---

# ვაზის ჭირიმე, ვაზისა!..

ვენახს, ყურძენს, საწნახელს, ქვევრს და საერთოდ ყოველივე იმას, რაც კი ვაზთან და ვაზის ნაყოფთან არის დაკავშირებული, ქართველი ხალხის პოეზიაში ყოველთვის საპატიო ადგილი ეთმობოდა.

ხალხს კარგად ესმის, რომ ვაზი თვითონ თხოულობს მოვლასა და პატრონობას, ხელისშეწყობასა და ყურადღებას:

დიდ ვენახში მივდიოდი
ბარითა და ნიჩაბითა,
ზევიდან გადმომიძახეს:
აქ მობრძანდი, მე რა გითხრა.
შენ სასუქი მომიმზადე
თითო ჯინი თითო ძირსა,
ისეთ მტევანს გაგიკეთებ
არ ჩავიდეს გოდრის ძირსა.

სილატაკეში გაზრდილი უწინდელი გლეხის პატარა ბიჭი ყველას ევედრება: მასწავლეთ წიგნი, მასწავლეთ, მასწავლეთ წერა-კითხვაიო.

მწერალ ნიკო ლომოურის პირით სოფლელი ბიჭი ამგვარად იმისთვის მოთქვამს, რომ წერა-კითხვა არ იცის, თორემ სოფლის საქმეს რაც შეეხება, ყველაფერი კარგად გაეგება:

რაც სოფლის საქმეს შეფერის,
მე ვიცი თითქმის ყველაი:
კევრზედა დგომა, ვაზის სხვლა,
ურმული, ოროველაი.

ბავშვების გულისა და სულის მესაიდუმლე პოეტი შიო მღვიმელი აღვიძებს პატარა გოგონას და ეუბნება, ვენახში გადავიდეს, ვაზებს რთველი მიულოცოს, ჩაკოცნოს ბუდეშური, მარცვალა, თითა და მიიღოს მონაწილეობა დიდ საერთო ზეიმში, რასაც რთველი ეწოდება:

ადე, პირი დაიბანე,
გამოფხიზლდი, ჩემო თინა,
რახანია ცელქმა სიომ
ვენახები მოირბინა.

რთველის, ყურძნის კრეფის საამო სურათი, ასე გადმოგვცა სახალხო პოეტმა აკადემიკოსმა იოსებ გრიშაშვილმა:

აი, გლეხი ვაზს ესტუმრა
პაწაწინა დანით ხელში,
ჰრის ყურძენს და სავსე კალათს
ცლის ღიმილით საწნახელში.

სამშობლოს სადიდებლად პოეტი ალიო მირცხულავა ჩამოთვლის საქართველოს სიუხვისა და სილამაზის დამახასიათებელ მხარეებს:

უხვი ნაყოფის და ჭირნახულის
ხვავად ქცეულა სოფლის ამაგი,
ველარ ეტევა ქვევრში, ბეღლებში
ხორბლეულის და ღვინის მარაგი.

სამშობლოს სიყვარულით ანთებული სახალხო პოეტი აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე ამბობს:

ოქროს წვიმის წვეთს იწოვდეს
ოქროყანა, ოქრო ბარი.
დამტევნებულ ძირტკბილ ვაზის
საწნახელში ჩადგეს ღვარი,
დამუგუზლდეს კერის ცეცხლი,
ბრძმედის ცეცხლის სიელვარით.

პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძეს არ შეეძლო გვერდი აეხვია და დუმილით შეხვედროდა ცნობილი პოეტის ნიკოლოზ ტიხონოვის სტუმრობას კახეთის თვალწარმტაც სოფელ ჯუგაანში რთველის დროს:

სულ თვალწინ მიდგას მე ჯუგაანი,
რთველი ქართული, ტკბილ-სასურველი.
ვაშლით ავსილი სახლის თავანი,
ღია მარანში მაჭრის სურნელი.

ჯერ კიდევ ახლად იყო დაწყებული სამგორში სამუშაოები, რომ პოეტმა სიმონ ჩიქოვანმა დაინახა გადამწვარ და გადარუჯულ ველზე მოკაშკაშე მდინარეები, აბიბინებული ყანები, მშვენიერი ბაღები, ვენახები. სამგორში ვარ, მეჩვენება სხლავენ ვაზებსო, ამბობს პოეტი და იქვე დასძენს:

მთას შორდება ნისლის რიდე,
ხალხის შრომა ველს ჯეჯილით ამკობს.
ვენახი ფეხს მოიკიდებს
და მარილი გაულხვება სამგორს.

სამგორი პოეტმა გრიგოლ აბაშიძემ ასეთი სახითაც დაგვიხატა:

რქაწითელი ვაზები
მტევნებჩამოლევენთილი.
ნარინჯით და თურინჯით
დაზნექილი ტოტები.

პოეტი იოსებ ნონეშვილი თავის ლექსში ასე უმღერის კახეთს:

ზვრებს ზემოთ დიდი მარანი
დგას ყურძნის მთებში ჩაფლული.
მთელი კვირაა რქაწითელს
ქვევრებში გააქვს ჩქაფუნი.
ჩასჩქეფს და აღარ ივსება.
დევის ყბაა თუ ქვევრია?!
ბევრია დაუდუღარი,
შარშანწინდელიც ბევრია.

ვაზისა და ვენახის დიდი ღირსებისა და დაფასების მომასწავებელია ისიც, რომ ბევრი ჩვენი სოფელი ვაზისუბნის, ვაზიანის, მამულარის, სალვინოს და ა. შ. სახელს ატარებს.

— ვაზის ჭირიმე, ვაზისა, — ტყუილად კი არა თქვა პოეტმა. ვაზი ხალხის დოვლათია და სიმდიდრე. დაე, მუდამ ხარობდეს მწიფე მტევნებით დახუნძლული ჩვენი საკოლმეურნეო ზვრები.

არკადი ხუნდაძე.





ეროვნული
ბიბლიოთეკა

პატარა მდინარეა შავწყალა, შეიძლება მსოფლიოში ყველაზე პატარაც. ნაპირ-ნაპირ რომ მიჰყვე, სათავიდან შესართავამდე თვრამეტ კილომეტრსაც ვერ გაივლი. შავწყალა შავ ზღვას უერთდება გუდაუთის ახლოს, სათავე კი ტყით დაბურულ ვეებერთელა პიტალო კლდის ძირში აქვს დადებული. ამ კლდის ძირიდან მთელი მდინარე წყაროსავით ამოჩუხჩუხებს და თქრიალით გამორბის შავ ქვებზე. ალბათ ამიტომაც ჰქვია შავწყალა. წყალი კამკამა და ცივია. ხელს ჩაყოფ თითებს მოგაზრობს, ისეთია. ზაფხულის პაპანაქებაშიც კი ცხრა გრადუსს არ აღემატება მისი ტემპერატურა. ჰოდა, ასეთი წყალი ზედგამოჭრილია კალმახისათვის.

კალმახების სამეფოა შავწყალა.

აკი ამ შავი კლდის ტყით დაბურულ ქარაფებთან გაუშენებიათ კიდეც ქართველ მეთევზეებს საკალმახო მეურნეობა, რომლისთვისაც ამ შმაგი მდინარის სახელი შეურქმევიათ.

ოცდარვა წლის წინათაა შექმნილი შავწყალას საკალმახო მეურნეობა და დღეისათვის თავის სიდიდით ბადალი არა ჰყავს არა მარტო ჩვენში, არამედ მთელს ევროპაშიც. მისი გუბურების ფართობი 20 ათას კვადრატულ მეტრს აღემატება. ამ გუბურებში ამჟამად ბინადრობს ცისარტყელასფერი კალმახი, შორეულ სახალინიდან ჩამოყვანილი კუზიანი ორაგულის „გარბუშას“ და ქართული ორაგულის შთამომავალნი.

არცთუ ისე მრავალრიცხოვანი, მეურნეობის კოლექტივი, სულ სამოცამდე კაცია და საშვილიშვილო საქმეს კი აკეთებს. აი, თუნდაც ქართული ორაგულის მოშენება-გამრავლების საკითხი ავიღოთ. არ არსებობს ისეთი უძვირფასესი და უგემრიელესი თევზი, როგორიც შავი ზღვის, ანუ ქართული ორაგულია, და ეს თევზი გადაშენების გზასაა დამდგარი.

შავწყალას საკალმახო მეურნეობის მუშაკები მის შესანარჩუნებლად და გასამრავლებლად მდინარე ბზიფში, კოდორსა და შავწყალაში დაჭერილ სადედეებს ქვირითს აყრევინებენ, ქვირითს ინკუბატორში ათავსებენ და ასე გამოჩეკილ ლიფსიტებს ისევ ამ მდინარეებში აბრუნებენ, საიდანაც გამრავლებული ქართული ორაგული ერთი წლის შემდეგ შავი ზღვისაკენ მიეშურება. აქ იგი იზრდება, აღწევს ზოგჯერ 18-20 კილოგრამს და ქვირითის დაყრის პერიოდში კვლავ მშობლიურ მდინარეებს უბრუნდება. ამჟამად სამივე მდინარის შესართავთან აგებულია ქვირითის საინკუბაციო პუნქტები, რომლებიც დიდად უწყობენ ხელს ქართული ორაგულის გამრავლებას.

შარშან ნოემბრის შუა რიცხვებში სამხრეთ სახალინიდან სპეციალური თვითმფრინავით ჩამოვიდა 200 მილიონი „მგზავრი“ — წყნარი ოკეანის ორაგულის „გარბუშას“ ქვირითი. კუზიანი ორაგული „გარბუშა“ ქართული ორაგულის მონათესავე თევზია და კარგად ეგუება შავ ზღვას. ქვირითის საინკუბაციო პუნქტებში ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს მის გასამრავლებლადაც. მალე შავი ზღვის ყველა შესართავ მდინარეზე დაიდგმება საქვირითე ინკუბატორები, რომლებიც ათეულ ათასობით ტონა თევზს მისცემენ ჩვენს ქვეყანას.

მეურნეობის დირექტორს დავით უბილავას და მთავარ მეთევზეს მოვსეს აკოფიანს კალმახის ხსენებაზე ეღიმებათ.

— ო, კალმახი სულ სხვა თევზია! — შეყვარებულის სასოებით წარმოთქვამს მოვსესი, — გახსოვთ პაუსტოვსკის „ნაკადულები, სადაც ფართხალებს კალმახი“? ამ ნოველის ერთ-ერთი გმირი მოხუცი მუსიკოსი ბაუმვეისი კალმახს მხიარულ თევზს უწოდებს. საოცარი დახასიათებაა, მაგრამ მე მაინც დავუმატებ: მხიარული და მეტად ველური თევზია, დიახ, მაღალი ქარაფების, მქუხარე ჩანჩქერების და ყინულივით ცივი, ანკარა ჩქერების ველური ბინადარი!..

— მაგრამ ეს „ველური“ ჩვენ უკვე კარგა ხანია მოვარჯულეთ, — იცინის დავით უბილავა, — სადედე კალმახებს ქვირითს ვაყრევინებთ, ხელოვნურად ვანაყოფიერებთ და ინკუბატორებში ვათავსებთ. გამოჩეკილ ლიფსიტებს ვზრდით და სამრეწველო კალმახს სახელმწიფოს ვაძლევთ. თუ როგორ გაიზარდა კალმახის „წარმოება“, თვითონ განსაჯეთ: თუ ხუთი წლის წინ გამოვუშვით მხოლოდ 180 კილოგრამი ცოცხალი კალმახი, ორი წლის წინ 257 ცენტნერი, შარშან კი 804 ცენტნერი. წელს გამოვუშვებთ 850 ცენტნერს, მერმისს 500 ცენტნერს, ხოლო შვიდწლედის ბოლოს 100 ტონაზე მეტ ცოცხალ კალმახს და, მსოფლიო მასშტაბით, პირველ ადგილზე გამოვალთ. ამას ჩვენ მივაღწევთ გუბურების ფართობის გაუდიდებლად. ცდამ დაგვარწმუნა, რომ ერთ 100 კვადრატულ მეტრ გუბურაში შეიძლება ოთხნახევარი ტონა ცოცხალი კალმახის მოშენება. გარდა ამისა, ჩვენ გვყავს საქმის მცოდნე, შრომისმოყვარე კოლექტივი, რომელიც არა მარტო უნარიანადართმევს საქმეს თავს, არამედ სიამოვნებით უზიარებს ყველას თავის გამოცდილებასაც.

შავწყალას საკალმახო მეურნეობაში მართლაც ბევრია თავისი საქმის ნამდვილი ოსტატი: უფროსი მეთევზე ომარ წულეისკირი, ლაბორატორიის გამგე მაია აგრბა, მოწინავე მუშები არშაკ ჩარკვიანი, ზოია ბარციცი, ვალენტინა ხეცია, ვარდო კილასონია და სხვები.

საიდან არ მოდიან აქ სპეციალისტები გამოცდილების გასაზიარებლად: რუმინეთიდან, ბულგარეთიდან, საფრანგეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და იაპონიიდანაც კი. შავწყალელები კალმახის მოშენება-გამრავლებაში ეხმარებიან საბჭოთა კავშირის სხვა მეურნეობებსაც. მათ თბილისის ზღვაში გაუშვეს ცისარტყელასფერი კალმახის მრავალი ათასი ლიფსიტა, რომლებიც საუცხოოდ შეეგუენ ახალ ადგილსამყოფელს. კალმახის ლიფსიტები გაუშვეს აგრეთვე ქარელის რაიონის ბებნისის საბჭოთა მეურნეობის ხელოვნურ ტბაშიც. მიმდინარე წლის მარტში ამავე რაიონის სოფელ რუისთან შავწყალას მეურნეობამ მოაწყო აუზები, სადაც კალმახის 45 ათასი ლიფსიტა გაუშვა. ნოემბრისათვის აქედან თბილისს მიაწვდიან 5-6 ტონა ცოცხალ კალმახს. არ გაივლის ორი წელიც და რუისის გუბურები გადაიქცევა დამოუკიდებელ საკალმახო მეურნეობად, რომელიც კიდევ უფრო მეტ გაქანებას მისცემს ამ დიდებულ და საშვილიშვილო საქმეს.

ა. კუსრაშვილი.









ერთი კაცი კოლიზეუმზე აძვრა და დაიყვირა:

— ვვარდები?

— სტყუით, — შენიშნა გამვლელმა. — თქვენ ძახილის ნიშანი უნდა დაგესვათ და არა კითხვის ნიშანი. წადით სახლში და შეისწავლეთ გრამატიკა.

* * *

თაგვმა იფიქრა. გემი ეს-ეს არის ჩაიძირებაო და ზღვაში გადახტა. გემი არ ჩაიძირა. თაგვმა გადაწყვიტა ცურვით დასწეოდა გემს. საბრალო თაგვი ზვიგენმა გადაყლაპა.

* * *

ერთ პოლკოვნიკს თავისი ხმალი ისე შეუყვარდა, რომ ცოლად შეირთო. ყველგან თან დაატარებდა, მთელ ტოლედოში. ვიტრინებსაც კი ათვალიერებინებდა. ერთხელ მაქმანებიანი ღამის პერანგი უყიდა და საწოლში ჩააწვინა. საცოდავი ხმალი, უმწეოდ იყო შეყვარებული უსაფრთხო სამართებელზე და სიყვარულის კაეშანმორეული დაიჟანგა.

* * *

ერთმა ცნობილმა მეცნიერმა გამოიგონა მანქანა, რომელიც თავს კედელზე ახლევინებდა ადამიანებს.

ის რომ ყოფილიყო ცოტაოდენ ნაკლებად ცნობილი, ან ცოტაოდენ ნაკლებ განსწავლული, ჰოსპიტალში დაშავებულთა რიცხვი შემცირდებოდა.

თარგმნა თ. ახალაიამ.



# კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 3. ტბა იტალიასა და შვეიცარიაში; 5. საბჭოთა არქიტექტორი; 7. წყალში გასახსნელი საღებავი; 11. აღმოსავლური საკრავი; 13. პერსონაჟი ჩაიკოვსკის ბალეტიდან; 15. მხარე, მიდამო, ადგილი; 16. ცეცხლის ანადენი; 18. მეცნიერება მსოფლიოს შედარებით საერთო კანონზომიერების შესახებ; 20. დიდი ყაზახი პოეტი-ჰუმანისტი; 21. მუშაობის საზომი ერთეული; 22. ქსოვილის კიდეებზე მოვლებული ნაირსახიანი ზოლი; 25. ვაჭარი აღმოსავლეთში; 27. მეცნიერება ცოცხალი ორგანიზმის აგებულების შესახებ; 29. მუსიკალური ნაწარმოების საჯარო შესრულება; 30. ცოდვების მიტევების ფურცელი, რომელსაც ყიდდა კათოლიკური ეკლესია.

ვერტიკალურად: 1. მდინარე სსრ კავშირში; 2. არენდა; 3. მოლუსკების ტიპის უხერხემლო ცხოველი; 4. მწვერვალი ჰიმალაის მთებზე; 5. ომში გამარჯვებული სახელმწიფოს მიერ დამარცხებულისათვის გადასახდელად დაკისრებული თანხა; 6. ეკლებიანი ბალახი რთულყვავილოვანთა ოჯახისა; 8. დიალექტი; 9. ადამიანი, რომელიც გონებრივ შრომას ეწევა; 10. ლექსი, რომლის სტრიქონთა თავკიდური ასოები შეადგენენ სიტყვას ან წინადადებას; 12. გემების გასაჩერებლად მოხერხებული ადგილი ნავსადგურის შესასვლელთან; 14. აღმოსავლური საკრავი; 17. რისამე წერილობითი ჩამოთვლა; 19. რუმინული ფულის ერთეული; 23. „სირანო დე ბერჟერაკის" ავტორი; 24. ორიგინალის ზუსტი გადანაბეჭდი; 25. მუსიკალური ინსტრუმენტი; 26. პიანინოს ტიპის საორკესტრო მუსიკალური ინსტრუმენტი; 28. ყოველგვარი სახეობის ტრანსპორტის ქარავანი; 29. სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა.

## საინტერესო სიახლენი



...მეცხოველეობის საკავშირო ინსტიტუტის თანამშრომლებმა შეიმუშავეს რძის ხანგრძლივად შენახვის მეთოდი. ამ მეთოდის გამოყენებით რძე 80 დღე ძლებს და მთლიანად ინარჩუნებს სასარგებლო თვისებებს.

...კასპიის ზღვაში ამას წინათ დაიჭირეს 835 კილოგრამიანი ზუთხი, რომლის მუცლიდან 100 კილოგრამი შავი ხიზილალა ამოიღეს.

...ელექტრო-გამომთვლელმა მანქანამ გამოიანგარიშა, რომ ადამიანმა, თუკი ზოგიერთი ცხოველივით მთელი ზამთარი იძინებს, შეიძლება 1.400 წელი იცოცხლოს.



...ყირიმის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მეცნიერმა მუშაკმა ვ. პროკოფიევმა დაადგინა, რომ ვენერის ატმოსფეროს ზედა ფენებში არის მოლეკულური ჟანგბადი, რომელიც აუცილებელია სიცოცხლისათვის.

...ატლანტის ოკეანის ფსკერზე შემთხვევით აღმოაჩინეს მინის უზარმაზარი ნატეხი. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ეს მინა თუკი წყლისა და ბაზალტის ურთიერთმოქმედების შედეგად წარმოიქმნა, მაშინ ოკეანის ფსკერის უდიდესი ნაწილი მინით უნდა იყოს დაფარული.



...ბერინგის ზღვაში გასული საბჭოთა ხომალდი „ადლერი", მთელი მსოფლიოს პრაქტიკაში პირველად, 700 მეტრის სიღრმემდე იჭერს თევზს.



...კალინინგრადელმა სპეციალისტებმა ნახევარგამტარების გამოყენებით დაამზადეს უნიკალური საათი, რომელიც 10-12 წლის მანძილზე ზუსტი დროიდან მხოლოდ 6-7 წამის განსხვავებას იძლევა.

გარეკანის პირველ გვერდზე: მევენახეებისა და მეღვინეების X საერთაშორისო კონგრესისადმი მიძღვნილი ბუკლეტები. მონტაჟი ნ. მალაზონიასი. ბუკლეტები გააფორმეს მხატვრებმა: გ. გორდელაძემ, დ. დონდუამ, ზ. კაპანაძემ, ნ. მალაზონიამ და ო. ჯიშკარიანმა.

მეოთხე გვერდზე: ღვინის ქარხანა. ფოტო ე. პესოვისა და ო. თურქიასი.

რედაქტორი ა. ძიძიგური.
პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე.
სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის 3-34-66, პ. მგ. მდივნის — 9-82-69, განყოფილებების — 3-28-42

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. |ფასი 30 კაპ.| ყდა დაბეჭდილია ლითო-ოფსეტურ ფაბრიკაში, ჩანართი — ფოტოცინკოგრაფიაში

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/VIII-62 წ. გამომც. № 87, ქაღ. ზომა 70×108 1/8. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 23 500. შეკვ. № 1583, უე 09587

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. №14.

პროფესორი მაქსიმე რამიშვილი მუშაობს ვაზის ახალი ქართული ჯიშების გამოყვანაზე.
ფოტო თ. არჩვაძისა.



ელექტრონული ბიბლიოთეკა


ეროვნული
ბიბლიოთეკა